საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№38 (462)
24 - 30 ოქტომბერი, 2018

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## სეგრეგაცია ევროკავშირულად: სხვადასხვა ქვეყანას სხვადასხვა ხარისხის პროდუქტი 24

## რატომ მაინცდამაინც გაუფასურებისკენ მიცურავს ეს ჩვენი ეროვნული ვალუტა 3




## გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა 10




## პუტინი, ვალდაის ფორუმი და საქართველო 9






- «დღეს ბართოლომეოსს ეს თუ გაუვიდა, ხვალ აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას გამოაცხადებს» 4
- რამ შეუშალა ხელი შტურმს კიევ-პეჩორის ლავრაზე 7
- რით არის 2018 წლის დიდი სქიზმა გაცილებით მძიმე შედეგების მომტანი, ვიდრე 1000 წლის წინანდელი? 6



## ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის «დედა ენას» ხელში პირველად აიღებს 11






## ამ უხეირო ლექსების გარდა, რას გაუკეთებთ თქვენ საქართველოს?! 8



## სტალინის «რკინის» მინისტრი, რომელმაც ხრუშჩოვს სილა გააწნა 12

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**წინა პლანზე ისევ გამოვიდა ლოზუნგი „ან ჩვენ ან ისინი“, რომელიც აიძულებს მოქალაქეებს, არა თავისუფალი არჩევანის, არამედ ინსტინქტური რეაქციის დონეზე იმოქმედონ — უკეთესი კანდიდატი კი არ შეარჩიონ, არამედ სასიკვდილო საფრთხე მოიგერიონ. ეს მნიშვნელოვანწილად აბალანსებს იმ ნეგატივს, რომელიც „კომპრომატების ომმა“ ხელისუფლებას მოუტანა, რადგან შესაძლებლობას აძლევს, სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის საფრთხობელა გამოიყენოს. შეიძლება ითქვას, რომ ფარული ჩანაწერები, ტაქტიკური თვალსაზრისით, აზიანებს ხელისუფლებას, მაგრამ სტრატეგიულით — სააკაშვილის მოწინააღმდეგეების მობილიზებაში ეხმარება.**

# ვინ მოიგებს «კომპრომატების ომს»?

**დასასრულს უახლოვდება ერთ-ერთი ყველაზე ნერვიული და ბინძური წინასაარჩევნო პერიოდი ქართული დემოკრატიის ხანმოკლე ისტორიაში — 28 ოქტომბერს ახალ პრეზიდენტს ავირჩევთ. კონცენტრირებული ნეგატივის ასეთი დოზა საზოგადოებას, დიდი ხანია, არ მიუღია. მნიშვნელოვანია, დავადგინოთ, რამ განაპირობა კომპრომატის ასეთი გამოყენება და რა შედეგი მოიტანა ამან.**




**არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ ძალებს ელექტორატი კარგად იცნობს, როგორც წესი, აღარ ენდობა მათ დაპირებებს და ირონიულად აღიქვამს მათ მცდელობებს, თავი უმწიკვლოდ წარმოაჩინონ. ყველა პოლიტიკური ძალა განიხილება, როგორც აპრიორი ცუდი, ამიტომ ისინი გამუდმებით არწმუნებენ მოსახლეობას, რომ მოწინააღმდეგე გაცილებით უარესია და მისი შესაძლო გამარჯვება სასიკვდილო საფრთხეს უკავშირდება**

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ ძალებს ელექტორატი კარგად იცნობს, როგორც წესი, აღარ ენდობა მათ დაპირებებს და ირონიულად აღიქვამს მათ მცდელობებს, თავი უმწიკვლოდ წარმოაჩინონ. ყველა პოლიტიკური ძალა განიხილება, როგორც აპრიორი ცუდი, ამიტომ ისინი გამუდმებით არწმუნებენ მოსახლეობას, რომ მოწინააღმდეგე გაცილებით უარესია და მისი შესაძლო გამარჯვება სასიკვდილო საფრთხეს უკავშირდება.

ამისთვის ორი ძირითადი მეთოდი გამოიყენება. კანდიდატების „გაშავებაში“ ახალი და უჩვეულო არაფერია, უბრალოდ, დღეს მოწინააღმდეგეთა დემონიზაცია ისე უხეშად და დაუფარავად ხდება, რომ პროცესი არაერთგზის, სავსებით სამართლიანად შეადარეს ტალახის სროლას. ამასთანავე, წლევანდელ კამპანიაში არაპროპორციულად დიდი ადგილი ფარულმა ჩანაწერებმა დაიკავა. ისინი შეგვიძლია პირობითად სამ ნაწილად დავყოთ — **ზაზა ოქუაშვილის, მირზა სუბელიანისა** და **ბადრი პატარკაციშვილის** „ქეისებად“. ჩანაწერებში პრეზიდენტობის კანდიდატები აქამდე არ ფიგურირებდნენ; **მათი გამოყენებით „ნაცმოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ, რომ მოწინააღმდეგე პარტია დამნაშავეთა ბანდას წარმოადგენს.**

საინფორმაციო ომი ფარული ჩანაწერების გამოყენებით „ნაცმოძრაობამ“ დაიწყო. მან სცადა, ოქუაშვილის გარშემო დაწყებული სკანდალისთვის აპოკალიფსის სახე მიეცა და იგივე ტაქტიკა სუბელიანის საქმეში გამოიყენა. **კომპრომატზე აქცენტის გადატანა ერთობ სარისკო ჩანდა, რადგან ნაციონალებმა, სავარაუდოდ, იცოდნენ, რომ „ოცნებას“ „შავი დღისთვის“ შემონახული აქვს რამდენიმე არანაკლებ, და, შესაძლოა, უფრო მეტად სკანდალური ფირი — ერთ-ერთი (მაგრამ, დიდი ალბათობით, არა ერთადერთი) პატარკაციშვილთან დაკავშირებული ჩანაწერია.** მარტივად რომ ვთქვათ, ხელისუფლების რესურსები ამ მხრივ დიდია და „დარტყმების გაცვლას“ აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა, თუ „ნაცმოძრაობის“ ხელთ არსებულ კომპრომატს, 2012 წლის „ციხის კადრების“ მსგავსად, ბირთვული აფეთქების ეფექტი ექნებოდა.

ნაციონალები დღემდე დარწმუნებულნი არიან, რომ 2012 წლის არჩევნები სწორედ ამ კადრებმა წააგებინა, ანუ (მათი გადასახედიდან) მოწინააღმდეგის ერთმა წარმატებულმა საინფორმაციო და ფსიქოლოგიურმა შეტევამ. ისინი იშვიათად უფიქრდებიან იმას, რომ „ციხის კადრებმა“ მხოლოდ დააგვირგვინა ხანგრძლივი, მრავალწლიანი პროცესი, რომლის განმავლობაში საზოგადოების ცნობიერებაში დაილექა ხელისუფლების მოქმედებასთან დაკავშირებული ეჭვები და ნეგატივი. ჯერ კიდევ კადრების გამოქვეყნებამდე საქართველოს თითოეულ მოქალაქეს არაერთგზის ჰქონდა გაგონილი, რომ საპატიმროებში მსგავსი რამ ხდება. არსებითად, „ციხის კადრები“ უკვე ჩამოყალიბებული რწმენა-წარმოდგენების შემზარავ ილუსტრაციას წარმოადგენდა — საბოლოოდ(!) დადასტურდა ძველი ეჭვები სისტემური დანაშაულის თაობაზე, მაგრამ ამის აღიარება ნაციონალებისთვის სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებრივი ხასიათის აღიარების ტოლფასია, ამიტომ ურჩევნიათ, ისაუბრონ ერთ ცალკე აღებულ, თითქოს შემთხვევით ეპიზოდზე.

„ნაცმოძრაობამ“, ხელისუფლების არც თუ ძლიერი ფავორიტის „ჩაძირვაზე“ კონცენტრირების ნაცვლად, აქცენტი ფარულ ჩანაწერებზე გადაიტანა, რამაც **სალომე ზურაბიშვილის** შტაბს შესაძლებლობა მისცა, თანდათან მოეხდინა იმ ზიანის კომპენსირება, რომელიც ნაციონალებმა კამპანიის დასაწყისში მიაყენეს (აგვისტოს ომის დაწყებასთან დაკავშირებული ბრალდებები და სხვ.). ფაქტობრივად, როდესაც ნაციონალები კომპრომატზე გადაერთნენ, ზურაბიშვილს ამით ამოსუნთქვის შესაძლებლობა მისცეს — საინტერესოა, რამ განაპირობა ეს არჩევანი?!

ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ ნაციონალებს, უპირველესად კი, მიხეილ სააკაშვილს (შესაძლოა, ქვეცნობიერად), სურთ, მოწინააღმდეგის წარმატებული შეტევა გაიმეორონ, ისე, როგორც მას აღიქვამენ. მედიასა და განსაკუთრებით სოცქსელებში, კარგად ჩანს, რომ ისინი გამუდმებით ავლებენ პარალელს დღევანდელ სკანდალებსა და „ციხის კადრებს“ შორის, ისევე, როგორც ადრე ადარებდნენ სხვადასხვა საქმეს გირგვლიანის მკვლელობას და 2003-12 წლების სხვა სისხლიან ეპიზოდებს. როგორც ჩანს, ისინი ვერ ივიწყებენ იმ ძველ სცენარებს, რომლებიც მათმა მოწინააღმდეგეებმა ოდესღაც, განსხვავებულ პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ გარემოში გამოიყენეს.

ნაციონალები ხელისუფლებაში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოვიდნენ, იმ ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც სხვებმა შეიმუშავეს და სხვა ქვეყნებში გამოსცადეს. ძალიან ბევრი რამ მათ მოღვაწეობაში, არსებითად, საქართველოს პირობების მიმართ სხვისი გამოცდილების ადაპტირებას წარმოადგენდა; ორიგინალური წამოწყება არც ისე ბევრი ჰქონდათ. მთავარი განხილულ შემთხვევაში, ალბათ, მიხეილ სააკაშვილის რევანშის წყურვილია — შესაძლოა, მას სურს, ივანიშვილი სწორედ იმ ტაქტიკის გამოყენებით დაამარცხოს, რომელმაც 2012-ში მისი რეჟიმი დაასამარა. ეს სპორტისთვის დამახასიათებელი მატჩ-რევანშის სურვილია — იმავე დარბაზში, იმავე მაყურებლის თვალწინ... მაგრამ ის ზრდის არა მხოლოდ მოტივაციას, არამედ ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას მოწინააღმდეგეზე.

**ცოტა ხნის წინათ სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ „ნაცმოძრაობის“ ბელადი კრიპტოვალუტის პროექტში ჩაერთო. შესაძლოა, ეს დამთხვევაა, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ამით სააკაშვილი ცდილობს, დაუმტკიცოს საკუთარ თავს, რომ ივანიშვილზე არაფრითაა ნაკლები და მისი ბიტკოინებთან დაკავშირებული წარმატების გამეორება შეუძლია. ასეა თუ ისე, არჩევანი „კომპრომატების ომის“ სასარგებლოდ ნაციონალების ბელადმა, შესაძლოა, 2012 წლის ტრავმატული გამოცდილების გათვალისწინებით გააკეთა.**

ხელისუფლებამ მას სიმეტრიულად უპასუხა და ყოფილი ძალოვნების საუბრების შემზარავი ჩანაწერები გამოქვეყნა (პატარკაციშვილის საქმე). საინფორმაციო დარტყმების გაცვლამ ერთმნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ამომრჩეველთა ცნობიერებაში ძველი ბიპოლარული მოდელის აქტივაციას — „ოცნება“ ნაციონალების წინააღმდეგ“, რომელმაც მოქმედ ხელისუფლებას წარმატება 2012 წლიდან დღემდე გამართულ ყველა არჩევნებში მოუტანა. თუ ნაციონალების პროპაგანდისტული მანქანის მთავარი სამიზნედ კვლავ სალომე ზურაბიშვილი დარჩებოდა, ალბათ, სხვა სიტუაციას მივიღებდით, მაგრამ ამჟამად, ისევე როგორც 2016-ში, წინა პლანზე ისევ გამოვიდა ლოზუნგი „ჩვენ ან ისინი“, რომელიც აიძულებს მოქალაქეებს, არა თავისუფალი არჩევანის, არამედ ინსტინქტური რეაქციის დონეზე იმოქმედონ — უკეთესი კანდიდატი კი არ შეარჩიონ, არამედ სასიკვდილო საფრთხე მოიგერიონ. **ეს მნიშვნელოვანწილად აბალანსებს იმ ნეგატივს, რომელიც „კომპრომატების ომმა“ ხელისუფლებას მოუტანა, რადგან შესაძლებლობას აძლევს, სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის საფრთხობელა გამოიყენოს. შეიძლება ითქვას, რომ ფარული ჩანაწერები, ტაქტიკური თვალსაზრისით, აზიანებს ხელისუფლებას, მაგრამ სტრატეგიულით — სააკაშვილის მოწინააღმდეგეების მობილიზებაში ეხმარება.**

კონკრეტული ჩანაწერების ეფექტი ცალკე საუბრის თემაა. ის, რასაც **ზაზა ოქუაშვილი** ამბობს, უაღრესად სკანდალურია, თუმცა, გარემოებათა გამო, საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს მასში მიუკერძოებელი ბრალმდებლის ან უმწიკვლო მსხვერპლის დანახვა უჭირს, რაც მკაფიოდ არის გამოხატული სოცქსელებსა და კერძო საუბრებში. „სუბელიანის ჩანაწერები“ უფრო ეფექტიანი გამოდგა, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ეს ისტორია საკმაოდ ჩახლართულია, ხოლო მასში მონაწილე პირების მოტივები შედარებით ძნელად გასაშიფრი, მოქალაქეებს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა, როგორც წესი, ვერ გამოაქვთ, უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოება: **„ნაცმოძრაობის“ მედიასაშუალებები სარალიძის საქმეზე მირზა სუბელიანის მუდმივ დემონიზებას ახდენდნენ, რამაც, სავარაუდოდ, ნეგატიური გავლენა იქონია მისი განცხადებების აღქმაზე საზოგადოების მიერ. ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზს უსვამენ, რომ ეს მხოლოდ ერთი, რთულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ნააზრევია, რომლის მოტივები წინააღმდეგობრივი და ბუნდოვანია, ქვეტექსტში კი, ისევ და ისევ, ცდილობენ, შემდეგი აზრი ჩააქსოვონ: „კი, ცუდები ვართ, მაგრამ ნაციონალები უარესები არიან“.** რაც შეეხება „პატარკაციშვილის ეპიზოდს“, საკუთრივ მასალა მომაკვდინებელი სიმძიმისაა, თუმცა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი გაღიზიანდა იმის გამო, რომ ის წინასაარჩევნოდ, ანუ პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე გამოიყენეს. ამასთანავე, ამ ისტორიას გაცილებით მეტი კავშირი აქვს წარსულთან, ვიდრე ამომრჩევლისთვის უფრო აქტუალურ აწმყოსთან.

საბოლოო ჯამში, ყველა ჩანაწერმა მოახდინა გარკვეული გავლენა ელექტორატის განწყობაზე, თუმცა არა ისეთი დრამატული, როგორიც დამკვეთებს სურდათ. საგულისხმოა, რომ კომპრომატის ყოველი ახალი ულუფის შემდეგ, როგორც ხელისუფლების, ისე მისი ოპონენტების შტატიანი პროპაგანდისტები და უბრალო მხარდამჭერები ერთგვარ ტრანსში ვარდებოდნენ და სავსებით გულწრფელად არწმუნებდნენ ყველას, უპირველესად კი, საკუთარ თავს, რომ „ამის შემდეგ“ „ქართული ოცნების“ (ან „ნაცმოძრაობის“) საქმე დამთავრებულია — მაშინ, როდესაც ეს რეალობას აშკარად არ შეესაბამებოდა.

მიუხედავად იმისა, ვინ მიიღებს უფრო მეტ ხმას 28 ოქტომბერს, უკვე ცხადია, რომ საქართველოს მოსახლეობა ამ არჩევნებში დამარცხდა, რადგან ის კვლავ მიიყვანეს იმ წერტილამდე, არჩევანი ორ ბოროტებას შორის რომ უნდა გაეკეთებინა. მას არ აქვს არანაირი გარანტია იმისა, რომ ანალოგიური რამ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც არ განმეორდება.

**მიუხედავად იმისა, ვინ მიიღებს უფრო მეტ ხმას 28 ოქტომბერს, უკვე ცხადია, რომ საქართველოს მოსახლეობა ამ არჩევნებში დამარცხდა, რადგან ის კვლავ მიიყვანეს იმ წერტილამდე, არჩევანი ორ ბოროტებას შორის რომ უნდა გაეკეთებინა. მას არ აქვს არანაირი გარანტია იმისა, რომ ანალოგიური რამ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზეც არ განმეორდება**

**პენსიონერებს დღეში 0.666 თეთრი, ანუ 0.246 ცენტი ემატებათ და რისი ყიდვა შეიძლება 0.666 თეთრად? ერთი პურის — არა, ერთი კილო კარტოფილის — არა, ერთი კილო შაქრის — არა. ტუალეტის ქაღალდიც კი არ მოდის ამ ფასად, თქვე კაი ხალხო, და დღეში ლარი მაინც გაგემეტებინათ?! იტყოდით, სულ ცოტა, ერთი პური მოემატა პენსიონერსო... თუ ასე გაგრძელდა, ძალიან დიდია შანსი, რომ ამჟამინდელმა პარლამენტმა ბოლომდე ვერ მიაღწიოს და ხალხმა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები მოითხოვოს.**

ეროვნული ვალუტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ მაინცდამაინც გაუფასურებისკენ მიცურავს ეს ჩვენი ეროვნული ვალუტა

**ლარი უგზო-უკვლოდ მიქრის და ყოველ გაუფასურებას უკეთესი ცხოვრების მოლოდინზე მბჟუტავი ნაპერწკალი მიაქვს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ყველაფერს ერი თითქოს შეეგუა და ისეთი მძაფრი რეაქცია აღარ აქვს, როგორც ადრე. სამაგიეროდ, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად გვახსენებენ, რომ მათი წასვლის შედეგად ლარი თითქმის ერთი ლარით გაუფასურდა (სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ მათი დარჩენის შემთხვევაში დოლარი ორი ლარით გაუფასურდებოდა. — რედ.).**



გაუფასურდა ეროვნული ვალუტა და, შესაბამისად, გაძვირდა პროდუქტები. შესაძლოა, ვინმემ მისტიკაში გადავარდნად ჩამოგვართვას, მაგრამ, დღევანდელი კურსით, 2.70-ით რომ ვიანგარიშოთ, პენსიონერები 66.666 დოლარს იღებენ და ამ თანხით თვიდან თვემდე უნდა გაიტანონ თავი. ისე, ევროპული კონვენციების მიხედვით (იმ ევროპის, ასე რომ ვესწრაფვით და ვეტოლებით), ადამიანი, რომელსაც დღეში 2.50 დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვს, ღატაკად ითვლება. ჰოდა, აგერ, ბატონებო, ნახევარ მილიონზე მეტი ოფიციალური ღატაკი გყავთ ქვეყანაში და, არაოფიციალურად მათი რაოდენობა მილიონს რომ აჭარბებს, ჩვენზე კარგად უნდა იცოდეთ.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ **ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ფინანსთა ყველა მინისტრი ლარის გაუფასურების მთავარ მიზეზად საზოგადოების ცუდ მოლოდინს ასახელებდა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ: თურმე საზოგადოებას მომავლის იმედი არ აქვს, ხვალინდელი დღე დღევანდელზე უარესი ჰგონია და ამიტომაც არის, ლარი რომ უფასურდება.** ჰო, ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ფინანსთა ყველა მინისტრი იმეორებს ბიძინა ივანიშვილის ნათქვამს: ლარი ჯანსაღი ორგანიზმია, ცურავს და ეს ნორმალურიაო.

**„ბოლო პერიოდში ლარის კურსის ცვლილება, ძირითადად, შემოდგომაზე გაუფასურების მაღალმა მოლოდინმა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოლოდინს რეალური საფუძვლები არ აქვს. კიდევ ერთხელ გვსურს, აღვნიშნოთ, რომ საქართველოში მოქმედებს მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომელიც აუცილებელია ეკონომიკის გრძელვადიანი სტაბილური ზრდისა და დასაქმებისთვის. მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში, ბაზრისთვის დამახასიათებელია კურსის მოკლევადიანი ცვალებადობა, მათ შორის, მოლოდინებზე რეაგირება, რაც სავალუტო ბაზრის ბუნებრივი ქცევაა. ჩვენი მიზანია მინიმალური ჩარევა საბაზრო პროცესებში, თუმცა ეროვნული ბანკი ფლობს ადეკვატური რაოდენობის უცხოური ვალუტის რეზერვს, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, გონივრულად მიმართავს“,** — არ დაიჯერებთ და, ეს განცხადება **ეროვნულ ბანკს** ეკუთვნის.

რა გამოდის? ეროვნული ბანკი გვეუბნება: შეგვიძლია ლარის კურსზე გავლენა ვიქონიოთ, გავამყაროთ, მაგრამ არ ვერევით, ჯერ საამისო დრო არ დამდგარაო. აქვე შეგახსენებთ, რომ **ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, ვიცეპრეზიდენტებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ხელფასი თვეში, სულ ცოტა, ათი ათასი ლარი აქვთ და ადვილი მისახვედრია, რომ ლარის გაუფასურებას ისინი დიდად ვერ გრძნობენ. მათთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, პურის ფასი ათი თეთრით მოიმატებს თუ გაორმაგდება, მაინც არ ყიდულობენ** — ამას მათ ნაცვლად მოსამსახურეები აკეთებენ, ხმამაღლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზემოჩამოთვლილ გვამებს შინამოსამსახურეები ჰყავთ.

ბარემ ისიც ვთქვათ, რომ, ცოტა არ იყოს, სასაცილოა ცუდის ექვსწლიანი მოლოდინი. მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, ლარი გაუფასურების მეტს არაფერს აკეთებს, ანუ გამოდის, რომ მოქმედმა ხელისუფლებამ სრული ექვსი წლის განმავლობაში ვერც ერთხელ ვერ მოახერხა და უკეთესის მოლოდინი, უბრალოდ, ვერ შექმნა. უკეთესი მომავალი რომ ვერ შექმნა, გასაგებია, მაგრამ მოლოდინიც ვერ შექმნა, იმედიც მოკლა და ახლა სწორედ იმას გვაყვედრის: რომ არ გჯერათ, ლარი იმიტომ უფასურდება, ანუ თქვენი ბრალია, თორემ ჩვენ არაფერ შუაში ვართო.

ახლა ფინანსთა მინისტრს მოვუსმინოთ.

**„ეროვნულ ვალუტას გაუფასურების მიზეზი არ ჰქონდა. კურსის ვარდნა ცუდმა მოლოდინმა გამოიწვია. არასტაბილური ვითარების მოლოდინი ეროვნულ ვალუტას ურტყამს“,** — განაცხადა **ივანე მაჭავარიანმა.**

ანუ, ფინანსთა მინისტრიც იმავე აზრზეა, რაზეც ეროვნული ბანკი. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაჭავარიანს არ უთქვამს: კურსის გამყარება შეგვიძლია, მაგრამ არ ვერევითო. სხვათა შორის, მაჭავარიანს, წინამორბედისგან განსხვავებით, არც „ბლუჯა ფულის ამოღების“ პაროდია გაუკეთებია, თუმცა ფაქტია, რომ ეკონომიკური გუნდი ბედნიერი ადამიანის პაროდიას აკეთებს — **გაბრწყინებული სახეებით გვიმზერენ და ისიც კი გვითხრეს, ორი დღის წინათ საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრეზიდენტი რომ იყო ჩამოსული, ბედნიერი წავიდა, ყველა მითითება შესრულებულია, წინ მიიწევთო. ბატონებო, ვინმე აგვიხსნის, რას ნიშნავს წინსვლა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მოცემული საშინაო დავალებების სანიმუშოდ შესრულება?!** ყველაფერი რომ გაძვირდა და საქართველოს მოსახლეობის 80% მხოლოდ საკვების ფულის შოვნაზეა გადასულ-გადართული, არ იცით, ვერ ხვდებით თუ, უბრალოდ, არ იმჩნევთ?! დედაქალაქსა და რეგიონებში საკვების ნარჩენებზე ნამდვილი ნადირობა რომ არის გამოცხადებული და ლამისაა მაწანწალა ძაღლები მშიერი დადიან იმის გამო, რომ გაჭირვებული ხალხი ნარჩენებს სანაგვე ურნაში აღარ აჩერებს, არ გსმენიათ, არ იცით თუ ვერ ხედავთ?! რა, სავალუტო ფონდის რეკომენდაციები შეასრულეთ და ყველაფერი რიგზეა?! რა მცურავი კურსი და ჯანსაღი პროცესი?! კეთილი, ვთქვათ და დაგიჯერეთ, რომ ჯანსაღი პროცესი მიმდინარეობს და ლარი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, თავისუფალ ცურვაშია გაშვებული. **რატომ მაინცდამაინც გაუფასურებისკენ მიცურავს ეს ჩვენი ეროვნული ვალუტა და ერთხელ მაინც რატომ არ მიდის დინების, ანუ დოლარის საწინააღმდეგოდ და რატომ არ მყარდება?! დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიანო და ვაღიაროთ, რომ ლარი, მკვდარი თუ არა, აგონიაში მაინცაა და დინება უფსკრულისკენ მიაქროლებს.**

სხვათა შორის, **როცა ჩვენს მეზობელ თურქეთში გაუფასურდა ვალუტა ამერიკული სანქციების გამო, ქვეყნის პრეზიდენტმა ადგილობრივ მწარმოებლებს შეღავათები დაუწესა — აქაოდა, ის გააიაფეთ, რასაც ჩვენს ქვეყანაში ვაწარმოებთ, მოსახლეობა მსყიდველუნარიანი რომ იყოსო. ამ ნაბიჯმა გაამართლა — ინფლაციაც შეჩერდა, მოსახლეობა ადგილობრივ პროდუქტს მიეძალა და, გარდა იმისა, რომ ბიზნესმა ამოისუნთქა, ხალხმაც შვება იგრძნო და ინფლაცია იოლად გადააგორა.** არადა, კარგად გვახსოვს, როგორ გვეუბნებოდნენ ლარის მორიგი გაუფასურების გამო: თურქეთის ფაქტორი მუშაობს ჩვენზეცო. რეალურად კი, თურქეთმა თავი გადაირჩინა, ჩვენ კი გადარჩენაზე თითქოს არ ვფიქრობთ.

**როცა ჩვენს მეზობელ თურქეთში გაუფასურდა ვალუტა ამერიკული სანქციების გამო, ქვეყნის პრეზიდენტმა ადგილობრივ მწარმოებლებს შეღავათები დაუწესა — აქაოდა, ის გააიაფეთ, რასაც ჩვენს ქვეყანაში ვაწარმოებთ, მოსახლეობა მსყიდველუნარიანი რომ იყოსო. ამ ნაბიჯმა გაამართლა — ინფლაციაც შეჩერდა, მოსახლეობა ადგილობრივ პროდუქტს მიეძალა და, გარდა იმისა, რომ ბიზნესმა ამოისუნთქა, ხალხმაც შვება იგრძნო და ინფლაცია იოლად გადააგორა**

ახლა ხელისუფლებას ერთი ამბავი აქვს ატეხილი, მომდევნო წლიდან პენსიას ოცი ლარით ვზრდით და 200 ლარი გახდებაო. ნამდვილად ვერ გეტყვით, როგორი იქნება ნაახალწლევს ლარის კურსი, **მაგრამ პენსიონერებს დღეში 0.666 თეთრი, ანუ 0.246 ცენტი მოემატებათ და რისი ყიდვა შეიძლება 0.666 თეთრად? ერთი პურის — არა, ერთი კილო კარტოფილის — არა, ერთი კილო შაქრის — არა. ტუალეტის ქაღალდიც კი არ მოდის ამ ფასად, თქვე კაი ხალხო, და დღეში ლარი მაინც გაგემეტებინათ?! იტყოდით: სულ ცოტა, ერთი პური მოემატა პენსიონერსო.**

ჩვენ მიერ გადამოწმებული ინფორმაციით, გადაწყვეტილია, რომ 2020 წელს, ანუ მაშინ, როცა კარზე საპარლამენტო არჩევნები მოგვიკაკუნებს, ხელისუფლება პენსიის გაზრდას 250 ლარამდე აპირებს. არადა, **თუ ასე გაგრძელდა, ძალიან დიდია შანსი, რომ ხალხმა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები მოითხოვოს.** სხვაგვარად გამორიცხული იქნება გაძლება, რადგან ერი შიმშილობს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და მშიერი კაცი კასრში გამოყვანილ ვირთხასავითაა, ერთი ნატეხი პურის გამო მზადაა, თანამოძმე დაგლიჯოს. ახლა არ გვითხრათ: ვირთხებს როგორ ადარებთ ადამიანებსო?! საექსპერიმენტო ვირთხებად ვართ გადაქცეული და მართლა საოცარია, როგორ ახერხებენ ადამიანები თვიდან თვემდე თავის გატანას. და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ხელისუფლებას უკეთესი წარმოდგენა აქვს ჩვენზე, ძალიან ცდებით. ასე რომ იყოს, ადამიანურად მოგვეპყრობოდნენ, ადამიანური მოპყრობის კი ჯერჯერობით არაფერი ჩანს. და მაინც, ამ ყველაფერში საგანგაშო მოსახლეობის მიჩვევა და ხელისუფლების განმარტებებია. მთავრობა პირდაპირ გვეუბნება: თქვენი ბრალია, იმედიანად რომ იყოთ, ლარი არ გაუფასურდებოდაო. არადა, **სწორედ იმედით და საოცარი მეოთხე წლის მოლოდინით შეცვალა ამომრჩეველმა ხელისუფლება 2012 წელს და სანაცვლოდ ვერაფერი მიიღო. ახლა კი ისევ არჩევანის წინაშე დგას და... ისევ ცუდსა და უარესს შორის უნდა აირჩიოს. აი, ეს კი ნამდვილად არ შეცვლილა საქართველოში, აგერ უკვე მესამე ათეული წელიწადია.**

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S.** ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში ვწერდით დოლარის მიმართ ლარის გაუფასურების ნამდვილ მიზეზზე. სინამდვილე ის არის, რომ აშშ ნაღდ დოლარს თანდათან იღებს ბრუნვიდან და ეს პროცესი უფრო და უფრო დაჩქარდება. მაშასადამე, ნაღდი დოლარი სულ უფრო დიდი დეფიციტი გახდება და, ესე იგი, გაძვირდება. ეს გარდაუვალი პროცესია. რადგანაც საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე არსებული პროდუქციის უმრავლესობა იმპორტირებულია, ანუ აშშ დოლარზეა ნაყიდი, სამომხმარებლო ფასებიც (ლარში) განუხრელად გაიზრდება. ესეც გარდაუვალია.

რა არის ამის წამალი? — ეკონომიკის დედოლარიზაცია. ამ მიმართულებით ხელისუფლებას გაცხადებული აქვს კურსი, მაგრამ შედეგი არ ჩანს, ქმედებები ფრიად უსუსურია. მთავარი არის ადგილობრივი წარმოების მაქსიმალური განვითარება, რომ ჩვენთვის საკმარისი პროდუქცია, პირველ რიგში, კვების პროდუქტები და პირველადი მოთხოვნილების საქონელი, თვითონვე ვაწარმოოთ და ამაში ინვესტიციები საქართველომ ეროვნულ ვალუტაში — ლარში განახორციელოს. ამის ყველანაირი შესაძლებლობა გვაქვს, გვაკლია მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკური ნება. სხვა საქმეა, რომ ის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებისკენ სწრაფვით თავს იწონებს ხელისუფლება და სადაც არავინ არ მიგვიღებს (არც ნატოში და არც ევროკავშირში), ამის უფლებას არ მოგვცემენ. ისინი დაინტერესებულნი არიან, რომ საქართველოში ცოტად თუ ბევრად მოქმედი ნებისმიერი ბიზნესი დოლარში ან ევროში აღებული კრედიტებით ფუნქციონირებდეს, რომ ქვეყანაში შექმნილი მთელი მოგება (ამა თუ იმ დარგის კურატორი სახელმწიფო მოხელის პირადი მოგების გამოკლებით) მათ ჩაიჯიბონ კრედიტზე გადასახდელი მაქსიმალური პროცენტის სახით.

მართლმადიდებლობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„გასული საუკუნის 90-იან წლებში ფილარეტი რუსეთის საპატრიარქომ განკვეთა იმის გამო, რომ მან თვითნებურად, თავის პატრიარქთან შეუთანხმებლად, თავი გამოაცხადა დამოუკიდებელი უკრაინის პატრიარქად და ამით უხეშად დაარღვია საეკლესიო კანონიკური ნორმები. ახლა წარმოიდგინეთ, აფხაზეთში მყოფი თვითმარქვია სასულიერო პირებიდან რომელიმემ თავი პატრიარქად რომ გამოაცხადოს და აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიაზე დაიწყოს საუბარი, ბუნებრივია, ჩვენს საპატრიარქოს შესაბამისი რეაქცია ექნება“.



# მამა დავითი (ქვლივიძე): დღეს ბართოლომეოსს ეს თუ გაუვიდა, ხვალ აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას გამოაცხადებს

**კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსის მიერ უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების კვალდაკვალ „ლიბერალური“ მედია საზოგადოებას კვლავ ცრუ ინფორმაციას აწვდის და მიმდინარე პროცესებს თავდაყირა აყენებს. კერძოდ, ბოლო პერიოდში სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით სულ უფრო ხშირად ისმის შეფასებები, რომ მოსკოვის საპატრიარქო კიევში თავის საეკლესიო იურისდიქციას კრემლის ინტერესებისთვის იყენებს და რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, როგორც კიევის მიტროპოლიის დამფუძნებელს, სრული უფლება აქვს, „თავის კანონიკურ სამწყსოს“ ავტოკეფალია მიანიჭოს. ასევე ისმის განცხადებები იმის თაობაზე, რომ „ისტორიული სამართლიანობის“ თანახმად, მოსკოვის კათედრა უნდა ემორჩილებოდეს კიევისას და არა პირიქით, რომ რუსეთის ეკლესიამ თავის დროზე კანონიკური ნორმების დარღვევით მიიტაცა კიევის კათედრა და ა.შ. რაც შეეხება იმას, რომ მსოფლიო პატრიარქი საერთო საეკლესიო კონსესუსს არ დაელოდა და თვითნებურად, რუსეთის ეკლესიასთან შეუთახმებლად მიიღო გადაწყვეტილება, „ლიბერალური“ პროპაგანდის თანახმად, ამაზე ყურადღებას მხოლოდ კრემლის მიერ მართული პოლიტიკური (და არამხოლოდ) სუბიექტები ამახვილებენ, რაც თურმე რეალურად სრულიად უსაფუძვლო არგუმენტია. იგივე „ლიბერალური“ პროპაგანდა არ ან ვერ ხსნის, სამართლანად და კანონიკური ნორმების დაცვით დაიწყო თუ არა ბართოლომეოსმა აქამდე განხეთქილებაში მყოფი ფილარეტისთვის ანათემის მოხსნის პროცედურა, სამართლიანად გაგზავნა თუ არა კიევში ეგზარქოსები და ა.შ. რა პროცესები მიდის დღეს რეალურად მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროში და რა შეიძლება ამას მოჰყვეს მომავალში? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თბილისის ვაშლიჯვრის ნათლისღების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი დავითი (ქვლივიძე).**

**— მამაო, მსოფლიო პატრიარქის ქმედებები რუსეთის ეკლესიის მიმართ სულ უფრო მწვავე დაპირისპირების საგანი ხდება. „ლიბერალურ“ პროპაგანდას თუ დავუჯერებთ, ბართოლომეოსი კანონიკური ნორმების სრული დაცვით მოქმედებს. კიდევ ერთხელ განვუმარტოთ საზოგადოებას, რა პროცესები მიმდინარეობს და რის უფლება აქვს რეალურად მსოფლიო პატრიარქს...**

— უწინარესად, მინდა გითხრათ, რომ სჯულის კანონით, არათუ სხვა ეკლესიის საზღვრებში არ შეუძლია რომელიმე ეკლესიის ხელმძღვანელს შეჭრა, ერთი ეკლესიის ეპისკოპოსებიც კი ვერ შეიჭრებიან ერთმანეთის ეპარქიებში, თუ მათ შორის წინასწარი თანხმობა არ იქნება. გამომდინარე აქედან, **მსოფლიო პატრიარქს, რა თქმა უნდა, არანაირი უფლება არ აქვს, სხვის ეკლესიაში შეიჭრას და აკეთოს ის, რაც მას სურს.** მეორე საკითხი — მსოფლიო პატრიარქობა არ ნიშნავს, რომ ის დედამიწის პატრიარქია. საერთოდ, სიტყვა მსოფლიო მას მიენიჭა მას შემდეგ, რაც კონსტანტინოპოლი გახდა ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი და მსოფლიო დედაქალაქად იხსენიებოდა. სხვათა შორის, მაშინ კონსტანტინოპოლის დაცვის უფროსსაც მსოფლიო დაცვის უფროსი ეწოდებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ის სრულიად მსოფლიოს დაცვის ორგანიზატორი იყო. უბრალოდ, წოდება არსებობდა ასეთი, სანამ ბიზანტიის იმპერია დაეცემოდა, თუმცა დღეს არც ბიზანტიაა და კონსტანტინოპოლიც სტამბოლად მოიხსენიება.

**— გამოდის, რომ ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წელი) კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ დაკარგა ლეგიტიმაცია, რომ მსოფლიო საპატრიარქოდ იწოდებოდეს?**

— იმპერიის დაცემის შემდეგ მესამე რომის ფუნქცია აიღო მოსკოვმა და ეს დღემდე ასეა. ამიტომაა, რომ რუსეთის გერბი დღესაც ორთავიანი არწივია, რომელიც ადრე ბიზანტიის გერბი იყო. რაც შეეხება კონკრეტულად იმ მოვლენებს, რაც უკრაინაში ხდება, **გასული საუკუნის 90-იან წლებში ფილარეტი რუსეთის საპატრიარქომ იმის გამო განკვეთა, რომ მან თვითნებურად, თავის პატრიარქთან შეუთანხმებლად, თავი გამოაცხადა დამოუკიდებელი უკრაინის პატრიარქად და ამით უხეშად დაარღვია საეკლესიო კანონიკური ნორმები. ახლა წარმოიდგინეთ, აფხაზეთში მყოფი თვითმარქვია სასულიერო პირებიდან რომელიმემ თავი პატრიარქად რომ გამოაცხადოს და აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიაზე დაიწყოს საუბარი, ბუნებრივია, ჩვენს საპატრიარქოს შესაბამისი რეაქცია ექნება.** ზუსტად ასეთივე რეაქცია **აქვს დღეს მოსკოვის საპატრიარქოს. ანუ, თავის დროზე მან ანათემა დაადო ფილარეტს, რომელმაც არ გაითვალისწინა არაერთი გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ შეეწყვიტა თვითნებური ქმედებები და, სხვათა შორის, ამ ანათემას მაშინ წერილობით დაეთანხმა თვით ბართოლომეოსიც...**

**— თუმცა მანვე დაიწყო ამ ანათემის მოხსნის პროცედურა.**

— ამაზეც მოგახსენებთ, მაგრამ ჯერ იმაზე ვისაუბროთ, რაც მანამდე იყო. **მას შემდეგ, რაც ფილარეტს ანათემა დაადეს და განკვეთეს, განხეთქილებაში მყოფ უკრაინის ეკლესიასთან ყველამ გაწყვიტა ევქარისტული კავშირი.** ეს ნიშნავს, რომ ფილარეტს, უკრაინის თვითაღიარებულ პატრიარქს, არ შეეძლო იერუსალიმის პატრიარქთან ერთად ქრისტეს საფლავზე ლოცვა, არ შეეძლო ათონის მთაზე ასვლა და იქ ლოცვა... აი, ამ ვითარებაში ადგა ბართოლომეოსი და ფილარეტს მოუხსნა ანათემა, რის უფლებაც მას, ბუნებრივია, არ ჰქონდა; იმიტომ, რომ ანათემის მოხსნის უფლება მარტო მას აქვს, ვინც დაადო სასჯელი. რაც შეეხება შეფასებებს, რომლებიც ამ ფაქტს მოჰყვა, სიმართლე გითხრათ, ცოტა არ იყოს, **გაოცებული ვარ, როცა ჩვენი ეკლესიის ზოგიერთი მღვდელმთავარი ბართოლომეოსს უჭერს მხარს. უბრალოდ, მაინტერესებს: მათ რომ საკუთარ ეპარქიაში მღვდელი დასჯილი ჰყავდეთ და ამ დროს სხვა ეპისკოპოსმა ამ მღვდელს თვითნებურად მსახურების უფლება მისცეს, რა რეაქცია ექნებათ?**

**— ალბათ, იტყვიან, რომ ეს კანონიკური ნორმების დარღვევაა.**

— ჰოდა, მაშინ ბართოლომეოსის ქმედება არ არის ნორმების დარღვევა? სჯულის კანონი ხომ ყველასთვის ერთია?! ან წარმოიდგინეთ ასეთი რამ: აფხაზეთის რომელიმე სასულიერი პირმა ეპისკოპოსად რომ გამოაცხადოს თავი და აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა მოითხოვოს. ახლა ვისაუბროთ იმაზე, რა საფრთხეების შემცველი შეიძლება იყოს ჩვენთვის ეს ყოველივე. **1686 წელს კონსტანტინოპოლმა რუსეთის საპატრიარქოს გადასცა კიევის მიტროპოლია და დღეს გაიძახიან, რომ სამასი წლის წინათ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება უნდათ. ხვალზეგ ზუსტად ასევე შეიძლება დაარღვიონ მათ საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაც, იმ შემთხვევაში თუ მათ ჩვენი რაიმე ქმედება არ მოეწონათ, და გვითხრან, რომ აფხაზეთის ეკლესია მეათე საუკუნემდე ემორჩილებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს და ეს „ისტორიული სამართლიანობა“ უნდა აღდგესო.** იმის თქმა მინდა, რომ ძალიან ცუდი და სახიფათო პრეცენდენტი შეიქმნა, მაგრამ ეს საფრთხე მხოლოდ საქართველოს არ ემუქრება.

**— კიდევ ვის რა შეიძლება დაემუქროს?**

— განხეთქილებამ შეიძლება სრულიად მართლმადიდებელი სამყარო მოიცვას, ანუ ამ პრეცენდენტის შემდეგ ისინი შეიძლება სერბეთის კანონიკურ სივრცეში შეიჭრან და ბოსნია-ჰერცოგოვინა აღიარონ, ჩერნოგორია აღიარონ, მაკედონია და ყველა დაიმორჩილონ. ძალიან მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ **ბართოლომეოსს პაპიზმის ინსტიტუტის გადმოტანა უნდა აღმოსავლეთში. მხედველობაში მაქვს ის, რომ მას სურს, ერთპიროვნულად მართოს ეკლესია, რაც ყოვლად დაუშვებელია.** საერთოდ, მართლმადიდებელ სამყაროში ეკლესიას მართავს კრება და იქ ერთპიროვნულად ვერავინ ვერაფერს გადაწყვეტს, თუ მას სინოდი არ დაეთანხმა. აი, ამის შეცვლა უნდა და ჩვენ უკვე ვხედავთ მცდელობებს, რომ ბართოლომეოსს სურს რომის პაპივით ერთპიროვნულად გადაწყვიტოს ყველაფერი. კიდევ ვიმეორებ: **ეს არის პაპიზმის გადმოტანის მცდელობა მართლმადიდებელ სამყაროში და ეს, არც მეტი, არც ნაკლები, მართლმადიდებლობის სტრუქტურის რღვევაა. რაც შეეხება უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას, სანამ არ იქნება რუსეთის დედაეკლესიის თანხმობა და აღიარება, ჩვენ ამას არვითარ შემთხვევაში არ უნდა დავუჭიროთ მხარი. სჯულის კანონით ასეა და სხვანაირად მოქცევის უფლება არავის აქვს...**

**— მოდი, მიზეზებზე ვისაუბროთ. რით შეიძლება იყოს განპირობებული კონსტანტინოპოლის ქმედებები?**

— არ ვიცი, მათ რა მოტივი ამოძრავებთ ან შეიძლება ამოძრავებდეთ, მაგრამ ფაქტია, რომ მერვე მსოფლიო კრება ვერ ჩატარდა სხვა ეკლესიების მასში მონაწილეობაზე უარის თქმის გამო; ის, რომ ჩაიშალა მღვდლების ორცოლიანობა, მარხვების შემცირება, პროფანაცია და მართლმადიდებლობის მოდერნიზაცია ვერ მოახერხეს... აი, ზუსტად ამის შემდეგ აიღეს მათ ის გეზი, რომ დაიმორჩილონ და მართონ მართლმადიდებელი სამყარო, მაგრამ ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ, ეს არ გაუვათ. ეს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საფუძველს ეწინააღმდეგება.

**— თუ გაუვიდათ?**

— თუ გაუვათ, დღეს, ხვალ თუ ზეგ, როცა საქართველოს ეკლესიის პოზიცია არ იქნება თანხვედრი კონსტანტინოპოლის სურვილებთან, ის აუცილებლად აამოქმედებს მის ხელთ არსებულ ბერკეტებს. მაგალითად, გამოყოფს აფხაზეთს, მიზეზებისა და არგუმენტების პოვნა კი არ გაუჭირდებათ.

**— გამოდის, რომ ორ ცეცხლს შუა ვართ — თუ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსკენ არ ვიქნებით, მსოფლიო პატრიარქი დაარღვევს ჩვენი ეკლესიის კანონიკურ სივრცეს; თუ მას მივემხრობით, შეიძლება რუსეთმა გააკეთოს იგივე.**

— ორ ცეცხლს შუა არ ვართ. **ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რასაც საეკლესიო სამართალი გვეუბნება. ბართოლომეოსს არ უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების საშუალება ერთპიროვნულად და ველარ უნდა გაბედოს სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების იურისდიქციაში შეჭრა. ეკლესიას აქვს თავისი სამოქმედო კოდექსი, რომელსაც სჯულის კანონი ჰქვია, და არავის არ უნდა ჰქონდეს მისი დარღვევის უფლება.** თუმცა აქ არის დარღვევათა მთელი კასკადი... ისე, მსოფლიო საპატრიარქოსგან ასეთი ქმედებები დღეს და გუშინ არ დაწყებულა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა **მელეტიმ** კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ახალ სტილზე გადაიყვანა. ამას მოჰყვა დიდი არეულობა, ხალხი გამოვიდა ქუჩაში და იარაღის ძალით ჩაახშეს ეს გამოსვლები. შემდეგ მოხდა განხეთქილება და დღეს საბერძნეთში შვიდი სინოდია. ამ ყველაფრის მიზეზი იყო მაშინდელი საპატრიარქოს არასწორი მოქმედება. სხვათა შორის, შემდეგ ის პატრიარქი ალექსანდრიაში გადაიყვანეს. იქაც იგივე გააკეთა, გადაიყვანეს ანტიოქიაში, სადაც ასევე არია ვითარება. ბოლოს იერუსალიმის პატრიარქობა დაუპირეს, მაგრამ გარდაიცვალა. მისი გარდაცვალება კი ასეა აღწერილი: ყვიროდა, ცეცხლი მიკიდია, ხელები მემტვრევა და მეწვისო. ეს ის ხელები იყო, რომლითაც იმ კანონებს წერდა. საერთოდ, შემთხვევით და უმიზეზოდ არაფერი ხდება. ასე რომ, როგორც ჩანს, **დღეს ღმერთი უშვებს ამ განსაცდელს.** აი, ამ ყველაფრის გათვალისწინებით ჩვენთვის ეს უნდა იყოს მაგალითი და კიდევ ვიმეორებ: **დღეს თუ ბართოლომეოსს ეს გამოუვიდა, ხვალ აფხაზე-** ▶

«გაოცებული ვარ, როცა ჩვენი ეკლესიის ზოგიერთი მღვდელმთავარი ბართოლომეოსს უჭერს მხარს. უბრალოდ, მაინტერესებს: მათ რომ საკუთარ ეპარქიაში მღვდელი დასჯილი ჰყავდეთ და ამ დროს სხვა ეპისკოპოსმა ამ მღვდელს თვითნებურად მსახურების უფლება მისცეს, რა რეაქცია ექნებათ?»

**ფილარეტმა, რომელიც იმ პერიოდში კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი იყო, მეტი მონდომა და მუქარითა და შანტაჟით აიძულა საეკლესიო კრების მონაწილენი, ხელი მოეწერათ მოსკოვისადმი მიმართვის ტექსტზე. რამდენიმე თვის შემდეგ გამართულ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრებაზე უკრაინელმა ეპისკოპოსებმა გაიწვიეს თავიანთი ხელმოწერები, ფილარეტმა კი მოინანია ჩადენილი და ჯვარსა და სახარებაზე დაიფიცა, რომ გადადგებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კიევში დაბრუნებისთანავე დაარღვია ფიცი და მოუწოდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს, შეერთებოდა თავის „ავტოკეფალურ ეკლესიას“.**

მართლმადიდებლობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **თის ეკლესიის დამოუკიდებლობას გამოაცხადებს.**

**— რას იტყვით რუსეთის ეკლესიის მიერ აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებაზე?**

— მოსკოვის საპატრიარქო აქამდე აცხადებდა, რომ აფხაზეთის ეკლესიაზე საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება. თუ ჩვენ კონსტანტინოპოლის ეკლესიის ქმედებას გავამართლებთ და მას თანადგომას გამოვუცხადებთ, მაშინ შესაძლებელია, რომ რუსეთის ეკლესიამ მხარი დაუჭიროს აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიას და განაცხადოს, რომ გიორგი VIII-ის მეფობის პერიოდში ერთიანი საქართველო დაიშლა, რასაც ავტომატურად მოჰყვა საქართველოს ეკლესიის გაყოფაც. შედეგად XV საუკუნის 70-იან წლებში აფხაზეთის დამოუკიდებელი საკათალიკოსოც ჩამოყალიბდა, რომელიც იმყოფებოდა იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში. იგი არსებობდა 1812 წლამდე — რუსეთის იმპერიის მიერ იმერეთის სამეფოს შეერთებამდე. მალე ეს საკათალიკოსოც გაუქმდა. ახლა ჩვენი არასწორი ქმედების გამო, რუსეთის ეკლესიამ შეიძლება თქვას, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს გაუქმებით ისტორიული შეცდომა დაუშვა და ახლა გამოასწორებს, ანუ აღიარებს აფხაზეთის საპატრიარქოს. აქვე გავიხსენოთ, რომ კიევის საეკლესიო მმართველობას პატრიარქი არასდროს ჰყოლია, აფხაზეთი კი სამი საუკუნე დამოუკიდებელ საკათალიკოსოდ იწოდებოდა. შედეგად, **შეიძლება ძალიან რთულ ვითარებაში აღმოვჩნდეთ: თუ დღეს მოსკოვის საპატრიარქო აფხაზეთის ეკლესიას ჯერ კიდევ საქართველოს იურისდიქციაში განიხილავს, მომავალში ვითარება შეიძლება მკვეთრად შეიცვალოს.**

**— მამაო, რას ფიქრობთ, რატომ დაუშვა ღმერთმა ასეთი განსაცდელი რუსეთის ეკლესიაზე?**

— თითქმის 1000 წელია, რუსეთის ეკლესია არსებობს. მის წიაღში უამრავი წმიდა მამა მოღვაწეობდა. მათი ღვაწლით ეკლესიის საზღვრები განუწყვეტლივ ფართოვდებოდა და იზრდებოდა. ამ ეკლესიაში დღენიადაგ იქადაგებოდა, რომ ქრისტეა ერთადერთი მაცხონებელი, ადამიანის სამოთხეში შემყვანი და მხოლოდ ქრისტეს ნათლობით და მასთან თანაზიარობით შეიძლება ცხონება. მაგრამ ორი თვის წინათ რუსეთის ეკლესიამ დაუშვა საბედისწერო შეცდომა და სინოდის დონეზე დაადგინა, რომ უნათლავი ჩვილისთვის შეიძლება წესის აგება და ამისთვის საგანგებო მსახურებაც კი შეადგინა. ეს კი ავტომატურად ნიშნავს, რომ ნათლობის, ანუ ჯვარცმის გარეშე (სლავურად ნათლობას ქვია крещение, ანუ ჯვარზე გაკვრა) ცხონება შესაძლებელია. მათი ლოგიკით, იესო ქრისტე მაცხოვარი არ არის, რადგან მის გარეშეც შესაძლებელია ცხონება. შედეგიც აშკარაა. ამიტომ უნდა ვილოცოთ, რომ ჩვენმა სინოდმა ყოველთვის სწორი დადგენილებები გამოიტანოს, რათა ეკლესია და ქვეყანა არ დაისაჯოს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

# ჯერ დათვი არ მოუკლავთ და უკრაინელი «რასკოლნიკები» უკვე მისი ტყავის გაყოფაზე ჩხუბობენ



ჯვარსა და სახარებაზე დადებული ფიცის გამტეხი

**როგორც კი ცნო კონსტანტინოპოლმა უკრაინელი „რასკოლნიკები“ (განხეთქილების შემომტანები), ისინი უმალ წაეკიდნენ ერთმანეთს. არაკანონიკურმა უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ „კიევის საპატრიარქოს“ მეთაურს, ფილარეტს, ბრალი დასდო კომპრომისის მიუღებლობაში. ჩანს, „დამოუკიდებელი ეკლესიის“ პროექტს განხორციელება არ უწერია, მთელი რიგი მიზეზების გამო.**

## „წაგვართვეს ტაძარი“

„დაე, იცოდნენ ჩვენმა მტრებმა, რომ აქაც გავიმარჯვებთ და შევქმნით უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას „კიევის პატრიარქის“ მეთაურობით. თუმცა, ბევრი ფიქრობს, რომ არა პატრიარქი, მიტროპოლიტი იქნება მის სათავეში. არა!.. არა!..“ — აქ „რასკოლნიკთა“ ლიდერმა **ფილარეტმა** აღმართა საჩვენებელი თითი და 15 ათასმა ადამიანმა, რომლებიც ყვითელ-ცისფერი დროშებით სოფიის მოედანზე შეიკრიბნენ 14 ოქტომბერს, ტაში დაუკრა მას. ფილარეტის უკან იდგა კიდევ ერთი არაკანონიკური სტრუქტურის — უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლი, მიტროპოლიტი **მაკარი**. ტელეეკრანზე გამოჩნდა მისი უკმაყოფილო სახე. ამ ორ ლიდერს შორის უსიამოვნო საუბარიც კი გაიმართა, რომლის შესახებ ორიოდ დღეში მაკარმა ჟურნალისტებს განუცხადა. გაირკვა, რომ „უკრაინის ერთიანი ეკლესიის“ შექმნას დიდი პრობლემები ელობება წინ. ეს იქვე, სოფიის მოედანზე გაცხადდა.

**„როცა ერთმანეთს შევხვდით (14 ოქტომბერს), პატრიარქმა (ფილარეტმა) მითხრა, რომ სასწრაფოდ უნდა მოვიწვიოთ საეკლესიო კრება. ვეუბნები: „კრების მოწვევის წესდება არ არსებობს“. „წესდება მე მაქვს“. „მეც მაქვს, მაგრამ ორი წესდებიდან ერთი წესდება უნდა გაკეთდეს“. მან მიპასუხა: „არა, იქნება ჩემი წესდება“. 2015 წელიწადი მეორდება“,** — დაიჩივლა მაკარმა უკრაინულ ტელეარხ Zik-ის მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში. ამით, ფაქტობრივად, აღიარა, რომ „უკრაინის ავტოკეფალიის“ პროექტს აღსრულება არ უწერია. და აი, რატომ: **ჯერ ერთი,** სასურველი ტომოსის (ავტოკეფალიის დამადასტურებელი დოკუმენტის) მიღებამდე, უკრიანელი „რასკოლნიკები“ ერთ სტრუქტურად უნდა ჩამოყალიბდნენ. სწორედ ამიტომ პატრიარქმა ბართოლომეოსმა მოახდინა „კიევის საპატრიარქოსა“ და უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ლეგალიზება. თუმცა **თავდაპირველად ლაპარაკი იყო ისეთი სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც უნდა დამორჩილებოდა კონსტანტინოპოლს: სწორედ ამიტომ გაგზავნა კიევს ეგზარქოსები, მაგრამ სად უნდა ჩაატარონ ღვთისმსახურება? კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელ ეკლესიას უკრაინაში უძრავი ქონება არ აქვს. შესაძლებელია, რომ სწორედ ეს იქცა „რასკოლნიკების“ „შეწყალების“ ერთ-ერთ არგუმენტად, თუმცა ამის (შეწყალების) უფლება მხოლოდ რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს** (მას, ვინც ანათემას გადასცა).

**მეორე**, სწორედ უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიისა და „კიევის საპატრიარქოს“ „გამაერთიანებელ საეკლესიო კრებაზე“ უნდა მოიფიქრონ ახალი სტრუქტურის სახელწოდება და დაამტკიცონ მისი წესდება. ეს აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ამ გაერთიანების ოფიციალური რეგისტრაციისთვის. ამის შემდეგ იგი გახდება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნაწილი (ბართოლომეოსმა გადაწყვიტა, კიევში გახსნას წარმომადგენლობა, თუმცა ჯერ ვერ გაარკვია, კერძოდ, სად) და სახელმწიფო ახალ ეკლესიას სარგებლობაში გადასცემს ერთ ან რამდენიმე ტაძარს. **პეტრე პოროშენკო** უკვე დაჰპირდა კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელ ეკლესიას წმინდა ანდრიას ტაძარს, რომელიც დღეს უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარ ტაძრად არის მიჩნეული. **მაკარმა** ეს არ მოიწონა. **„პრეზიდენტს საკითხი დავუსვი — ჩვენ ვაძლევთ ერთადერთ კათედრალს, სამაგიეროდ ჩვენ რაღაც ხომ უნდა მოგვცენ? ვნახოთ, ასე იქნება თუ არა“,** — არცთუ მეგობრულად განაცხადა მან.

**მესამე**, „რასკოლნიკები“ ერთმანეთში პირველად როდი ვერ თანხმდებიან. მაკარმა 2015 წელი ამაოდ არ გაიხსენა: ჯერ კიდევ მაშინ უკრაინის სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია და „კიევის საპატრიარქო“ აპირებდნენ „უკრაინის ერთიან ეკლესიად“ ჩამოყალიბებას, გაერთიანებული საეკლესიო კრების გამართვას, რომელზეც აირჩევდნენ „წინამძღვარს“ და შემდეგ პატრიარქ ბართოლომეოსს სთხოვდნენ ავტოკეფალიის მინიჭებას. არ გამოუვიდათ — მაკარმა ბრალი დასდო ფილარეტს უპატივცემლობასა და „კომპრომისზე უარის თქმაში“. ზუსტად ასეთი სცენარი გათამაშდა 2005 წელსაც და 1990-იანი წლების დასაწყისშიც.

## „ფანტომური მიტროპოლიტი“

დაძაბულობის ცეცხლს აღვივებს ფილარეტის აშკარა სურვილი, სათავეში ჩაუდგეს ახალ სტრუქტურას. ეს გასაჯაროვდა სოფიის მოედანზე მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაშიც. „სრულიად უკრაინა მონაწილეობდა ავტოკეფალიის წყალობის პროცესში... მაგრამ ამას სათავე დავუდეთ ჩვენ 1991 წლის 1-3 ნოემბერს“, — განაცხადა „პატრიარქმა“. მაშინ უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის არქიელთა კრებამ მიიღო მიმართვა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ. ამ დროს, 1991 წელს, იგი მოსკოვის საპატრიარქოსგან უკვე სრულიად დამოუკიდებელი იყო ადმინისტრაციულად და ფინანსურად და მხოლოდ ნომინალურად ექვემდებარებოდა მას.

მაგრამ **ფილარეტმა, რომელიც იმ პერიოდში კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი იყო, მეტი მონდომა და მუქარითა და შანტაჟით აიძულა საეკლესიო კრების მონაწილენი, ხელი მოეწერათ მოსკოვისადმი მიმართვის ტექსტზე. რამდენიმე თვის შემდეგ გამართულ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრებაზე უკრაინელმა ეპისკოპოსებმა გაიწვიეს თავიანთი ხელმოწერები, ფილარეტმა კი მოინანია ჩადენილი და ჯვარსა და სახარებაზე დაიფიცა, რომ გადადგებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კიევში დაბრუნებისთანავე დაარღვია ფიცი და მოუწოდა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს, შეერთებოდა თავის „ავტოკეფალიურ ეკლესიას“.**

„მრევლის წევრები ამას არ ელოდნენ, რადგან 1991 წლამდე ფილარეტი აცხადებდა, რომ ავტოკეფალიის წინააღმდეგი იყო და მოულოდნელად მკვეთრად შეიცვალა პოზიცია. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ მორწმუნენი მას ვერ ენდობოდნენ და კანონიკური ეკლესიის ერთგულნი დარჩნენ“, — იხსენებს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის პრესმდივანი **ვასილი ანისიმოვი.**

1992 წლის მაისში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის არქიელთა კრებამ ფილარეტი წინამძღოლის თანამდებობიდან გაისტუმრა, ხოლო ივნისში რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ღვთისმსახურის წოდება ჩამოართვა. **უბრალო ბერმა ფილარეტმა თვითნებურად შექმნა „კიევის საპატრიარქო“, 1995 წელს კი გამოაცხადა, რომ არის „კიევისა და სრულიად რუსეთ-უკრაინის პატრიარქი“. ორი წლის შემდეგ ფიცის გატეხვის მონანიებაზე უარის თქმისა და „რასკოლნიკური“ მოღვაწეობის გაგრძელების გამო რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ანათემას გადასცა.** და აი, 11 წლის შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა აღუდგინა ფილარეტს „წოდება“, ანუ მიტროპოლიტობა დაუბრუნა (აღუდგინა — დაუბრუნა ის, რაც მას არ ჩამოურთმევია. ვინ მისცა ბართოლომეოსს ამის უფლება? — რედ.).

„ვფიქრობ, კონსტანტინოპოლი ფილარეტისთვის კვანტის გამოკვრას შეეცადა: იგი მიიღეს, ფაქტობრივად, როგორც პენსიაზე გასული მიტროპოლიტი (და არა პატრიარქი!). კონსტანტინოპოლის მიტოპოლიტ **იობს (გეჩას)** ერთ-ერთ ინტერვიუში წამოსცდა, რომ ფილარეტი არის აბსტრაქტული ფიგურა „კიევის საპატრიარქოს“ გარეშე“, — მიიჩნევს ეკლესიის ისტორიკოსი **ვლადისლავ პეტრუშკო.**

ფილარეტმა, როგორც კი შეიტყო კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილება, საჯაროდ განაცხადა: „პატრიარქი ვიყავი, ვარ და ვიქნები!“

სიტუაცია ჩიხურია: კონსტანტინოპოლი, ეტყობა, ცდილობს, დატოვოს ფილარეტი უკრაინის ახალი რელიგიური სტრუქტურის მიღმა, იგი კი ჯიუტად მიიწევს ლიდერობისკენ — თანაც პატრიარქზე ნაკლები წოდება არ სურს, რისი განხორციელებაც საეჭვოა.

„პატრიარქის ძველი სტატუსი (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის) დადასტურებულია 451 წელს ქალკედონიაში გამართული მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ. მომდევნო შემთხვევებში პატრიარქის წოდების მინიჭება საეკლესიო კრების აქტებით იყო დადასტურებული. კონსტანტინოპოლმა რომელიღაც ახალწარმოქმნილ „უკრაინის ერთიან ეკლესიას“ ავტოკეფალია რომც მიანიჭოს, ეს არ ნიშნავს, მისთვის ავტომატურად საპატრიარქოს სტატუსის მინიჭებას. ამისთვის აუცილებელია საეკლესიო კრების გადაწყვეტილება“, — განმარტავს პეტრუშენკო.

ამჟამად ძნელია იმის განჭვრეტა, რით დასრულდება კონფლიქტი „პატრიარქ“ ფილარეტსა და „მიტროპოლიტ“ მაკარს შორის. ბევრი რამ არის დამოკიდებული მათ უკან მდგომ პოლიტიკურ ძალებზე, იმავე პოროშენკოზე, რომლის რეიტინგიც კატასტროფულად დაბალია. დაპირისპირებულთა შერიგებას მისი წინამორბედები — **ლეონიდ კრავჩუკი** და **ვიქტორ იუშჩენკო** შეეცადნენ, მაგრამ ვერც მათ, ვერც სხვებმა კონფლიქტი ვერ ჩააცხრეს.

**ანტონ სკრიპუნოვი**
**РИА Новости**

**სიტუაცია ჩიხურია: კონსტანტინოპოლი, ეტყობა, ცდილობს, დატოვოს ფილარეტი უკრაინის ახალი რელიგიური სტრუქტურის მიღმა, იგი კი ჯიუტად მიიწევს ლიდერობისკენ**

ავი მესაიფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მიუხედავად იმისა, რომ მეუფე ყანდურთა მეცადინეობით, მნიშვნელოვნად შეირყა საქართველოს დედა-ეკლესიის ავტორიტეტი, საბედნიეროდ, მის წიაღში ჯერ კიდევ საკმაოდ არიან ქრისტეს ჭეშმარიტად მოყვარული, პატრიოტი სასულიერო პირები და სწორედ მათ მართებთ ხმის ამოღება, თორემ ხომ ხედავთ, რა დღეში ვართ? მეოთხედი საუკუნეა არჩევნებიდან არჩევნებამდე მოლოდინის რეჟიმში ვცხოვრობთ. ჩვენი სამშობლო კი შაგრენის ტყავივით პატარავდება, ქართველ ერს ფიზიკურად განადგურების რეალური საფრთხე ემუქრება, რომ აღარაფერი ვთქვათ ზნეობრივ დეგრადაციაზე.**

**„თუკი ეკლესია დუმს და ერიდება სახელმწიფოსთან კონფლიქტს, თუკი მიტროპოლიტებიც დუმან, მონაზვნები არაფერს ამბობენ, მაშინ ვინღა ილაპარაკოს?“**

*წმინდა ბერი პაისი მთაწმინდელი (ათონელი)*

# ისევ ეკლესიამ, ღმერთმა უნდა გადაგვარჩინოს!

**აუდიოჩანაწერების ისტერიკა, გნებავთ — კომპრომატების ომი! იმისთვის, რაც საქართველოში წინასაარჩევნოდ ხდება, სხვა ეპითეტების შერჩევაც შეიძლება, თუმცა იმ სავალალო მოცემულობის მოკლედ აღსაწერად, რომელშიც ბოლო პერიოდში გვიწევს ცხოვრება, ვფიქრობ, შერჩეულიც კმარა...**



**რით არის 2018 წლის დიდი სქიზმა გაცილებით მძიმე შედეგების მომტანი, ვიდრე 1000 წლის წინანდელი? — იმით, რომ, თუ შუა საუკუნეების ქრისტიანობის ორივე მიმართულება, მიუხედავად მცირე დოგმატური სხვაობისა, ზნეობრიობას, საზოგადოებრივ მორალს ერთნაირი შემართებით იცავდა, იმავეს ვერ ვიტყვით თანამედროვე «რეფორმირებულ» კათოლიციზმზე მისი პროტესტანტული განაყოფების ჩათვლით, რომელთა პადრეები, დიდი ხანია, სოდომის ცოდვის შემწყნარებლობაზე ქადაგებენ, ხოლო ზოგიერთ «ეკლესიაში» არა მხოლოდ ნორმალური სექსუალური ორიენტაციის პადრეები, არამედ თვითონაც პედერასტი თუ ლესბოსელი მამაო-დედაოები ერთი და იმავე სქესის წყვილებს ჯვარსაც კი სწერენ**

ქოცები და ნაცები იდეოლოგიურად ერთი ნეოლიბერასტული ხის სხვადასხვა ტოტზე რომ სხედან, არაერთხელ აღგვინიშნავს, ისევე, როგორც ის, რომ იდეოლოგიის მიღმა არსებულ „ღირსებებშიც“ ერთნი არიან — ნაცები თუ 9 წლის განმავლობაში თავზე ასხდნენ გაჭირვებულ მოსახლეობას, ქოცებს, აგერ უკვე 6 წელიწადია, კიდევ უფრო მეტად გაჭირვებული (ლარის კურსმა დოლარის მიმართ ყველანაირი ნეგატიური რეკორდი მოხსნა) ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრში გაუთეთრდათ თავები. ქოცებს პრეზიდენტის ინსტიტუტი ხელისუფლების განსამტკიცებლად სჭირდებათ, ხოლო ევრონაცებსა თუ მიშ-ნაცებს — ხელისუფლებაში მცირე დოზით დასაბრუნებლად და მომავალში დიდი რევანშის ასაღებად. მათ შორის სხვაობა კი ის არის, რომ ნაცებს 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმის შლეიფი მოსდევთ და სწორედ ამ ერთადერთი „უმნიშვნელო“ განსხვავების გამოა, რომ ქართველი საზოგადოება იძულებული ვართ, **სალომე ზურაბიშვილს** დავუჭიროთ მხარი, თორემ, კახურად თუ ვიტყვით, „ვირი, გინდ ღობის იქით დააბი, გინდ — ღობის აქეთ, ვირი, ვირია!..“

წინამდებარე წერილის დასაწერად იმან დამსვა, რომ ქოც-ნაცების ხელისუფლებას მხოლოდ ის აინტერესებს, ვინ ავა უუფლებო პრეზიდენტის ტახტზე და ისე იქცევა, თითქოს დანარჩენ მსოფლიოსაც მხოლოდ საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები აბოდებდეს და ამიტომ ვერაფერს ხედავს და არაფერი ესმის, რა ხდება ჩვენს ახლო თუ შორეულ სამეზობლოში. არადა, იქ მიმდინარე პროცესების შედეგები დღეს თუ ხვალ აუცილებლად იქონიებს გავლენას საქართველოზე.

დავიწყოთ იქიდან, რომ **ე.წ. მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა გააუქმა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდის მიერ მე-17(!) საუკუნეში მიღებული განჩინება, რომლის ძალითაც უკრაინის ეკლესია მოსკოვის პატრიარქატის კანონიკურ იურისდიქციაში შევიდა, რაც, ერთი მხრივ, ანეკდოტურ-სასაცილოა და, მეორე მხრივ, უკანონოა ისევე, როგორც ბართოლომეოსის მიერ უკრაინის „რასკოლნიკების“ ეკლესიისთვის ავტოკეფალიის ერთპიროვნულად მინიჭების მცდელობა მათთვის ე.წ. ტომოსის მიცემის სახით.**

პასუხად, მოსკოვის საპატრიარქოს წმინდა სინოდის განჩინებით (რომელიც ბელარუსის დედაქალაქ მინსკში გაიმართა), რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ყოველგვარი ევქარისტული კავშირი გაწყვიტა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან. ეს იმას ნიშნავს, რომ **აშკარაა 1054 წლის დიდი სქიზმის (განხეთქილების) განმეორება, ოღონდ გაცილებით მძიმე შესაძლო შედეგებით და არა მხოლოდ რელიგიური, არამედ პოლიტიკური კუთხითაც, რადგან, თუ 10 საუკუნის წინანდელი დიდი სქიზმის შედეგად ქრისტიანობა გაიყო კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელ და რომის კათოლიკურ ეკლესიებად, დღეს მართლმადიდებელი ეკლესია ბართოლომეოსმა გახლიჩა ორ ნაწილად.**

**რით არის 2018 წლის დიდი სქიზმა გაცილებით მძიმე შედეგების მომტანი, ვიდრე 1000 წლის წინანდელი? —** იმით, რომ, თუ შუა საუკუნეების ქრისტიანობის ორივე მიმართულება, მიუხედავად მცირე დოგმატური სხვაობისა, ზნეობრიობას, საზოგადოებრივ მორალს ერთნაირი შემართებით იცავდა, იმავეს ვერ ვიტყვით თანამედროვე „რეფორმირებულ“ კათოლიციზმზე, მისი პროტესტანტული განაყოფების ჩათვლით, რომელთა პადრეები, დიდი ხანია, სოდომის ცოდვის შემწყნარებლობაზე ქადაგებენ, ხოლო ზოგიერთ „ეკლესიაში“ არა მხოლოდ ნორმალური სექსუალური ორიენტაციის პადრეები, არამედ თვითონაც პედერასტი თუ ლესბოსელი მამაო-დედაოები ერთი და იმავე სქესის წყვილებს ჯვარსაც კი სწერენ.

ე.წ. მსოფლიო პატრიარქიც, კარგა ხანია, მართლმადიდებელი ეკლესიის „რეფორმირების“ აუცილებლობაზე ლაპარაკობს და ამ მიზნითაც მოიწვია 2016 წელს კუნძულ კრეტაზე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელშიც მონაწილეობაზე უარი თქვეს **მოსკოვის, ბულგარეთის, სერბეთის, საქართველოს, ანტიოქიისა** და **იერუსალიმის** ეკლესიებმა და თუნდაც ამიტომ ვერ ჩაითვლება ბართლომეოსის მიერ მოწვეული კრება მსოფლიო კრებად.

„მიზნითაც“-თქო, რომ ვთქვი, მხედველობაში მქონდა ის, რომ, თუ მართლმადიდებელი ეკლესიების მსოფლიო კრება ვერ გამოუვიდა ბართოლომეოსს, კუნძულზე გამართული თავყრილობა ნამდვილად შეიძლება მსოფლიო ეკუმენისტთა მწვალებლურ კრებად მივიჩნიოთ; კრება, რომლის შემდეგაც ლგბტ-სექტის მიმართ შემწყნარებლობაზე ალაპარაკდა მისტერ ბართლომეოსი.

როგორც ერთ-ერთ წინა წერილში ვწერდი, კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიმართ „ე.წ.“-ს, „ბატონო“-სა და „მისტერს“ გამოვიყენებ, რადგან თურქეთის მოქალაქე, მისტერ ბართოლომეოსი ჯერ კიდევ ითვლება (მხოლოდ ნომინალურად) მსოფლიო პატრიარქად. დიახ, ჯერ კიდევ, რადგან წმინდა კონსტანტინეს ქალაქი, დიდი ხანია, სტამბოლია, ხოლო დიდებული აია სოფია კი, რომელიც მრავალი საუკუნეების განმავლობაში მართლაც მსოფლიო პატრიარქთა რეზიდენცია იყო, დღეს მეჩეთყოფილი მუზეუმია.

რაც შეეხება დღევანდელ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რაც თურქეთი ნატოს წევრი და აშშ-ის ერთგული მოკავშირე გახდა, ე.წ. მსოფლიო პატრიარქები, რბილად რომ ვთქვათ, აშშ-ისრაელ-თურქეთის სპეცსამსახურების მიერ იმართებიან, ანუ ბართოლომეოსი ამ სპეცსამსახურების გავლენის აგენტია, ამას ადასტურებს უკრაინაში მიმდინარე პროცესები. **უკრაინის „რასკოლნიკების“ ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას არანაირი კავშირი არ აქვს რელიგიასთან — ეს არის წმინდა წყლის პოლიტიკური აქტი, რომელიც კიევის კიდევ უფრო მძაფრ დაპირისპირებას ნიშნავს მოსკოვთან, რაც, საბოლოოჯამში, რუსეთისთვის უკრაინის საბოლოოდ ჩამოშორების მიზანს ემსახურება, რადგან, აწ გარდაცვლილი ზბიგნევ ბჟეზინსკის სწავლების თანახმად, რუსეთი უკრაინის გარეშე რეგიონული დერჟავა-პრობლემაა დასავლეთისთვის, ხოლო უკრაინასთან ერთად — გლობალური მასშტაბის თავის ტკივილი ლიბერასტული აშშ-ევროპისა.**

ცნობილია, რომ ე.წ. მსოფლიო პატრიარქს უკრაინის პრეზიდენტმა **პეტრე პოროშენკომ** ტომოსის სანაცვლოდ ჯილდოდ (ქრთამად) 25 მილიონი დოლარი მიართვა. ესეც არ იკმარა შოკოლადის მეფემ და ტომოსის ავტოკეფალიად გარდაქმნის იმედად ბართოლომეოსს პირად რეზიდენციად რუსეთის **იმპერატრიცა ელიზავეტას** მიერ აშენებული წმინდა ანდრიას სახელობის დიდებული ტაძარი უფეშქაშა ავანსად, რაც, დიდი ალბათობით, იმას ნიშნავს, რომ უკრაინისთვის ავტოკეფალიის მინიჭების შემდეგ ბართოლომეოსმა შეიძლება სტამბოლიდან კიევში გადმოიტანოს საპატრიარქო ტახტი.

ზემოთქმულის პარალელურად საინტერესო (იქნებ, სახიფათო?) პროცესები მიმდინარეობს აშშ-რუსეთის ირგვლივ. ე.წ. ვალდაის სადისკუსიო კლუბის საიუბილეო, მე-15 შეკრება გაიმართა სოჭში, სადაც რუსეთის პრეზიდენტმა, აშშ-რუსეთის დღემდე უპრეცენდენტო დაპირისპირებიდან გამომდინარე, დიდხანს ისაუბრა მესამე მსოფლიო ომის გაჩაღების ერთობ მაღალ ალბათობაზე. ჰოდა, **ვლადიმერ პუტინი** რის პუტინი იქნებოდა, ერთხელ კიდევ რომ არ გავეოცებინეთ მისთვის ჩვეული პირდაპირი და ხისტი გამონათქვამებით.

„მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამხედრო დოქტრინა არ ითვალისწინებს ე.წ. ტაქტიკური ბირთვული იარაღით პრევენციულ დარტყმებს (აშშ-ისგან განსხვავებით), ჩვენ არაფრის გვეშინია, — განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ რუსეთის მიმართულებით გაშვებულ ბირთვულ რაკეტას მყისიერი პასუხი მოჰყვება იმ ტერიტორიის გასანადგურებლად, რომლიდანაც რაკეტას გაუშვებენ. აი, ფრთიანი, ხისტი ფრაზაც:

* **„ჩვენ, როგორც წამებულები, სამოთხეში მოვხვდებით, ხოლო ისინი ჩაძაღლდებიან, რადგან საპასუხო დარტყმა ისე სწრაფი იქნება, რომ მონანიებასაც ვერ მოასწრებენ!“**

ყოველივე თქმულიდან თუ არათქმულიდან გამომდინარე, რა ელის საქართველოს?

**რუსეთის საპატრიარქოს სოლიდარობა უკვე გამოუცხადეს სერბეთის, ანტიოქიის ეკლესიებმა. ანალოგიურის გაკეთებას არ ჩქარობს ქართული ეკლესია, რომელიც მასში მომრავლებული მეუფე ყანდურების წყალობით, შესაძლოა, ბართოლომეოსის ბანაკში აღმოჩნდეს, რაც, იმის გარდა, რომ მკრეხელობა და სულის წაწყმედაა, საომარ მდგომარეობაში მყოფი რუსეთისთვის ომის გამოცხადებასაც ნიშნავს.**

ჩვენ კი თავი უნდა დავანებოთ ყალბ თეზას, რომ არ შეიძლება ეკლესიის ჩარევა საერო საქმეებში. დიახ, ყალბ თეზას, რადგანაც ისტორია საპირისპიროს მეტყველებს. ამის დასტურია თუნდაც ის, თუ როგორ ჩაუმტვრია წიხლით კბილები **ვახტანგ გორგასალს** მაშინდელმა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა. აღარაფერს ვიტყვი **გრიგოლ ხანძთელისა** თუ **თორნიკე ერისთავის გავლენაზე** და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ მეუფე ყანდურთა მეცადინეობით, მნიშვნელოვნად შეირყა საქართველოს დედაეკლესიის ავტორიტეტი. საბედნიეროდ, მის წიაღში ჯერ კიდევ საკმაოდ არიან ქრისტეს ჭეშმარიტად მოყვარული, პატრიოტი სასულიერო პირები და სწორედ მათ მართებთ ხმის ამოღება, თორემ ხომ ხედავთ, რა დღეში ვართ — მეოთხედი საუკუნეა არჩევნებიდან არჩევნებამდე მოლოდინის რეჟიმში ვცხოვრობთ. ჩვენი სამშობლო კი შაგრენის ტყავივით პატარავდება, ქართველ ერს ფიზიკურად განადგურების რეალური საფრთხე ემუქრება, რომ აღარაფერი ვთქვათ ზნეობრივ დეგრადაციაზე.

ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ საქართველოს არ ეღირსა ეროვნული ხელისუფლება თუ ხელისუფალი, რომელსაც, სისხლის სამართლის კოდექსის კი არა, პირველ რიგში, ღვთის შიში ექნება. ეს კი, თავის მხრივ, იმის ბრალია, რომ მეოთხედი საუკუნეა, ქართული პოლიტიკა ერთი და იმავე სახეებით ერთ წრეზე ტრიალებს: ხან ოპოზიციაში არიან, ხან — ხელისუფლებაში და ამ მოჯადოებულ წრეში ეროვნული სახეების შეღწევა, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

მაშ, სად არის გამოსავალი? ჩემი აზრით, ჭეშმარიტი, სახელგაუტეხელი სასულიერო იერარქები რაღაც ფორმით უნდა გაერთიანდნენ და ამ გაერთიანებამ საჯაროდ უნდა დაუჭიროს მხარი ახალ პოლიტიკურ ძალას თუ ეროვნულად მოაზროვნე პიროვნებებს და აშკარად უქადაგონ მრევლს არჩევნებში მათთვის ხმის მიცემა. სხვანაირად ლიბერასტ, ფულით სავსე ტომრებს ვერ ვაჯობებთ.

არ ვიცი, იქნებ უაზრობას ვქადაგებ, მაგრამ რა ვქნა, ეს „უაზრობა“ უფსკრულის პირას მყოფ სამშობლოზე ფიქრის შედეგია და ამიტომ იქნებ მეპატიოს...

**დავით მხეიძე**

**რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გადაწყვეტილებებს განხეთქილების ლეგალიზაციად მიიჩნევენ. რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ განაცხადა, რომ მსგავსი ქმედებები კატასტროფულ შედეგს გამოიღებს და მილიონობით ადამიანის ბედს შეეხება არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ სრულიად მართლმადიდებელ სამყაროში.**

მართლმადიდებლობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ბართოლომეოსს კუთვნილი სახელი დაარქვა

**„რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართოლომეოსს განხეთქილების შემომტანად, „რასკოლნიკად“ მიიჩნევს“, — განაცხადა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების ხელმძღვანელმა, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა.**



რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ 15 ოქტომბერს განაცხადა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან ურთიერთობის გაწყვეტის თაობაზე. ეს მოხდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ უკრაინისთვის ავტოკეფალიის არაკანონიკურად მინიჭების მცდელობის ფონზე.

**მიტროპოლიტ ილარიონის** თქმით, უკრაინაში არაკანონიკური ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების მცდელობით **„ბართოლომეოსმა აღიარა განხეთქილების შემომტანები და თვითონაც შეუერთდა განხეთქილებას“.**

„შესაბამისად, ახლა ჩვენთვის კონსტანტინოპოლის პატრიარქი განხეთქილების მოთავეა“, — განმარტა მიტროპოლიტმა.

მიტროპოლიტმა აღნიშნა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია არ აღიარებს ბართოლომეოსის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. **„ჩვენ არ ძალგვიძს ვაღიაროთ ის უფლება, რომელიც მან არაკანონიერად მიითვისა — ერთპიროვნულად მიიღოს აპელაციები ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებიდან, შეიჭრას მართლმადიდებელი ეკლესიების კანონიკურ ტერიტორიაზე, იყაჩაღოს, შექმნას რაღაც სტრუქტურები ადგილობრივი ეკლესიების დაუკითხავად“,** — თქვა მიტროპოლიტმა ილარიონმა და ხაზი გაუსვა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქს უფლება არ აქვს, გააუქმოს დოკუმენტები, რომლებიც 300 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოწმობდა გარკვეულ საეკლესიო რეალობას, რომელიც შენარჩუნებულია დღესაც“ (ვინ და რა დაუშლის ბართოლომეოსს, გააუქმოს ან უარყოს, ან შეცვალოს მსოფლიო საპატრიარქოს სულ ცოტახნის წინანდელი გადაწყვეტილებები, მაგალითად, ჩვენი ეკლესიის მიმართ? — ავტ.).

## ავტოკეფალიის საკითხი

ოქტომბრის დასაწყისში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მიიღო გადაწყვეტილება, დაიწყოს ავტოკეფალიის მინიჭების პროცესი უკრაინაში არაკანონიკური ეკლესიისთვის, აგრეთვე, აღადგინოს სტავროპიგია — კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი მისი უშუალო დაქვემდებარება. ამას გარდა, კონსტანტინოპოლმა გააუქმა ყველა ანათემა და აკრძალვა, რომლებიც გამოიტანა მოსკოვის საპატრიარქომ თვითგამოცხადებული „კიევის საპატრიარქოს“ ხელმძღვანელის — **ფილარეტის** — წინააღმდეგ.

კონსტანტინოპოლის პატრიარქმა განაცხადა, რომ აღუდგინა უფლებები და რანგი ფილარეტს, აგრეთვე, უკრაინის არაკანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის ლიდერ **მაკარსა** და მათ მიმდევრებს. კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ თავისი გადაწყვეტილებით პირველად ცნო ლეგიტიმურად „რასკოლნიკების“ საეკლესიო სტრუქტურები უკრაინაში.

**მიტროპოლიტმა აღნიშნა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია არ აღიარებს ბართოლომეოსის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. «ჩვენ არ ძალგვიძს, ვაღიაროთ ის უფლება, რომელიც მან არაკანონიერად მიითვისა — ერთპიროვნულად მიიღოს აპელაციები ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებიდან, შეიჭრას მართლმადიდებელი ეკლესიების კანონიკურ ტერიტორიაზე, იყაჩაღოს, შექმნას რაღაც სტრუქტურები ეკლესიების დაუკითხავად»**

ამას გარდა, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა უგულებელყო სამართლებრივი ვალდებულებები 1686 წლის ისტორიული წერილისა მოსკოვის პატრიარქისთვის კიევის მიტროპოლიტის დანიშვნის უფლების გადაცემის შესახებ. ამრიგად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ, ფაქტობრივად, განაცხადა თავისი უფლებების შესახებ უკრაინაში.

**უკრაინის არაკანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა, აგრეთვე, შეცვალა თავისი წინამძღოლის ტიტულირება, როდესაც სრულ ტიტულს დაუმატა კიევ-პეჩორისა და პოჩაევსკის ლავრები. არადა, ორივე მონასტერი მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაშია.**

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გადაწყვეტილებებს განხეთქილების ლეგალიზაციად მიიჩნევენ. რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ განაცხადა, რომ მსგავსი ქმედებები კატასტროფულ შედეგს გამოიღებს და მილიონობით ადამიანის ბედს შეეხება არა მხოლოდ უკრაინაში, არამედ სრულიად მართლმადიდებელ სამყაროში.

როგორც მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოში აღნიშნეს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ურთიერთობა განხეთქილების შემომტანებთან ანგრევს კანონიკურ მართლმადიდებლობას.

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

# კიევ-პეჩორის ლავრაზე შტურმს ხელი შეუშალა პუტინის მზადყოფნამ, დაიცვას მართლმადიდებლები



**უკრაინაში მართლმადიდებლურ ტაძრებზე ნაციონალისტების შტურმი ჩაშალა რუსეთისა და პირადად პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განსაკუთრებულმა ყურადღებამ უკრაინის ეკლესიაში შექმნილი ვითარების მიმართ.**

13 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს უკრაინაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის საკითხი. ამით პუტინმა ყველას დაანახვა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ საკითხს. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები დარწმუნებულნი არიან, რომ სწორედ ამიტომ ვერ შედგა კიევ-პეჩორის ლავრაზე უკრაინელი ნაციონალისტების შტურმი, რომელიც უკვე გამოცხადებული იყო 14 ოქტომბერს. ამ დღეს უკრაინელმა რადიკალებმა და ნაციონალისტებმა კიევის ცენტრში ჩაატარეს მარში, რომელიც მიუძღვნეს ექსტრემისტული ორგანიზაციის — ამბოხებულთა არმიის დაარსების დღეს. სხვადასხვა მონაცემით, ამ მარშის შემდეგ უკრაინელი ნაციონალისტები აპირებდნენ მოსკოვის საპატრიარქოს კიევის მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილ კიევ-პეჩორის ლავრაზე თავდასხმას და მის ხელში ჩაგდებას.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

# თურქეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სასამართლოში უჩივლა

**თურქეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ (არაღიარებულმა) სტამბოლის პროკურატურაში შეიტანა სარჩელი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე, — განაცხადა ამ ეკლესიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სევგი ერენეროლმა.**

თურქეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს პრესსამსახურის განცხადებით, უკრაინის საკითხზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გადაწყვეტილება პოლიტიკურია და შორსაა რელიგიისგან, ბართოლომეოსს კი არ აქვს უფლებამოსილება, თავისი ეგზარქოსები გაგზავნოს კიევში.

ლოზნის 1923 წლის სამშვიდობო შეთანხმების თანახმად, კონსტანტინოპოლის პატრიარქის სტატუსი შემოიფარგლება თურქეთში მცხოვრები ბერძნების ღვთისმსახურებისთვის გაგზავნით.

სარჩელში, აგრეთვე, აღნიშნულია, რომ ბართოლომეოსმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და ჩაერია ქვეყნების ურთიერთობაში. და, რადგან მან ასეთი რამ ჩაიდინა, მისი დარჩენა თურქეთში შეუძლებელია.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



**თურქეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს პრესსამსახურის განცხადებით, უკრაინის საკითხზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გადაწყვეტილება პოლიტიკურია და შორსაა რელიგიისგან, ბართოლომეოსს კი არ აქვს უფლებამოსილება, თავისი ეგზარქოსები გაგზავნოს კიევში**

**ბაჩუ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ლიტერატურულ პრემია „საბას“ სულისჩამდგმელებმა და ქართველი საზოგადოებისთვის უკვე საოცრად ოდიოზურმა პიროვნებებმა პრივატიზება, თუ გნებავთ, ოკუპაცია გაუკეთეს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. თუ ამ უნიჭოთა კლანს რამე არ ასიამოვნა, ვერც ერთი ქართველი ავტორი, არათუ „საბაზე“, ვერსად ვეღარ გაჭაჭანდება... სახელმწიფოს მიერ დაარსებულ და დაფინანსებულ „წინანდლის პრემიასაც“ კი უკვე იგივე „გველეშაპი“ დაეპატრონა და 2018 წელს განსხვავებასაც თითქმის ვერ ნახავდით „საბასა“ და „წინანდლის“ ჟიურს შორის.**

# ამ უხეირო ლექსების გარდა, რას გაუკეთებთ თქვენ საქართველოს?!

**ბოლო თვეების აშკარა და კაშკაშა „ვარსკვლავი“ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია რომ არის და, ფაქტობრივად, ყველა თემა მის გარშემო ტრიალებს, ეს სამწუხარო რეალობაა, მაგრამ გპირდებით, ამჯერად მხოლოდ ერთხელ, შესავალში ვახსენებთ ამ უზრდელ და უთავმოყვარეო არსებას და ისიც მხოლოდ ჩვენი დღევანდელი სტატიიის კონტექსტში.**

„აქცენტების“ მორიგ საცირკო გამოშვებაში, სადაც **ნიკა გვარამია** და **ეკა კვესიტაძე**, ტრადიციულად, ერთმანეთს უმტკიცებდნენ, სახელისუფლო კრიზისი აშკარაა, ბიძინა ივანიშვილი ისტერიკაშია, ქვეყანა იქცევა, ციდან ცეცხლის წვიმა მოდის, **თამარ ჩუგოშვილი ვლადიმერ პუტინის** გარე ბიძაშვილია, ხოლო „ქართული ოცნება“ თავის გადასარჩენად სატანისტურ რიტუალებს ატარებსო, ნიკა გვარამიამ წამოისროლა ერთი ძალიან საინტერესო ფრაზა, რომელიც მოჰყვა ტელესივრცეში ახლახან გამოჩენილ საარჩევნო-სარეკლამო ვიდეორგოლს, რომელშიც ცნობილი პიროვნებები წარმოთქვამენ ერთადერთ სიტყვას: „ორმოცდარვა“. აი, ამ ვიდეორგოლზე საუბრისას „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა და, ამასთანავე, ყველა შოუს ჟიურის წევრმა და წამყვანმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ **სალომე ზურაბიშვილის** ვიდეორგოლში გადაღებული ადამიანები სულაც არ არიან ქართველი საზოგადოების წინაშე რამე დამსახურების მქონენი. ესენი არიან დაბალი დონის ვითომ კულტურის მოღვაწენი და ვითომ ხელოვანები, ხოლო ნამდვილი შემოქმედი ადამიანები და ნამდვილი სახელოვნებო ელიტა ისაა, რომელიც ამ დღეებში ფრანკფურტში წარმოადგენდა საქართველოს, და ისინი სულაც არ უჭერენ მხარს სალომე ზურაბიშვილს, ამიტომ მათ დღევანდელი ხელისუფლება ჩაგრავს და ავიწროებს (დავაზუსტებ: მე ნიკა გვარამიას ამ აზრის შინაარსი გადმოვეცი). აი, სწორედ ამან მიბიძგა, დამეწერა დღევანდელი სტატია იმ **„გამოჩენილ ქართველ ლიტერატორებზე“, რომელთა ფრანკფურტში გაგზავნასა და „კეკლუცობას“ სახელმწიფომ რამდენიმე მილიონი ლარი დაახარჯა** (ჯერ ზუსტი რაოდენობა ოფიციალურად არ დაუსახელებიათ: ზოგი 28 მილიონს ასახელებს, ზოგიც — 15 მილიონს, თუმცა არც 15 მილიონია მიზერული თანხა).

არ შევუდგები იმის განხილვას, რა დონის ლიტერატურული „შედევრები“ დაწერა იმ 70-მდე ქართველმა „მწერალმა“ თუ „პოეტმა“, რომლებიც ქართულმა სახელმწიფომ მსოფლიოს წინაშე ქართული ლიტერატურის წარმოსაჩენად მიავლინა. ვინმემ რომ არ მითხრას — „შარზე ხარო“, იმასაც დავძენ, რომ, ქართული ხელოვნება ფრანკფურტის ფესტივალზე კარგი კუთხითაც იყო წარმოჩენილი, რაც, ძირითადად, ქართული თეატრის გამოსვლებსა და კინოსტუდიის პავილიონში აისახა, ძალიან საინტერესო ფორმით იყო წარმოჩენილი ქართული დიაფილმები. აი, რაც შეეხება მწერლობასა და პოეზიას, აქ რა დომხალიც არის, საზოგადოდ, ქართულ სინამდვილეში, ზუსტად იგივე დომხალი ხდებოდა ფრანკფურტშიც. პირდაპირ ვთქვათ: **ლიტერატურულ პრემია „საბას“ სულისჩამდგმელებმა და ქართველი საზოგადოებისთვის უკვე საოცრად ოდიოზურმა პიროვნებებმა პრივატიზება, თუ გნებავთ, ოკუპაცია გაუკეთეს თანამედროვე ქართულ ლიტერატურას და, თუ ამ უნიჭოთა კლანს რამე არ ასიამოვნა, ვერც ერთი ქართველი ავტორი, არათუ „საბაზე“ , ვერსად ვეღარ გაჭაჭანდება.** „საბა“ კერძო პირების მიერ დაარსებული და დაფინანსებული პრემიაა, ამიტომაც, ჯანდაბას, იქ, ვისაც რა უნდა, ის აკეთოს, **მაგრამ სახელმწიფოს მიერ დაარსებულ და დაფინანსებულ „წინანდლის პრემიასაც“ კი უკვე იგივე „გველეშაპი“ დაეპატრონა და 2018 წელს განსხვავებასაც თითქმის ვერ ნახავდით „საბასა“ და „წინანდლის“ ჟიურს შორის.**

**ლევან ბერძენიშვილისა** და მის მიერ დამოძღვრილი „მოლიბერასტო“, თანაც ქართველი საზოგადოებისთვის ძირითადად უცხო პერსონების შლიგინი იყო ფრანკფურტშიც, ძალიან მცირე გამონაკლისის (მაგალითად, **აკა მორჩილაძის**) გარდა. ვინაიდან ხელოვნებისა და განსაკუთრებით კი პოეზიის შეფასება უმადური საქმეა და აქ ნებისმიერი უგემოვნო ტუტუცი „გემოვნებაზე არ დავობენო“ აგიყვირდება, მოდი, უფრო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპექტებზე გადავიტანოთ ყურადღება.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მთავარი მოვლენა ამ მხრივ ჩვენი „მოხეტიალე რაინდის“, ყოფილი პრეზიდენტის („რუსთავი 2“-ისთვის — „საქართველოს მესამე პრეზიდენტის“) — **მიხეილ სააკაშვილის** მივარდნა იყო.



მან, როგორც სჩვევია, აუქროლ-ჩამოუქროლა იქაურობას, **ბესიკ ხარანაულთან** და რამდენიმე ასე თუ ისე ლირებულ მწერალ-პოეტთან სამახსოვრო ფოტოც გადაიღო; ლევან ბერძენიშვილს უთხრა: არ ხარ შენ რუსეთის აგენტი, ბოდიში, რომ დაგაბრალეო, და იქიდან გაქრა.

**სააკაშვილის ეს „ჩამოქროლებაც“, ალბათ, არ იყო შემთხვევითი, რადგან ამას მოჰყვა ფრანკფურტში მყოფი ქართველი „ფლაგმანი“ მწერლების — ლაშა ბუღაძისა და რატი ამაღლობელის მხრიდან ქართული სახელმწიფოსა და არსებული ხელისუფლების იმისთანა ლანძღვა-გინება, მტერსა და ავს არ გაეგონება. თურმე, ნუ იტყვით და, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მწერლებსა და პოეტებს დევნის.**

დაახლოებით ისეთივე შთაბეჭდილება დამრჩა, **საბჭოთაადრონინდელი გაჯეჯილებული მწერალ-პოეტები რომ ყვებიან: კომუნისტები და საბჭოთა სისტემა გვდევნიდაო, და დიად ეროვნულ მოღვაწეებად მოაქვთ თავი; ან მათი შვილები რომ ყვებიან, როგორ ავიწროებდნენ მათ მამებსა და პაპებს საბჭოთა ოფიციოზის წარმომადგენლები. არადა, მათი მამები მთელი ცხოვრება ამ სფეროში მაღალ თანამდებობებზე მუშაობდნენ.** როგორც ჩანს, ტრადიცია გრძელდება და ამჯერად უკვე ცოცხალმა და მოქმედმა „მწერალ-პოეტებმა“ გადაწყვიტეს, აღარ დაელოდონ, „რას იტყვის მათზე შთამომავლობა“ და თვითონ შეუტიეს სახელმწიფოს.

**ეს „ჩაგრული“ ხალხი დღეს საქართველოში გამოსცემს წიგნებს, იღებს პრემიებს, მიდის საერთაშორისო ღონისძიებებზე სახელმწიფო ბიუჯეტის ფულით და იქ ლაპარაკობს, რომ ეს სახელმწიფო მათ ჩაგრავს და დევნის.** მაგალითისთვის ლაშა ბუღაძემ მოიყვანა პოეტად მიჩნეული **ზვიად რატიანის** შემთხვევა, როდესაც ამ „პოეტს“ პოლიციასთან მოუვიდა შეხლა-შემოხლა. რატიანისა და მისი მხარდამჭერების ვერსიით, ზვიად რატიანს პოლიციამ იმის გამო სცემა, „წითელი კურტკა რატომ გაცვიაო!“ (ციტატაა!), ხოლო **მოგვიანებით პოლიციის მიერ გავრცელებული ვიდეოჩანაწერი და მოქალაქეების ჩვენებები ადასტურებდა, რომ ზვიად რატიანი იყო გალეშილი მთვრალი და აგინებდა პოლიციასაც, მინისტრსაც, ბიძინასაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, პატრიარქსაც კი.** მოკლედ, ამ გაწამაწიის მიზეზი ჩვენ ან ერთი გვეგონა, ან მეორე; მაგრამ სინამდვილეში ამ ყოველივეს, როგორც ჩანს, სულ სხვა მიზეზი ჰქონია — „რუსთავი 2“- ისთვის მიცემულ ვრცელ ინტერვიუში ბატონმა „პოეტმა“ მორცხვად აღნიშნა, რომ ის უკვე გერმანიაში იმყოფება და ახლობლების დახმარებით მოიპოვა 1-წლიანი თავშესაფარი ავსტრიაში, მერე კი ნახავს, რა იქნება. აბა, ახლა დამაჯერეთ ვინმემ, რომ მთელი ეს ცირკი ბატონმა „პოეტმა“ სწორედ ამ მიზნით არ მოაწყო. **ანუ, პოეტებსა და მწერლებს ჩვენი სახელმწიფო კი არ ჩაგრავს, არამედ მათ სურთ, უზრუნველად და უშრომელად იცხოვრონ სადმე უცხოეთში და სპეციალურად აწყობენ ასეთ წარმოდგენებს, რათა შემდეგ 1-წლიანი ან უფრი ხანგრძლივი თავშესაფარი მიიღონ, მათი მოძმეები კი გამოდიან საერთაშორისო ღონისძიებებზე, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტის მილიონებით არიან წასული და სახელს უტეხენ სამშობლოს.** ვერაფერს იტყვი. **ილიას, აკაკის, ვაჟას** გზის, საქმისა და საქციელის „ღირსეული“ გაგრძელებაა.

თავის დროზე მწერლობისა და პოეტობის დაბრალება მართლაც კარგი უშრომელი შემოსავლის წყარო იყო და, როგორც ჩანს, ეს ტრადიციად მოგვდევს, მაგრამ როდემდე?! დღეს ეს პოეტობა-მწერლობა გადაქცეულია „ლიბერასტი“ და „კონსერვატორი“ მწერლების საქიშპო არეალად და ხან ლიბერასტები გადაწონიან, ხან — კონსერვატორები. ბოლო პერიოდში „ლიბერასტი“ მწერლების სრული უპირატესობა აღინიშნება, მაგრამ ტრაგედია ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ვერავინ ბედავს, თქვას: სახელმწიფომ არც ერთი მათგანი არ უნდა დააფინანსოს, რადგან არ არსებობს არავითარი ობიექტური კრიტერიუმი იმის გასარკვევად, ვინ არის პოეტი და ვინ — არა!

ამიტომაც, **ჩვენი დღევანდელი წერილი არა ფრანკფურტში მყოფი მწერალ-პოეტების „ლიტერატურულ ხარისხს“, არამედ მათი შუბლის ძარღვის გაწყვეტას მივუძღვენით.** მე თუ მკითხავთ, საერთოდ, თუკი ოდესმე და სადმე შევკრებდი პოეტებს, მათ აუცილებლად გავუკრავდი თვალსაჩინო ადგილას დიდი **ლადო ასათიანის** სიტყვებს: „ამ უხეირო ლექსების გარდა, რას გავუკეთებთ ჩვენ საქართველოს?!“ — **ჩვენ რას გავუკეთებთ სამშობლოსო, თორემ ის კი არა, ჩვენ რას გაგვიკეთებს სამშობლოო!**

და, თუკი მაინც არ მოისვენებენ, იქნებ ისიც შემეხსენებინა, რომ დიდმა მოაზროვნე **პლატონმა** თავისი „იდეალური სახელმწიფოდან“ საერთოდ განდევნა პოეტები, როგორც უმაქნისი, უსარგებლო, უაზროდ მოჯანყე და შარიანი ხალხი.

ყოველივე ამის გაანალიზებით, ანუ **მიშას ფრანკფურტში ჩასვლისა და იქ წასული მწერალ-პოეტების გვარამიას მიერ დადებითად მოხსენიებით, ფაქტობრივად, ნათელია, რა კრიტერიუმით შეირჩნენ ისინი; ისიც აშკარაა, რომ მათ მიერ დაწერილი ლიტერატურული „შედევრები“ არაფერ შუაშია. მთავარია „ლიბერასტულ-ნაცური“ ღირებულებების ერთგულება. ზოგმა შეიძლება თქვას, — არ ვარ ნაციო, მაგრამ იქ სააკაშვილის გამოჩენის არგაპროტესტება და მეტიც, მასთან სახეგაბადრული ფოტოების გადაღება უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს — ქართული ლიტერატურა ჯერაც ამ „ლიბერასტულ-ნაცურ“ ჯგუფებს აქვთ პრივატიზებულ-ოკუპირებული.** მე კი თავს უფლებას მივცემ, ჩემი აზრი გამოვთქვა და ამით დავასრულო კიდეც: ჩემთვის ვინც არის დღეს თანამედროვე საქართველოში მართლა ძალიან კარგი პოეტი, უიშვიათესი გამონაკლისის გარდა, ყველა საქართველოში დატოვეს... როგორც ჩანს, მათი „დაჩაგვრის“, „დევნისა“ და „შევიწროების“ რიგი ჯერ არ დამდგარა...

**ფრანკფურტში ჩასულმა «მწერალ-პოეტებმა» გადაწყვიტეს, აღარ დაელოდონ, «რას იტყვის მათზე შთამომავლობა» და თვითონ შეუტიეს სახელმწიფოს. ეს «ჩაგრული» ხალხი დღეს საქართველოში გამოსცემს წიგნებს, იღებს პრემიებს, მიდის საერთაშორისო ღონისძიებებზე ბიუჯეტის ფულით და იქ ლაპარაკობს, რომ ეს ხელისუფლება მათ ჩაგრავს და დევნის**

თავის გამოსვლაში ვლადიმერ პუტინმა ორჯერ ახსენა საქართველო (შედარებისთვის — სომხეთი და აზერბაიჯანი არც ერთხელ). როდესაც კითხვა ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე და იგორ გიორგაძის მიერ ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებული დოკუმენტების გამოქვეყნებაზე დაუსვეს, ვლადიმერ პუტინმა თქვა: „ვერ განვსჯი, რამდენად სარწმუნოა ეს. მე ვნახე საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის განცხადება. რა თქმა უნდა, ეს შეშფოთებას იწვევს. ეს მუშაობა, თუ ის სინამდვილეში ტარდება, ძალზე საშიშია და გენეტიკის სფეროში უკანასკნელ მიღწევებს უკავშირდება“.

პანოპტიკუმი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პუტინი, ვალდაის ფორუმი და საქართველო

**18 ოქტომბერს ვლადიმერ პუტინმა „ვალდაის სადისკუსიო კლუბის“ ფორმატში გამართულ შეხვედრაზე რუსეთის პოლიტიკის პრიორიტეტებზე ისაუბრა. მისი გამოსვლა შეიცავდა არაერთ საგულისხმო მინიშნებას, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ ყურადღებით უნდა გააანალიზოს.**




„ვალდაის კლუბი“ 2004 წელს შეიქმნა. მისი მთავარი დანიშნულებაა რუსეთისა და სხვა ქვეყნების ექსპერტების, პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების დიალოგისთვის ხელშეწყობა და მსოფლიო ინტელექტუალურ ელიტამდე იმ იდეების მიტანა, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებასა და საზოგადოებაში დომინირებს. **განვლილ 14 წელიწადში „ვალდაის კლუბის“ მუშაობაში მონაწილეობდა 63 ქვეყნის 1000-ზე მეტი წარმომადგენელი, მათ შორის ჰარვარდის, ჯორჯტაუნის, სტენფორდის უნივერსიტეტებიდან, ლონდონის ეკონომიკის სკოლიდან და სამეფო კოლეჯიდან, ჩინეთის, იაპონიის, ისრაელის, ირანის წამყვანი სამეცნიერო ცენტრებიდან და ა.შ. სხდომას, რომელზეც პრეზიდენტი პუტინი გამოვიდა, ესწრებოდა 130 ექსპერტი 33 ქვეყნიდან.**

„ვალდაის კლუბი“ ამ ფორმატს იმიტომ ეწოდა, რომ პირველი ღონისძიება დიდ ნოვგოროდში, ვალდაის ტბის ახლოს გაიმართა. თავდაპირველად შეხვედრებს აკადემიური ხასიათი ჰქონდა, რეზონანსული პოლიტიკური განცხადებები, როგორც წესი, არ კეთდებოდა, გამოსვლების ძირითად ნაწილს მედია არ აშუქებდა. განსაკუთრებით საგულისხმო საქართველოსთვის „ვალდაის კლუბის“ 2008 და 2010 წლების შეხვედრები გამოდგა. 2008-ში **ვლადიმერ პუტინმა**, რომელიც იმხანად პრემიერმინისტრის თანამდებობას იკავებდა, ვრცლად ისაუბრა აგვისტოს ომის დაწყების მიზეზებზე. 2010 წლის 6 სექტემბერს კი, ამერიკელი ექსპერტის — **სემუელ ჩარაპის** თქმით (მან ინტერვიუ „ამერიკის ხმას“ მისცა), პუტინმა განაცხადა, რომ „ოდესმე საქართველოს, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მოუწევთ, ერთად გადაწყვიტონ მათი მომავალი ურთიერთობების ფორმა და მან არ იცის, იქნება ურთიერთობები სახელმწიფოთაშორისი თუ არა. ასე რომ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მარადიულ დამოუკიდებლობაზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა“. პოლიტოლოგმა **რობერტ ლეგვოლდმა** კი პუტინის რეპლიკა ასე აღწერა: „მას თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზები არსებობს“ („უოლ სტრიტ ჯორნალი“).

2013 წელს ვლადიმერ პუტინი პირველად გამოვიდა „ვალდაის კლუბში“ ვრცელი მოხსენებით, მაგრამ განსაკუთრებული რეზონანსი მისმა 2014 წლის გამოსვლამ გამოიწვია, რომელსაც ექსპერტებმა საპროგრამო უწოდეს. პუტინმა მაშინ ბრალი დასდო აშშ-ს მთელი რიგი კონფლიქტების გაღვივებაში, ტერორისტების მხარდაჭერაში და მწვავედ გააკრიტიკა სანქციები, რომლებიც დასავლეთმა რუსეთს უკრაინის კრიზისის კვალობაზე დაუწესა. 2015-16 წლებში პუტინის გამოსვლებში ერთ-ერთ მთავარ ადგილს სირიის კონფლიქტი იკავებდა. 2016-ში პუტინი ახლო აღმოსავლეთისთვის „მარშალის გეგმის“ შემუშავების ინიციატივით გამოვიდა. 2017 წლის გამოსვლა, ძირითადად, აშშ-რუსეთის ურთიერთობების გართულებას მიეძღვნა და, ექსპერტების შეფასებით, ერთ-ერთი ყველაზე პესიმისტური იყო. პუტინმა თქვა, რომ სიტუაცია უარესია, ვიდრე „ცივი ომის“ წლებში იყო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვი არ შეამცირებს ბირთვულ არსენალს, სანამ ვაშინგტონი იმავეს არ გააკეთებს. წელს რუსეთის პრეზიდენტი ძველ, 2004-12 წლების, ფორმატს დაუბრუნდა — უარი თქვა ვრცელ გამოსვლაზე და გადაწყვიტა, შეხვედრის მონაწილეებთან კითხვა-პასუხის რეჟიმში ესაუბრა.

**თავის გამოსვლაში ვლადიმერ პუტინმა ორჯერ ახსენა საქართველო (შედარებისთვის — სომხეთი და აზერბაიჯანი არც ერთხელ). როდესაც კითხვა ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე და იგორ გიორგაძის მიერ ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებული დოკუმენტების გამოქვეყნებაზე დაუსვეს, ვლადიმერ პუტინმა თქვა: „ვერ განვსჯი, რამდენად სარწმუნოა ეს. მე ვნახე საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის განცხადება. რა თქმა უნდა, ეს შეშფოთებას იწვევს. ეს მუშაობა, თუ ის სინამდვილეში ტარდება, ძალზე საშიშია და გენეტიკის სფეროში უკანასკნელ მიღწევებს უკავშირდება“.** შემდეგ მან ზოგადად აღწერა ახალი ბიოლოგიური იარაღის მოქმედების მექანიზმი და დასძინა: „ქმედება უკუქმედებას უდრის, უფრო სწორად — პირიქით. ამიტომ მათ, ვინც მსგავს საშუალებებზე მუშაობს, უნდა ესმოდეთ, რომ ამას სხვებიც გააკეთებენ. აქედან გამომდინარე, სჯობს, წინასწარ დავსხდეთ და შევიმუშაოთ ქცევის ერთიანი წესები ამ უაღრესად მგრძნობიარე სფეროში“. მეორედ საქართველო ვლადიმერ პუტინმა უკრაინაში განვითარებული მოვლენების კონტექსტში ახსენა: „უკრაინის მოქმედ ხელისუფლებას სიტუაცია, უბრალოდ, ჩიხში კი არ შეჰყავს, არამედ ანტისახელმწიფოებრივ, ხალხის საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებს. ისე, როგორც მისი შენიღბვა, შემდეგ კი განხორციელება სცადა **მიხეილ სააკაშვილმა** საქართველოში, როდესაც თავს დაესხა სამხრეთ ოსეთს. ამ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად საქართველომ მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაკარგა. ეს მისი მუშაობის შედეგია. და ძალიან დასანანი იქნება, თუ უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება მის ნაკვალევს გაუყვება“. ამის შემდეგ პუტინმა ვრცლად ისაუბრა უკრაინაში შექმნილ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, აღნიშნა, რომ მეზობელი ქვეყნის ხელისუფლება „რუსოფობიით ვაჭრობს“ და იმედი გამოთქვა, რომ „შიდაპოლიტიკური ციკლების დასრულების შემდეგ“ უკრაინის ახალ ხელისუფლებასთან უკეთესი ურთიერთობის დამყარებას შეძლებს.

ამ მონაკვეთებს ყურადღება, უპირველესად, საქართველოსა და უკრაინაში მიაქციეს, დანარჩენ მსოფლიოში კი განსაკუთრებული რეზონანსი რუსეთის პრეზიდენტის სხვა რეპლიკამ გამოიწვია, რომელიც ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენებას შეეხებოდა. ვლადიმერ პუტინმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთის ბირთვული შეიარაღების გამოყენების კონცეფცია პრევენციულ დარტყმას არ ითვალისწინებს: „ჩვენ გამოვიყენებთ ბირთვულ იარაღს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დავრწმუნდებით, რომ პოტენციურ აგრესორს რუსეთზე, ჩვენ ტერიტორიაზე იერიში მიაქვს“. შემდეგ მან აღწერა სარაკეტო თავდასხმის ადრეული შეტყობინების სისტემა და თქვა: **„მას შემდეგ, რაც ჩვენ დავრწმუნდებით (ეს კი რამდენიმე წამში ხდება), რომ იერიში რუსეთის ტერიტორიაზე მიაქვთ, მხოლოდ ამის შემდეგ ჩვენ განვახორციელებთ საპასუხო დარტყმას“... „აგრესორმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იცოდეს, რომ სასჯელი გარდაუვალია, რომ ის განადგურდება. ჩვენ, აგრესიის მსხვერპლნი, როგორც წამებულები, სამოთხეში მოვხვდებით, ხოლო ისინი, უბრალოდ, მოკვდებიან (პუტინმა უფრო მკვეთრი ფორმა „სდოხნუტ“ გამოიყენა — „სულს გააფრთხობენ“ — ს.მ.), იმიტომ, რომ მონანიებასაც ვერ მოასწრებენ“.**

როდესაც ექსპერტები გამოსვლის ამ ნაწილს აფასებდნენ, მათ უმრავლესობას ეჭვი არ შეუტანია იმაში, რომ პუტინი კრიტიკულ სიტუაციაში ბირთვულ იარაღს უყოყმანოდ გამოიყენებს. ამასთანავე, რუსეთის პრეზიდენტმა აშშ-ისა და ევროკავშირის მისამართით, 2014 და 2017 წლებთან შედარებით, ნაკლებად კრიტიკული და კონფრონტაციული განცხადებები გააკეთა. ამგვარად, მან დასავლეთს თითქოს არჩევანი შესთავაზა: თუ გნებავთ, მშვიდობიანად ვითანამშრომლოთ, თუ არა, ჩვენ მზად ვართ, ყველაზე მძიმე სცენარებისთვისაც.

კიდევ ერთი „გლობალური მნიშვნელობის“ განცხადება რუსეთის ეკონომიკის დედოლარიზაციას შეეხო. „ჩვენ ნამდვილად წავალთ ამ მიმართულებით, არა იმიტომ, რომ დოლარის აფეთქება გვინდა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფა გვსურს“, — თქვა პუტინმა და დასძინა, რომ სანქციების რეჟიმი რუსეთს დოლარებთან მუშაობის შესაძლებლობას არ აძლევს. სანქციების შესახებ მან ორმაგ სტანდარტებზე ისაუბრა — **იმაზე, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციები მას შემდეგ შემოიღეს, რაც მტკიცებულებების გარეშე ბრალი ქიმიური იარაღის გამოყენებაში დასდეს (იგულისხმება სოლსბერის ინციდენტი) და მიანიშნა, რომ საუდის არაბეთის წინააღმდეგ, რომლის დიპლომატებმა სტამბოლში ჟურნალისტი მოკლეს, სანქციები არავის დაუწესებია.**

პუტინმა კარგად დაახასიათა აშშ-ის პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი** და აღნიშნა, რომ ის, გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, თანამოსაუბრის არგუმენტებს ადეკვატურად აღიქვამს. თუმცა მან მწვავედ გააკრიტიკა აშშ-ის ხელისუფლება (ეს ყოფილ ხელისუფლებებს ეხება. ს.მ.) რეჟიმების განადგურებისთვის, ალტერნატივის შეთავაზების გარეშე (ერაყი, ლიბია): „ეს აბსოლუტურად გაუაზრებელი, უზნეო პოლიტიკაა, რომელსაც უმძიმესი შედეგები მოაქვს“. ვლადიმერ პუტინმა ვრცლად ისაუბრა რუსეთის დადებით როლზე სირიის კონფლიქტში, ტერორისტების დამარცხებასა და სირიის სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში. მან თქვა, რომ ახლო აღმოსავლეთში საკვანძო მნიშვნელობა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირებას აქვს.

პუტინის აზრით, მთავარი მიზეზი იმისა, რომ რუსეთი მდგრადი სახელმწიფოა, სხვა ეთნოსების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულებაა. მან გაავლო ზღვარი აგრესიულ „გამოქვაბულის ნაციონალიზმსა“ და „სწორ ნაციონალიზმს“ შორის: **„მინდა, რომ რუსეთი შენარჩუნდეს, მათ შორის რუსი ხალხის ინტერესებში. სწორედ ამ თვალსაზრისით ვთქვი, რომ ჭეშმარიტი ნაციონალისტი ვარ, მაგრამ ეს არ არის სულელური და შტერული გამოქვაბულის ნაციონალიზმი, რომელსაც სახელმწიფოს განადგურებისკენ მივყავართ“.**

რუსეთის პრეზიდენტმა გაავლო კიდევ ერთი ზღვარი ცვლილებების სურვილსა და რევოლუციას შორის: „განა გერმანიაში ცვლილებებისკენ არ მიისწრაფვიან? საერთოდ, ევროპაში ცვლილებები სურთ. დიდმა ბრიტანეთმა ხმა „ბრექსიტს“ მისცა. ადამიანებს ცვლილებები სურთ. რუსეთშიც სურთ ცვლილებები, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რუსეთის მოქალაქეების უდიდეს უმრავლესობას რევოლუციური ცვლილებები სურდეთ. საკმარისზე მეტი მივირთვით ეს რევოლუციები, რევოლუციური ცვლილებები, მათ შორის უახლეს ისტორიაში“.

რუსეთის პრეზიდენტი ბევრ სხვა თემასაც შეეხო — ურთიერთობას სამკუთხედში პეკინი-მოსკოვი-ვაშინგტონი, ირანის საკითხს, ვითარებას კორეის ნახევარკუნძულზე და ა.შ. ყველა ამ პრობლემის კონსპექტური მიმოხილვაც კი ძალიან დიდ ადგილს დაიკავებს. მთავარი „ვალდაის კლუბის“ სხდომაზე, ალბათ, ის იყო, რომ **ვლადიმერ პუტინმა, სხვა ქვეყნების ლიდერების გასაგონად აღწერა ორი ალტერნატივა — კონფრონტაცია და კონსტრუქციული დიალოგი; მიანიშნა, რომ ახლა ბურთი მათ მხარეზეა. ეს, სავარაუდოდ, ეხება არა მხოლოდ ლიდერ სახელმწიფოებს, ისეთებს როგორიცაა აშშ და ჩინეთი, არამედ სხვა ქვეყნებსაც. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ივანიშვილის ხელისუფლება აქამდე არ რეაგირებდა მსგავს მესიჯებზე და კრემლთან პირდაპირი დიალოგის შესაძლებლობას მხოლოდ თეორიულად განიხილავდა, ნაკლებად სავარაუდოა, რუსეთის პრეზიდენტის ახალ განცხადებებზე რაიმე რეაგირება მოახდინოს ან თუნდაც გააანალიზოს ისინი. ეს კი, სავარაუდოდ, გაზრდის იმის ალბათობას, რომ საქართველოსა და რუსეთის მომავალი ურთიერთობა ისევ კონფრონტაციული სცენარის ფარგლებში განვითარდება.**

**ლუკა ნემსაძე**

**მან დასავლეთს თითქოს არჩევანი შესთავაზა: თუ გნებავთ, მშვიდობიანად ვითანამშრომლოთ, თუ არა, ჩვენ მზად ვართ, ყველაზე მძიმე სცენარებისთვისაც**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უცხოელებმა ქართველების სიცოცხლის ხარჯზე გამდიდრება გადაწყვიტეს, ისიც გააცნობიერეს, რომ ამის გამო საქართველოში არავინ დასჯით. შესაბამისად, დაიძრა „ტაშკენტიდან ქარავანი“ და ჩვენი თაობისთვის ამ ქარავანს სიკვდილი მოაქვს. სჯობს, პარლამენტში დროებით შეჩერებულ კანონპროექტსაც სახელი შეუცვალოს ხელისუფლებამ და, კანაფის კულტივაციის ნაცვლად, გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა დაარქვას.**

# გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა

## ვიქეცით უკვე კანაფის რესპუბლიკად თუ კულტივაციის დაწყება გვიკლია სრულ ბედნიერებამდე?!

**რამდენიმე დღის წინათ თბილისის №115 სკოლაში საპატრულო ეკიპაჟსა და სასწრაფო დახმარების მანქანას მას შემდეგ გამოუძახეს, როცა გაკვეთილის მიმდინარეობისას(!) რამდენიმე მოსწავლემ მარიხუანა მოწია, ერთ-ერთი კი ცუდად შეიქნა. ამ ამბიდან ორ დღეში, ამჯერად უკვე №120 საჯარო სკოლაში გამოიძახეს საპატრულო პოლიცია, რადგან მოსწავლეები ჯგუფურად ეწეოდნენ მარიხუანას და მათ შორის ყველაზე უფროსი 15 წლის იყო, ყველაზე პატარა — მხოლოდ 12-ის.**




**სოციალურ ქსელში გამოჩნდა რამდენიმე ვიდეო და ფოტო, რომლებზეც 12-13 წლის ბავშვები ეწევიან მარიხუანას და ეს ხდება ყველა დიდ თუ პატარა ქალაქში, «პლანის» სუნად ყარს სადარბაზოები და მშობლები უძლურნი არიან, რადგან არც ერთი არ არის დაზღვეული, რომ ეზოში სათამაშოდ ჩასულ ბავშვს ვინმე კანაფის კვამლით გავსებულ ბოთლს არ მიაწვდის და ისიც გემოს არ გაუსინჯავს**

ეს არის ორი ფაქტი, რომლებიც ბოლო ათი დღის განმავლობაში გახმაურდა, თორემ გაუხმაურებელი ეგებ ასჯერ მეტიცაა. №120 სკოლის მასწავლებლებმა მომხდარის თაობაზე თქვეს: სისულელეა, ასეთი რამ არ ყოფილა, ნუ იგონებთ და საზოგადოებას ნუ ძაბავთო(?!). ეს მაშინ, როცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად დაადასტურა მომხდარი და ისიც აღნიშნა, რომ საქმე ოფიციალურად აღძრულიაო. **ის, რომ სკოლაში ასეთი რამ ხდება და პედკოლექტივი არაფერს აკეთებს, ცალკე დანაშაულია, მაგრამ, მომხდარს რომ მალავს, ეს უფრო დიდი დანაშაულია. თუ ვინმეს პასუხი უნდა მოეთხოვოს, სწორედ სკოლის პედაგოგებს... მომხდარის დამალვის გამო, თორემ ათას ბავშვს ყოველწამს რომ ვერ გააკონტროლებენ, ცხადია.**

ყველაფრის გვირგვინი კი 20 ოქტომბერს, „დედა ენის“ ბაღში გამართული ე.წ. კანაფის ფესტივალი გახდა. პარტია „გირჩის“ ლიდერმა **ზურაბ ჯაფარიძემ** ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ განაცხადა აღნიშნულ აქციაზე და ისიც თქვა, ამ ფესტივალზე კანაფს უფასოდ დავარიგებო. სამართალდამცავები კი მხოლოდ განცხადებით შემოიფარგლნენ: ამას არ დავუშვებთო.

მაგრამ აქცია მაინც ჩატარდა. ჯაფარიძემ კამერების წინ „შეკეთებული მარიხუანაც“ დაარიგა და ისიც თქვა: ყველა ასე მოიქეცით, რადგან ეს კანონით არ ისჯებაო. ყველაზე საგანგაშო კი ის იყო, რომ ჯაფარიძის მხარდასაჭერად ათასამდე ახალგაზრდა შეიკრიბა და, როცა „გირჩის“ ლიდერი პოლიციამ დააკავა, მის დასაცავად ლამის ხელჩართული ჩხუბი გამართეს.

რას ნიშნავს ეს? — **ვიქეცით უკვე კანაფის რესპუბლიკად თუ ჯერ კულტივაციის დაწყება გვიკლია სრულ ბედნიერებამდე?!** ან სად არის სამართალდამცავთა მიერ დაპირებული კანონი, რომლის მიხედვით მარიხუანის მოხმარება აიკრძალება?! პრინციპში, რაღა აიკრძალება, უკვე ოფიციალურად დადასტურდა, რომ მარიხუანის მოხმარება შეიზღუდება, თუმცა აკრძალვაზე საუბარი არ არის. შეზღუდვას რაც შეეხება, თურმე მსურველები მის მოხმარებას მხოლოდ დახურულ შენობაში შეძლებენ და არა გარეთ. სამაგიეროდ, მოწეულზე გარეთ გამოსვლა და კაიფი არ იქნება აკრძალული. მარტივად რომ ვთქვათ, თუ შეიკრიბება რამდენიმე ახალგაზრდა ბინაში, მოწევს მარიხუანას, გამოვა გარეთ და ივლის დაბოლილი ქუჩაში, არავინ ერჩის, არავინ დასჯის. ბარემ ისიც ვთქვათ, რომ თურმე მარიხუანის ზემოქმედების ქვეშ ავტომობილის ტარება იკრძალება და სპეციალური ამომცნობი მოწყობილობები შემოაქვს შსს-ს.

თუმცა ეს სხვა თემაა და ისევ მთავარს დავუბრუნდეთ. ხელისუფლებამ ისე მიუშვა ეს პრობლემა, თითქოს ამაზე მნიშვნელოვანი ჰქონდეს რამე გადასჭრელ-გადასაწყვეტი. პარლამენტში შეტანილ კანონპროექტებს თითქოს კონვეიერით უშვებენ, ისე ამტკიცებენ ხოლმე. **შარშან ერთ დღეს, ერთ სესიაზე, 66 კანონპროექტი განიხილეს, კენჭი უყარეს და დაამტკიცეს კიდეც და რა გახდა მარიხუანის მოხმარებაზე წესების გამკაცრება?! თუმცა რას ვითხოვთ პარლამენტისგან, როცა ერმა და ბერმა კანაფის კულტივაციის თემის შეჩერება მოითხოვეს, პარლამენტის თავმჯდომარემ ამაყად გვამცნო: ვისმინეთ ჩვენი ამომრჩევლის ხმა, კანონპროექტი შევაჩერეთ, მაგრამ არ გაგვიწვევია, რადგან მოსახლეობას აუცილებლად ავუხსნით ამ კანონის სიკეთესო.** ეს ყველაფერი, დიდი ალბათობით, იმას დაემსგავსება, კონსტიტუციის პროექტი რომ განიხილეს საჯარო უწყებებში დასაქმებული აუდიტორიის წინაშე, ხმა ვერავინ რომ ვერ ამოიღო, არავინ გააპროტესტა და საბოლოოდ მიიღეს ისეთი კონსტიტუცია, როგორიც თვითონ სურდათ. ზუსტად ასეა გადაწყვეტილი — **კანაფის კულტივაციის თემასაც დასაქმებული აუდიტორიის წინაშე განიხილავენ, პროტესტის გამომთქმელს წინასწარ დაემუქრებიან სამსახურიდან გაშვებით და მერე იტყვიან: აგერ, ბატონებო, ათასობით კაცს შევხვდით, ყველამ თავი დაგვიქნია და უნდა დავამტკიცოთო. და ასე გადაიქცევა ვაზის ქვეყანა კანაფის მწარმოებელ ქვეყნად და იმის მოსმენა, რომ სამართალდამცავები აქტიურად გააკონტროლებენ, წარმოებული მარიხუანა მხოლოდ ექსპორტზე რომ გავიდეს, სასაცილოა.** რომელ კონტროლზეა საუბარი, როცა ბავშვები სკოლებში ეწევიან კანაფს, როცა იმართება ფესტივალი, რომელზეც ათასობით მოქალაქე მიდის, როცა, პრაქტიკულად, ყველა დიდი ქალაქის მაღაზიებში იყიდება მარიხუანის მოსაწევი სხვადასხვა მოწყობილობა, ნაირნაირი „ტარიანები“ და ამას ვერ აკონტროლებენ?! ვინ არის გარანტორი, რომ ეს მიდგომა შეიცვლება და შსს უფრო მკაცრი გახდება?! ფაქტი ხომ ის არის, რომ უკვე ყოველდღიურად ვიტყობთ, კანაფს არასრულწლოვნები მოიხმარენო?! **სოციალურ ქსელში გამოჩნდა რამდენიმე ვიდეო და ფოტო, რომლებზეც 12-13 წლის ბავშვები ეწევიან მარიხუანას და ეს ხდება ყველა დიდ თუ პატარა ქალაქში, „პლანის“ სუნად ყარს სადარბაზოები და მშობლები უძლურნი არიან, რადგან არც ერთი არ არის დაზღვეული, რომ ეზოში სათამაშოდ ჩასულ ბავშვს ვინმე კანაფის კვამლით გავსებულ ბოთლს არ მიაწვდის და ისიც გემოს არ გაუსინჯავს.**

გვქონდა უკვე შემთხვევა, როცა ნარკოტიკებს თაობა ემსხვერპლა. იმ თაობის წარმომადგენლები, ისინი, ვინც გადარჩნენ, ყვებიან, რომ საქართველოში ნარკოტიკების სახით სიკვდილი დადიოდა და უმოწყალოდ ცელავდა ახალგაზრდებს. მათმა უმრავლესობამ კი ნარკოტიკის მიღება მარიხუანით დაიწყო, შემდეგ უფრო ძლიერი შეგრძნებები მოუნდათ და ძლიერ ნარკოტიკზე „შეჯდნენ“. იქნებ ასეც არის ჩაფიქრებული, რომ ახალგაზრდები ჯერ კანაფზე, შემდეგ უფრო ძლიერ ნარკოტიკზე გადაიყვანონ და... **წინა ხელისუფლების მაგალითი ავიღოთ, როცა ქალაქში ერთი აბი სუბოტექსი 700 ლარი ღირდა, საფრანგეთში კი იგივე აბი ერთ ევროდ იშოვებოდა. ანუ, ათას ევროდ ნაყიდ ნარკოტიკში საქართველოში ნახევარ მილიონზე მეტი კეთდებოდა და ხომ წარმოგიდგენიათ, რა თანხა იშოვეს ჩვენი ახალგაზრდების სიკვდილის ხარჯზე?! თანაც, იმხანად სერიოზული ეჭვი არსებობდა, რომ ნარკოტიკების გასაღებას ხელისუფლების მაღალჩინოსნები უწყობდნენ ხელს. ეს ეჭვი ახლაც არსებობს.** ახლაც ამბობენ, რომ ყველაფრის უკან სწორედ ხელისუფლების უმაღლესი პირები დგანან და ძალიან ძნელია, ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო, რადგან ხელისუფლების ზედა ეშელონები გვიმტკიცებენ, რომ კანაფის წარმოება კარგია და ჩვენი ეკონომიკის გადარჩენის პრაქტიკულად ერთადერთი გზა.

20 ოქტომბერს ჩატარებული კანაფის ფესტივალი მორიგი ბიძგია ახალგაზრდებისთვის, აკრძალული ხილი (მშობლებისგან აკრძალული, თორემ ისე დაშვებულია) კვლავ რომ დააგემოვნონ და, თუ შემთხვევით დააკავებენ, ზუსტად იციან, რომ გამოუშვებენ, რადგან კანაფის ფესტივალის ორგანიზატორები სამართალდამცავებმა მხოლოდ რამდენიმე საათით გააჩერეს განყოფილებაში. ეს მოზარდებისთვის ერთგვარი რომანტიკაა. პოლიციის მიერ მათი დაკავება, მერე — გამოშვება... **მათ ასაკში საინტერესოდ ჩანს და ის უფრო საინტერესოა, პრეზიდენტობის კანდიდატი რომ ეუბნება: მოწიეთ, სხვებსაც მოაწევინეთ, მე ამას ყოველდღიურად ვაკეთებ, რადგან კანონი მიცავსო. სწორედ ამ კანდიდატს რამდენიმე ათასი ადამიანი აუცილებლად მისცემს არჩევნებზე ხმას, რაც მას უფრო გაათავხედება და ხმამაღლა იტყვის, რომ ზურგს უმაგრებს მისი პარტიის 2-3 კაცი კი არა, რამდენიმეათასიანი არმია.** აკი გამოჩნდა კიდეც, როცა თრიაქით გაბრუებული ახალგაზრდები თავიანთი ბელადის დასახსნელად პოლიციასაც კი შეებნენ და არც მუშტი-კრივზე დაუხევიათ უკან.

ფაქტია: ხელისუფლება დროულად უნდა მოეგოს გონს, მიიღოს გადაწყვეტილება, რადგან ამ გზით ეკონომიკის გაძლიერებაზე ზრუნვა იქამდე მიგვიყვანს, რომ ამ „ძლიერი ეკონომიკის“ მომხმარებელ-დამფასებელი აღარ დაგვრჩება. ხომ უნდა მიხვდეს მთავრობა, რომ ბოლო ერთ თვეში 50-ზე მეტი უცხოელი დააკავეს, რომლებსაც საქართველოში ნარკოტიკი გასაყიდად შემოჰქონდათ. **უცხოელებმა ქართველების სიცოცხლის ხარჯზე გამდიდრება გადაწყვიტეს, ისიც გააცნობიერეს, რომ ამის გამო საქართველოში არავინ დასჯით. შესაბამისად, დაიძრა „ტაშკენტიდან ქარავანი“ და ჩვენი თაობისთვის ამ ქარავანს სიკვდილი მოაქვს. სჯობს, პარლამენტში დროებით შეჩერებულ კანონპროექტსაც სახელი შეუცვალოს ხელისუფლებამ და, კანაფის კულტივაციის ნაცვლად, გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა დაარქვას.**

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. „ნარკოტიკების მოხმარებაზე ნების დართვა — ეს არის მტრობა ჩვენი ერისა“, — ქადაგებისას ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.**

# გერმანიაში ნარკოტიკით გაბრუებულმა ახალგაზრდამ დედა მოკლა და პოლიციელები დაჭრა

## ეტყობა, გერმანიაში არაფერი იციან საქართველოს „მოწინავე გამოცდილების“ შესახებ



**დასახლებულ პუნქტ კირჰაიმში (გერმანია) ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ მყოფმა 25 წლის მამაკაცმა დედა მოკლა და ორი პოლიციელი დაჭრა.**

გერმანული მედიის ინფორმაციით, 56 წლის ქალმა პოლიციაში დარეკა და სამართალდამცველებს უთხრა, რომ მისმა შვილმა, რომელიც ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, მაკრატლით დაჭრა. შემთხვევის ადგილზე პოლიციელების დანაყოფის მისვლის შემდეგ, ეჭვმიტანილი სამართალდამცველებსაც დაესხა თავს. პოლიციელებმა ახალგაზრდა კაცს ცეცხლი გაუხსნეს და მოკლეს. ჭრილობებისგან დაიღუპა თავდამსხმელის დედაც.

როგორც ჩანს, გერმანელებმა არაფერი იციან საქართველოს „მოწინავე გამოცდილების“ შესახებ — ნარკოტიკით გაბრუებული ასეთი ახალგაზრდები, რომლებიც დედას მაკრატლით კლავენ და პოლიციელებს ესხმიან თავს, მარიხუანის, საერთოდ, ნარკოტიკების ლეგელიზაციის შედეგად „გამოსწორდებიან“

**ქართველობის მტერმა შესანიშნავად იცის, თუ ადამიანს ბავშვობას, მშობლის სითბოსა და სიყვარულს გულიდან ამოუღებს, მისგან იდეალურ მონას მიიღებს — მანქურთს, რომელსაც ყველაფერი დავიწყებული აქვს: საკუთარი წარსული, ენა, ისტორია, დედ-მამის ვინაობაც კი... საით მიდიხარ, საქართველო?!**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ დღეს ქართველებს ჩვენის მეობით, კაცურ კაცობით თავი მოგვაქვს და მომავალს იმედის თვალით შევცქერით, ამ დიდ საქმეში ილიასა და აკაკის გვერდით ღვაწლი იაკობ გოგებაშვილსაც მიუძღვის“ — დემნა შენგელაიას ამ აზრს დღესაც რომ იზიარებს ყველა ნაღდი ქართველი, ამაზე მეტყველებს ის რეაქცია, რომელიც მოჰყვა ჩვენი გაზეთის წინა ნომერში („საქართველო და მსოფლიო“ №37) გამოქვეყნებულ წერილს „ქართულ სკოლაში „დედა ენას“ აღარ ასწავლიან“. ის, რომ რამდენიმე საათში ათასობით ინტერნეტმომხმარებელმა მოიწონა ჟურნალისტ ეკა ნასყიდაშვილის მიერ მომზადებული ეს მასალა, იმის ნიშანია, რომ ქართველ კაცს ტვინს ისე ვერავინ გამოურეცხავს, რომ დაავიწყდეს „ამ უპირველესი წიგნის ყდაზე ამოქარგული ბულბულის სტვენა“. წლებია, მიდის ქართული სკოლის გამალებული გადაგვარება: ჯერ რელიგიის სწავლება ამოიღეს პროგრამიდან, შემდეგ ლექსების ზეპირად დასწავლაზე ხელი აალებინეს მოსწავლეებს, „დედა ენა“ კი ისეთი სახელმძღვანელოებით ჩაანაცვლეს, რომ ვერც კი წარმოიდგენდა ამას ცოტა ხნის წინათ ვერც ერთი ქართველი. აი ასე მივდივართ „წინ“, აი ასეთია დღევანდელი „ევროპეიზაცია“. ჩვენი სულგანათებული განმანათლებლები კი ევროპიდან ყოველივე პროგრესულისა და სასარგებლოს გადმოტანას, მის ეროვნულ საბურველში გახვევასა და დამკვიდრებას ცდილობდნენ, იაკობ გოგებაშვილმა კი „მისი სალმერთებელი ქართველი ხალხის საზიზღარ მტრებზე ბოლოს შური იმით იძია, რომ უაღრესად პატრიოტულ-ადამიანური „დედა ენა“ ასე ბრწყინვალედ შეადგინა. მშობლიური ენის იმ პირველი კარის გასაღებიც, პატარა „ია“, მაშინვე იპოვა და მას აქეთ არის, ყვითელხალიანი ლურჯთვალა იის ასეთი მორცხვი სურნელება ბავშვობითგანვე ტკბილად რომ მოგვდევს. მოგვდევს და ვერ ვივიწყებთ, რადგან ამ ნინველა იის დავიწყება ჩვენივ ბავშვობის დავიწყება იქნებოდა“. ქართველობის მტერმა შესანიშნავად იცის, თუ ადამიანს ბავშვობას, მშობლის სითბოსა და სიყვარულს გულიდან ამოუღებს, მისგან იდეალურ მონას მიიღებს — მანქურთს, რომელსაც ყველაფერი დავიწყებული აქვს: საკუთარი წარსული, ენა, ისტორია, დედ-მამის ვინაობაც კი...

საით მიდიხარ, საქართველო?!

# დემნა შენგელაია: ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის «დედა ენას» ხელში პირველად აიღებს






## „დედა ენა“

ერთხელ დაბადებული ქართველი კაცი მეორედ მაშინ იბადება, როცა იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ ხელში პირველად აიღებს. აიღებს, გაშლის და, თითქოს ისევ დაიბადაო, — ამ სამზეოს უცებ სხვაგვარად ხომ დაინახავს და დაინახავს, სხვანაირადაც გაიაზრებს, ჰოდა, იმ დღეს რა დაგვავიწყებს, ამ უპირველესი წიგნის ყდაზე ამოქარგული ბულბულის სტვენა როცა ერთბაშად გავიგონეთ და შიშით, აქ არ გაგვიფრინდესო, ხელი მაშინვე დავაფარეთ. მისი ტკბილი სტვენა-ჭიკჭიკი, ღამით ღამეში გაკიდებული ნაზი ქვითინი განა მას აქეთ არ გვესმის ხოლმე?

— ჰაუუუ, ვანო, ალექსი, ნუცა-გოგო და გიგო-ბიჭო, სადა ხართ, სადა? — ჩვენ ტოლ ამხანაგებს და მაშინდელ უზრუნველ დღეებს ახლაც ვეძახით, ვეძახით და მაღალ შუადღის ბდღვრიალა მზით გაკაშკაშებულ თავთუხებში ღვთის მადლის ტრიალი, ბრდგუდ წამოფრენილ ჟივჟივებით შხუილ-ფრთქიალი და შხაპუნა წვიმის უეცარი ჭექა-ქუხილი მოსვენებას ახლაც არ გვაძლევს.

ეჰ, ნეტავ იმ დროს, ჯოხის ცხენებზე რომ შევსხდებოდით და ორღობიდან ორღობეში თქრიალით დავაჭენებდით. მერე ნაცელქარ-ნაალქაჯარნი წისქვილის ღარში ყვირილ-ჭყივილითა და ტყაპა-ტყუპით ბაყაყებივით ვცვიოდით. ნეტავ იმ წუთებს, როცა თამაშით გალაღებულებს დედა ხელში ძლივს ჩაგვიგდებდა და „დედა ენას“ სასოებით გადაგვიშლიდა. ეს მაშინ იყო, პირველ გვერდზევე უცაბედად დაცვივნულ მძივის იალკთალმა თვალი ერთბაშად რომ მოგვტაცა და „იაო“ წამოვიძახეთ.

ის პირველი დღე, პირველი თრთოლვა განა გუშინდელ დღესავით არ გვაგონდება?

ეს საყვარელი ნინველა სიტყვა ასე ხსოვნად ქართულ გენიას თითქოს იმიტომ უჟღერებია, რომ მის ნადგამობას მისივე ანბანის მართლაც ზღაპრულ ცხრაკლიტულის პირველი კარი ასოებჩათვლით და კაკლის წენგოთი ჩაშავებულ თითის თანდათან გაყოლებით ფრთხილად შეეღო.

**„ია“ „აი ია“. ხმოვან ასოთა, — ანის და ინის ასე წალმაუკულმა დალაგება-გადალაგებით პირველი სიტყვის და მასთან ერთად პირველი ფრაზის ასე შეკვრა ახლა, რაღა თქმა უნდა, ადვილია, მაგრამ მისი პირველად ჟღერადობის და უდიდესი შესაძლებლობის აღმოჩენა თავდაპირველად განა ასე ადვილი იყო?**

**რამდენი ფიქრი, რამდენი ჩხრეკა და რუდუნება იყო საჭირო, რომ ქართულ სიტყვათა ამოუწურავ საგანძურში ჩვენს დიდ იაკობს სწორედ ეს სიტყვა ეპოვნა.** ამ დიდ სიძნელეს თუნდაც ის ადასტურებს, რომ მის ძებნას მან თორმეტი წელი მოანდომა. 1865 წელს პირველად გამოქვეყნებულ „ქართული ანბანის“ შემდეგ ბავშვის სულისა და მისი სამყაროს ასეთი ცოდნით, გენიალური ჩაწვდომითა და მხატვრული ტაქტით შესრულებული „დედა ენა“ მხოლოდ 1876 წელს დაიბეჭდა. **ამ „იის“ ნამით არის ჩვენი ქართული განედლებული... ბავშვისადმი რა სიყვარული გამოკრთის შემდეგ ასოში, რომელსაც თანი ეწოდება და რომელიც, აგრეთვე, მძივს მოგვაგონებს. არ ვიცი, ნამდვილად ასე იყო თუ არა, მაგრამ მაინც მგონია, რომ ასე იყო. მგონია, თითქოს იაკობ გოგებაშვილმა ამ „ანისა“ და „ინის“ ქვეშ ასო-ასო გაყოლებული ბავშვის პატარა თითი დაინახა და ამ მესამე ასომაც სუნთქვა უცებ დაიწყო. თითს შემდეგ, ორ „თანს“ რომ იტევდა, ბავშვის გონება, რა თქმა უნდა, უფრო გაიხსნა და „იას“ „თითიც“ წამოეშველა. და, ერთი თითი კი არა, „ათი თითი“ და, ალბათ, გახსოვთ, ამ „ათ თითს“ გვერდში „თათიც“ რომ ამოუდგა.**

და ასე, — ყოველი შემდგომი ასო ქვეყანას თითქოს აგანივრებდა. ერთი მათგანი ცხენის ნალს ჰგავდა, მეორე — ჩიტის ღილივით დაჭყეტილ თვალებს, მესამე — სურას და მეოთხე — ქოთნის ტარს ან კიდევ კუდრაჭა გოგოს თმებზე დაფრენილ ჭრელ პეპელას. ყოველ მათგანს რამე ნახატი ასურათებდა: ია. თითი. თხა და... ასო-ნახატთა ეს გრძელი რიგი ბოლოს იმითი თავდება, რომ მახეში გაბმული ჩიტი ხეზე კიდია.

თუ ერთი მხრივ, იაკობ გოგებაშვილისათვის ქართველი ბავშვის ცხოვრებაში გზის გაწალდვა ძალიან ძნელი საქმე იყო და თავდადებულ შრომას ითხოვდა, მეორე მხრივ, ქართული ენის ღირსებისათვის ბრძოლა და მისი პრესტიჟის ასე ვაჟკაცურად დაცვა მაშინდელ ძნელ დროს ხომ კიდევ უფრო ძნელი იყო. თუ დღეს ქართველებს ჩვენის მეობით, კაცურ კაცობით თავი მოგვაქვს და მომავალს იმედით თვალით შევცქერით, ამ დიდ საქმეში ილიასა და აკაკის გვერდით ღვაწლი იაკობ გოგებაშვილსაც მიუძღვის.

**...მისი ოჯახი საქართველო იყო, ხოლო შვილი — ქართველი ხალხის მომავალი. მთელი თავისი გრძნობა-გონება და სიცოცხლეც მან ქართველი ბავშვების აღზრდა-განვითარებას კიდეც იმიტომ შეალია. მისი სალმერთებელი ქართველი ხალხის საზიზღარ მტრებზე ბოლოს შური იმით იძია, რომ უაღრესად პატრიოტულ-ადამიანური „დედა ენა“ ასე ბრწყინვალედ შეადგინა. მშობლიური ენის იმ პირველი კარის გასაღებიც, პატარა „ია“, იაკობ გოგებაშვილმა მაშინვე იპოვა და მას აქეთ არის, ყვითელხალიანი ლურჯთვალა იის ასეთი მორცხვი სურნელება ბავშვობითგანვე ტკბილად რომ მოგვდევს. მოგვდევს და ვერ ვივიწყებთ, რადგან ამ ნინველა იის დავიწყება ჩვენივ ბავშვობის დავიწყება იქნებოდა.**

ვინ იცის, მაშინ, როცა თავისივე სახელის ეს საალერსო დასაწყისი იპოვა, გული როგორ აუკანკალდა; ვინ იცის, რა ღვთაებრივი მღელვარებით ათრთოლდა, როცა გონება თითქოს ერთბაშად გაეხსნა და ეს პაწია ინი და ანი ორი მძივის თუ ქოთნის ტარის ნატეხებივით თავდაპირველად ასე ხმოვნად რომ დაალაგა. დაალაგა და უცებ ია წამოჟუჟუნდა. მერე მას გვერდით შებრუნებული იგივე სიტყვა ძმურად მოუსვა და ხომ ყველას გვჯერა, გვჯერა, რომ სიხარულით დაიძახა:

— აი იაო!

მერე? ასო ასოს ემატებოდა, აზრი აზრსა და ჩვენი შეგნება ზღვისკენ დაშვებულ მდინარესავით შენაკადებით მატულობდა, მატულობდა და ჩვენც გარდუვალად იმ ოკეანეს ვუახლოვდებოდით, ქართული ენა რომ ეწოდება და ბოლოს აკი შევუერთდით კიდეც.

მერე? მერე? — გვეკითხება ჩვენივე პატარაობა. — მერე თხა და გიგო თავისი კოტრიელა-კოტრიელათი. პატარა ალექსი ცად ასული რომ იძახოდა: შვიდობით, საყვარელო დედ-მამაო! ახლა ეს ნუცას სკოლაც თავისი ცელქი თოჯინებით, ეს ირემი მთასა მყვირალი და არა, არა, ტოროლას მაინც არ მოვკლავ, ბევრიც რომ მქონდეს წამალი... და ვინ მოთვლის, რა გამოლევს იმ პაწია ლექსებს, წარმტაც მოთხრობებს, არაკებსა და სასაუბროებს, ზღაპრებსა და ენის გასატეხებს, ანდაზებსა და გამოცანებს, გულში მას აქეთ ასე წარუშლელად რომ აღგვბეჭდვია და აქამდე არ გვავიწყდება.

რა ტყის შრიალი, რა ნაკადულის ჩუხჩუხი, რა ბიბინი ნიავისა და რა ზუზუნი ყანაში დატრიალებლი გვალვისა არ მოგვესმის ჩვენ ამ ვარდისფერ წიგნიდან. აბა, მიაყარეთ, მიაყარეთ და გაიგონებთ. როგორ გადი-გამოდის გუთანი, როგორის ეშხით ატყლაშუნებს შოლტს გუთნისდედა და ხნულივით გაბმულ ოროველას ღირღიტა ბანს როგორ ეუბნება. იქ კი, ღამეში, ცეცხლიპირას შექუჩული ღამის მეხრეები ხარ-კამეჩის თვლემის მომგვრელ ცოხნაში ზღაპრებს ამბობენ და სადღაც მტკვრის პირას მეტივეებს წასძინებიათ.

**მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯადო-წიგნი შედგენილია ნაირნაირი მასალებით, ნაირ-ნაირივე ავტორთა ნაწარმოებებითა და თარგმანებითაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი მოზაიკურია, მისი ნაირ-ნაირი ლიტერატურული ჟანრის ნიმუშები როდი გაურბიან ერთიმეორეს, საოცარ უნისონში იმყოფებიან ერთურთისადმი და ყოველი ფურცელი გამთბარია ჭეშმარიტი შემოქმედის ცოცხალი სუნთქვით. მონოლითურ რამ მთლიანობას წარმოადგენს. დიდი საბა, აკაკი, უშინსკი, ლ. ტოლსტოი და განუმეორებელი ქართული ზეპირსიტყვიერება ისე ლოგიკურად განაგრძობენ ერთიმეორეს, ისე ხმატკბილად აჟღერებულან, რომ ერთი გასაკვირველი სიმფონია იქმნება.** ამ წიგნში ხედავ, გრძნობ, როგორ გიღიმის ტკბილი იაკობი, როგორ გეალერსება, როგორ უყვარხარ, უხარია, რომ უყვარხარ და ამით არის, ბედნიერებას რომ განიჭებს.

...მთელი სიდიადე ამ წიგნისა მდგომარეობს იმაში, რომ ის მართლაც მოზაიკური სურათივით მთლიანია და ძვირფასი. ისევე, როგორც მთის კამკამა ნაკადულში მზის შუქი ფერად-ფერადად რომ ციმციმებს, ამ წიგნშიც ნაირნაირი საკითხები, ნაირნაირი თემები ათასნაირად ლივლივებენ, ციმციმებენ და ამ ლივლივ-ციმციმით გულს ახარებენ.

...ყოველი სიტყვა ამ წიგნისა გაჟღენთილია ბავშვის უსაზღვრო სიყვარულით, მისი ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით და კეთილშობილური ჰუმანიზმით და პატრიოტიზმით. და განა კილოკავებით ასე უხვად აჭრელებულ ქართველებს ამ წიგნმა არ ამოგვადგმევინა ენა — ხატოვანი და ერთადერთი დარბაისლური ქართულით?

**...იაკობ გოგებაშვილი ჩვენი ნამდვილი წმინდანია.** და, როცა ამ წიგნს, წიგნს კი არა უძვირფასეს განძს, წაკითხვის შემდეგ გვერდზე გადასდებ, უნებლიეთ ეკითხები შენს თავს: კი მაგრამ, მაინც რით არის ეს წიგნი ასე მტკიცედ შემტკიცებულ-შედუღაბებული? და ჩვენი პასუხი მუდამ ერთია: ეს დუღაბი იაკობის კეთილშობილი გულია, მისი ძგერაა და ამიტომ **იყო და იქნება ეს წიგნი განუყრელი თანამგზავრი არა მხოლოდ ქართველი ბავშვებისათვის, არამედ მათი მშობლებისთვისაც.**

**დემნა შენგელაია**

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

**თუ ერთი მხრივ, იაკობ გოგებაშვილისათვის ქართველი ბავშვის ცხოვრებაში გზის გაწალდვა ძალიან ძნელი საქმე იყო და თავდადებულ შრომას ითხოვდა, მეორე მხრივ, ქართული ენის ღირსებისათვის ბრძოლა და მისი პრესტიჟის ასე ვაჟკაცურად დაცვა მაშინდელ ძნელ დროს ხომ კიდევ უფრო ძნელი იყო. თუ დღეს ქართველებს ჩვენის მეობით, კაცურ კაცობით თავი მოგვაქვს და მომავალს იმედით თვალით შევცქერით, ამ დიდ საქმეში ილიასა და აკაკის გვერდით ღვაწლი იაკობ გოგებაშვილსაც მიუძღვის**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინი კვლავ მიუახლოვდა თვითმფრინავის ფრთის გადარჩენილ ნაწილს. მოხრილი თითებით ფრთის ზედაპირზე დააკაკუნა და განაცხადა: — ვფიქრობ, კატასტროფა აი ამ ნაწილმა გამოიწვია". „კატასტროფა სწორედ ვიბრაციის შედეგია", — დაასკვნა ბოლოს. გირჩევთ, კვლავ გააანალიზოთ მომხდარი შემთხვევა და კიდევ ერთხელ სერიოზულად განიხილოთ ვიბრაციის საკითხი. „უცნაური იყო, — წერს თავის მოგონებებში კონსტრუქტორი ალექსანდრე იაკოვლევი, — რომ ხანგრძლივი კვლევის შედეგად დადასტურდა, კატასტროფა სწორედ ვიბრაციამ გამოიწვია".**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №34-37 (458-461)

# სტალინის პორტრეტისთვის

## სტალინის რკინის მინისტრი, რომელმაც ხრუშჩოვს სილა გააწნა



**ნაპატიმრალი, შვიდჯერ გადასახლებული და ექვსჯერ გამოქცეული, სემინარიადაუმთავრებელი სტალინი 1918 წლიდან ერთვება მსოფლიო ფინანსური თუ პოლიტიკური გრანდების მიერ მხარდაჭერილ რუსეთის გასანადგურებლად და თეთრ ზანგებად რუსების გარდამქმნელ კაციჭამია ადამიანებთან ბრძოლაში. რუსი ხალხის და, ალბათ, უფლის ნებითაც ამტვრევს და ამსხვრევს ყველა წინააღმდეგობას, რომლებიც იმჟამინდელი ხელისუფლებიდან ხვდებოდა წინ**

**ახალშექმნილმა სამხედრო თვითმფრინავმა გამოსაცდელ პოლიგონზე კატასტროფა განიცადა. ადგილზე მოძიებული თვითმფრინავის ნამსხვრევები მოაგროვეს და კრემლში, საკონტროლო კომისიის ვრცელ დარბაზში უზარმაზარ მაგიდაზე ნაწილ-ნაწილ დააწყვეს.**

თვითმფრინავის მთავარი კონსტრუქტორი დაწვრილებით ხსნიდა მანქანის მდგრადობის საკითხს და გამოთქვამდა თავის მოსაზრებას კატასტროფის სავარაუდო მიზეზების შესახებ. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა სტალინი. ის მდუმარედ დადიოდა დარბაზში და ყურადღებით უსმენდა აღნიშნულ საკითხზე გამოსულ ყველა კონსტრუქტორს.

სტალინი დროდადრო მიდიოდა მაგიდის კიდესთან, სადაც თვითმფრინავის ფრთის არცთუ მცირე ნაწილი იყო წარმოდგენილი. კომისია სამ დღეს მუშაობდა. დაისახა კონკრეტული გზები ხარვეზის აღმოსაჩენად და გამოსასწორებლად. კომისიის სხდომის დასკვნით ნაწილში სტალინი კვლავ მიუახლოვდა ფრთის გადარჩენილ ნაწილს. მოხრილი თითებით ფრთის ზედაპირზე დააკაკუნა და განაცხადა:

**— ვფიქრობ, კატასტროფა აი ამ ნაწილმა გამოიწვია. კატასტროფა სწორედ ვიბრაციის შედეგია, — დაასკვნა ბოლოს. გირჩევთ, კვლავ გააანალიზოთ მომხდარი შემთხვევა და კიდევ ერთხელ სერიოზულად განიხილოთ ვიბრაციის საკითხი.**

„უცნაური იყო, — წერს თავის მოგონებებში კონსტრუქტორი **ალექსანდრე იაკოვლევი,** — რომ ხანგრძლივი კვლევის შედეგად დადასტურდა, კატასტროფა სწორედ ვიბრაციამ გამოიწვია".

„შეუძლებელია, ამას ერთი შეხედვით მიხვდეს სიტყვიერი განცხადებებით ან ალღოთი რიგითი ადამიანი და გააანალიზოს. სწორედ ეს მიჩენს ეჭვს, რომ სტალინს ინფორმაციის კიდევ სხვა წყარო ჰქონდა — კოსმოსური", — წერს ალექსანდრე იაკოვლევი. ავიაკონსტრუქტორი **ტუპოლევი,** რომელიც არც ისე ლოიალურად იყო განწყობილი სტალინის მიმართ, აღნიშნავს: **„ყველა ჩემი წარმატებისა და შთაგონების წყარო სტალინია".**

ქალაქ ხაბაროვსკში, საკონსტრუქტორო ბიუროში ტრიბუნაზე დგას ქვემეხების გენერალური კონსტრუქტორი **გრაბინი.** მასთან სასწრაფოდ ოფიცერი მიიჭრა და ფურცელი გადასცა. გრაბინმა მოიბოდიშა და უცებ ოთახიდან გავიდა, ტელეფონთან მივიდა და ყურმილში ჩასძახა:

— გისმენთ, ამხანაგო სტალინ!

— ამხანაგო გრაბინ, ტანკ „ტ-35"-ზე, 70-მილიმეტრიანი ქვემეხის ნაცვლად, 90-მილიმეტრიანი რომ დავამაგროთ, დაგვრთავთ ამის ნებას?

— ამხანაგო სტალინ, ქვემეხი ტანკის წონაზეა გათვლილი და ქვემეხის წონის მომატების შემთხვევაში უკუდარტყმა ტანკს მალე გამოიყვანს წყობიდან.

— ამაზე ნაფიქრი გვაქვს, ამხანაგო გრაბინ, საჭირო იქნება ტანკს 70 ფუთი მტკიცე ჯავშანი დავამატოთ.

— ამის ზეპირად თქმა, ამხანაგო სტალინ, შეუძლებელია. საჭიროა დრო და საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაობა აღნიშნული თანაფარდობის დასადგენად.

— გთხოვთ, ამხანაგო გრაბინ, სასწრაფოდ გადაიყვანოთ ბიურო აღნიშნული დავალების შესრულებაზე და შედეგი მაცნობოთ.

სამი დღის მუშაობის შედეგად საკონსტრუქტორო ბიურო ზუსტი გათვლებით მივიდა დასკვნამდე, რომ ტანკისთვის 70 ფუთი ჯავშნის დამატება იყო საჭირო. **გრაბინი გაოცებას გამოთქვამდა, — ვის შეეძლო გამოეთვალა ეს შეფარდება ქვემეხსა და ტანკს შორის, როდესაც ეს საკითხი ჩვენ არ დაგვიმუშავებია?! ვის შეეძლო მიეწოდებინა სტალინისათვის ეს ცნობა? თუ თვითონ სტალინმა განსაზღვრა, რას მივაწეროთ ეს — შემთხვევითობას თუ რაღაც კოსმოსურ ძალას?**

კუიბიშევში გაგზავნილი ჰიდროტექნიკოსი, აკადემიკოსი **ჟუკი** ტელეფონით უმტკიცებდა სტალინს, რომ სხვა ადგილი უკეთესი იქნებოდა ელექტროსადგურის ასაშენებლად:

„— მე იქ ხანგრძლივი დროით ვიყავი და კარგად ვიცი ის ადგილები. ჰიდროელექტროსადგურის აგების ადგილის პრობლემა გადაწყვეტილია, თქვენ სხვა მითხარით, რის შეცვლას აპირებთ?

— ამხანაგო სტალინ, 4 რაბი საჭირო არ არის, ორიც სრულიად საკმარისია.

— თუ რატომ არის საჭირო, ოთხი რაბი და არა ორი. ამას, როცა ჩამოხვალთ, მაშინ აგიხსნით. ახლა კი იმუშავეთ ოთხ რაბზე".

უამრავი მაგალითია, თუ როგორ არაორდინარულ გადაწყვეტილებებს იღებდა სტალინი, როგორც მშენებლობის, ისე სოფლის მეურნეობის, ავიაციის, მეტალურგიისა და ყველა სფეროში, რომლებიც მანამდე არც კი არსებობდა რუსეთის იმპერიაში.

პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთი სრულად გააპარტახა, რასაც მოჰყვა თებერვლის, ხოლო შემდეგ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციები. ოქტომბრის რევოლუციას — ძმათამკვლელი სამოქალაქო ომი, რომელმაც მიწასთან გაასწორა რუსეთი, როგორც მორალური, ისე მატერიალური და ფინანსური თვალსაზრისით.

სტალინი პეტროგრადში 1917 წლის მაისში დაბრუნდა თებერვლის რევოლუციის მიერ გათავისუფლებული. **ნაპატიმრალი, შვიდჯერ გადასახლებული და ექვსჯერ გამოქცეული, სემინარიადაუმთავრებელი სტალინი 1918 წლიდან ერთვება მსოფლიო ფინანსური თუ პოლიტიკური გრანდების მიერ მხარდაჭერილ რუსეთის გასანადგურებლად და თეთრ ზანგებად რუსების გარდამქმნელ კაციჭამია ადამიანებთან ბრძოლაში. რუსი ხალხის და, ალბათ, უფლის ნებითაც ამტვრევს და ამსხვრევს ყველა წინააღმდეგობას, რაც იმჟამინდელ ხელისუფლებიდან ხვდება წინ.**

სხვადასხვა ფრაგმენტი სტალინის არაჩვეულებრივი აზროვნების შესახებ აქ იმიტომ მოვიყვანე, რომ მკითხველმა გაიგოს, სტალინი არ იყო ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი, მასში იყო სხვა რამ, რაც მიუწვდომელს ხდიდა და ყველა პროფესიის ადამიანისთვის შთაგონების წყაროს წარმოადგენდა. ასევე იყო კადრების შერჩევის საკითხშიც. წინა წერილებში ჩვენ ვისაუბრეთ ადამიანებზე, რომლებსაც სრულიად ახალგაზრდებს ანდო სტალინმა უდიდესი საპასუხისმგებლო თანამდებობები. ყველა ამ ახალგაზრდა სოციალისტში სტალინმა განსაკუთრებული, მისთვის საჭირო ნიშნები დაინახა და გაუმართლეს კიდეც.

სულ სხვა იყო **არსენი ზვერევის** აღმოჩენა და სტალინთან 1930-იანებიდან 1953 წლამდე მუშაობა ისეთ საპასუხისმგებლო ადგილზე, როგორიც იყო ქვეყნის ფინანსთა მინისტრობა. არსენი ზვერევმა ძვირფასი საუნჯე დაუტოვა მომავალ თაობას მოგონებების (მემუარების) სახით, რომლის მთავარი გმირიც, რა თქმა უნდა, სტალინია — ფინანსური და ეკონომიკური გარღვევების მთავარსარდალი.

გადავდივართ არსენი ზვერევის მოგონებებიდან ზოგიერთი ფრაგმენტის განხილვაზე:

„ერთხელ, გვიან საღამოს, როცა შინ ვიყავი, ტელეფონის ზარი გაისმა. ცკ-დან მირეკავდნენ და მომთხოვეს, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სტალინის, გამოძახების საფუძველზე, სასწრაფოდ კრემლში მისულიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მუშაობით სტალინის დაინტერესების შესახებ ცოტა ხნით ადრე ნათქვამი ჰქონდათ, ეს გამოძახება მაინც მოულოდნელი იყო.

ვცდილობდი, გამოძახების სავარაუდო მიზეზებზე მეფიქრა, მაგრამ ჩემი მთავარი საფიქრალი მაინც ის იყო, როგორ დამეჭირა თავი სტალინის კაბინეტში. ადრე იგი მხოლოდ სურათებზე მყავდა ნანახი საზეიმო სხდომებსა და წითელი მოედნის ტრიბუნაზე შორიდან თუ მოვკრავდი თვალს. არასოდეს მიფიქრია, რომ მასთან რაიმე მიზეზით შევხვედრა მომიწევდა და ძალიან ვღელავდი... კაბინეტში სტალინთან, რომლის გვერდითაც აქამდე არასოდეს ვყოფილვარ, პოლიტბიუროს კიდევ რამდენიმე წევრი იდგა, სტალინმა დაჯდომა შემომთავაზა. ცხადია, მასთან ასეთ მდგომარეობაში საუბარი შეუძლებლად მიმაჩნდა და, მიუხედავად კიდევ რამდენიმე შემოთავაზებისა, მთელი საუბრის განმავლობაში ფეხზე ვიდექით.

საუბარი თანამდებობრივ დანიშვნებს შეეხებოდა. სახელდებოდა ცნობილი გვარები. **კრუტიკოვის** დასახელებისას, რომელიც მოსკოვის რაიონული პარტორგანიზაციის უფროსი იყო, ვივარაუდე, რომ მის მოადგილეობას შემომთავაზებდნენ, რადგანაც ეს თანამდებობა ვაკანტური იყო. უარის თქმას იმ მიზეზით ვაპირებდი, რომ მე ფინანსისტი ვიყავი და პარტიული საქმიანობის გამოცდილება არ მქონდა. წარმოიდგინეთ, როგორი გაოცება გამოიწვია ჩემში, როცა მოულოდნელად სტალინმა მითხრა: „ჩვენ გვსურს, სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარედ დაგნიშნოთ. ამაზე რა აზრის ხართ?"

ბანკში არასოდეს მიმუშავია. მანამდე კი, რამდენიმე საკმაოდ განათლებულმა მმართველმა მარცხი განიცადა და ყველა შეცვალეს. ისინი საკრედიტო საქმეში საკმაოდ დიდი გამოცდილებით გამოირჩეოდნენ. მოულოდნელად ასეთი თანამდებობა მე შემომთავაზეს. წინადადებისთვის მადლობა გადავუხადე და პირდაპირ ვუთხარი, რომ ჩემგან თავმჯდომარე ვერ გამოვიდოდა, რადგან საბანკო სისტემაში არასოდეს მიმუშავია, თანამდებობა კი საკმაოდ საპასუხისმგებლო იყო. როგორც ჩანს, სტალინი ჩემს წინა საქმიანობებს უკვე გაცნობილი იყო და აღნიშნა:

— თქვენ ხომ ფინანსურ-ეკონომიკური ინსტიტუტი დაამთავრეთ, პარტიულ, საბჭოთა და ფინანსურ საქმიანობაში გამოცდილებასაც ფლობთ. ეს ყველაფერი კი სახელმწიფო ბანკში სამუშაოდ ძალიან მნიშვნელოვანია.

თავი ძალიან უხერხულად ვიგრძენი: გამოდიოდა, სტალინის მხრიდან ჩემ მიმართ გამოჩენილ ნდობას არ ვაფასებდი, თანაც მთავრობისა და პარტიის ხელმძღვანელებს ამდენ დროს ვართმევდი. ვუთხარი, რომ ინსტიტუტში ვსწავლობდი ფინანსურ ფაკულტეტზე, სადაც ბიუჯეტისა და ფინანსური დაგეგმვის და არა საბანკო-საკრედიტო საქმის მცოდნე ეკონომისტებს ამზადებდნენ. სტალინს ჩემი ასეთი დაწვრილმანება სასაცილოდ არ ეყო და აღნიშნა:

— ბანკისა და ფინანსების თანამშრომლები, ძირითადად, ერთსა და იმავე მეცნიერებებს გადიან. მათ შორის განსხვავება მხოლოდ წვრილმანებშია. პრაქტიკაში ამ ყველაფრის ათვისება ინსტრუქციებიდან შეგიძლია, თანაც დანარჩენს მუშაობაში ისწავლი. საუბარი დიდხანს გაგრძელდა. სხვა საკითხებსაც შევეხეთ. როგორც იქნა, ჩემი ვედრება შეისმინეს და ამ თანამდებობაზე სხვა შესაფერისი კანდიდატურის შესახებ აზრი მკითხეს. დასაფიქრებლად სამი დღის ვადა მოვითხოვე. დამშვიდობების მო- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არსენი ზვერევი სტალინთან 1930-იანებიდან 1953 წლამდე მუშაობდა ისეთ საპასუხისმგებლო ადგილზე, როგორიც იყო ქვეყნის ფინანსთა მინისტრი. არსენი ზვერევმა ძვირფასი საუნჯე დაუტოვა მომავალ თაობას მოგონებების (მემუარების) სახით, რომლის მთავარი გმირიც, რა თქმა უნდა, სტალინია — ფინანსური და ეკონომიკური გარღვევების მთავარსარდალი.**

◀ მენტში კი სტალინმა კიდევ ერთხელ მკითხა:

— თქვენ ხომ ფინანსურ სამსახურში თოთხმეტი წელი გაატარეთ?

მთელი გზა ამ ნათქვამზე ვფიქრობდი და მივხვდი, ეს საკითხი სხვაგვარად ვერ გადაწყდებოდა. ასეც მოხდა, 1937 წელს სსრკ-ის ფინანსურ კომისარიატში მოადგილედ დამნიშნეს. სახელმწიფო საქმიანობა განსაკუთრებით რთული რამაა. იმიტომ, რომ 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში შვებულებაში არ ვყოფილვარ. ასეთ დღეში მხოლოდ მე არ ვიყავი. სახელმწიფო აპარატის ყველა თანამშრომელი უკიდურესად დაძაბული გრაფიკით შრომობდა. შეცდომა თუ დაგვიშვია, ხშირად ეს იყო დაძაბული მუშაობის პროცესში, ძიების მომენტში დაშვებული შეცდომა.

— ერთხელ გაფართოებულ სხდომაზე სახელმწიფო ბანკის პროექტის განხილვა მწვავედ მიმდინარეობდა. მე რეფორმის წინააღმდეგი ვიყავი, **ნ. ბულგანინთან** პირად საუბარში კი ვცადე, მისთვის დამემტკიცებინა, რომ პროექტი ხარჯთაღრიცხვას დააზარალებდა და საკრედიტო და ფინანსური დისციპლინების დასუსტება გარდაუვალი იქნებოდა, მაგრამ მისი დარწმუნება ვერ მოვახერხე.

1941 წლის დასაწყისში სსრკ-ის სახკომისართა საბჭოს ბიუროს სხდომა (პირველად სტალინის თავმჯდომარეობით) გაიმართა. მე ბიუროს წევრი ვიყავი, ბულგანინმა პროექტის შესახებ მოახსენა. მოხსენება, ძირითადად, იდეის განმარტებებსა და დამსწრეთა კითხვებზე პასუხების გაცემას დაეთმო. შეკითხვების უმეტესობა სტალინმა დასვა. **სტალინმა იმით დაიწყო, რომ პროექტი ისე დაახასიათა, როგორც ღონისძიება, რომელსაც ქვეყანა, წინ კი არა, უკან მიჰყავს და განაცხადა, რომ ამ წინადადების მისაღებად სერიოზულ მიზეზს ვერ ხედავდა. განსაკუთრებით გასაოცარი იყო მისი მოსაზრება საკრედიტო კანონპროექტის შესახებ.** მან აღნიშნა, რომ ქვეყნის საკრედიტო ურთიერთობაში ეს ეტაპი უკვე განვლილი იყო და წარსულში დაბრუნება საჭირო აღარ გახდა. იქნებ სულ მალე იქამდეც მივიდეთ, რომ ვინმემ ბირჟის დაწესებაც მოითხოვოს? ასე რომ, წარმოდგენილი პროექტი სოციალიზმის გამყარებას ვერ უზრუნველყოფს, სამაგიეროდ, კარგად ჩანს, სოციალურ აღმშენებლობას რითაც დაასუსტებს. შემთხვევით პროექტის ავტორები ხომ არ შეცდნენ? — თქვა მან ბოლოს (ესეც მისი ფენომენალური ნიჭისა და უსწრაფესი ანალიზის შედეგი იყო. — გრ. ონიანი).

**სტალინის სიტყვებმა შვება მომგვარა, რადგან წინასწარ ვიცოდი, ბულგანინს პოლიტბიუროს რამდენიმე წევრის მხარდაჭერა აუცილებლად ექნებოდა.**

სიტყვისთვის 30 წუთი მომცეს. ჩემი მთავარი წინააღმდეგობა მოკლევადიანი კომერციული კრედიტებისკენ იყო მიმართული. ხაზგასმით აღვნიშნე, რომ წარმოიქმნებოდა ვითარება, რომელიც საწარმოებს ფულადი საშუალებების ერთი და იმავე მიზნისთვის რამდენჯერმე მიღების შესაძლებლობას მისცემდა. ეს კი, თავის მხრივ, რუბლის კონტროლის შესუსტებას გამოიწვევდა, ფინანსების სოციალური პოზიცია დაქვეითდებოდა, სახელმწიფო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მართვის სადავის გარეშე დარჩებოდა, რომელსაც ეროვნული მეურნეობა წარმოადგენდა. საბოლოო ჯამში, პროექტში ჩადებული მოკლევადიანი კრედიტის პუნქტი ჩავარდა და მაშინვე გამოირიცხა.

ამ პუნქტის მიმართ ვამბობდი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ჩავარდნას გამოიწვევდა და გარანტირებული ფულადი სახსრების ლიკვიდაცია დააზარალებდა როგორც სოციალისტურ წარმოებას, ისე

**1947 წლის რეფორმის განსახორციელებლად ფინანსური ბაზა სწრაფად შეიქმნა. 1949 წლისთვის ბრუნვაში არსებულმა ფულის რაოდენობამ ომამდელ რაოდენობას 1,65-ჯერ გადააჭარბა, რაც პროდუქციისა და საქონლის ექვივალენტის გათვალისწინებით გამართლებული იყო. გაუმჯობესდა საქონელბრუნვის სტრუქტურაც. მივაღწიეთ საქონელზე ფასების შემცირებას. 1947-დან 1954 წლამდე მსგავსი შემცირება შვიდჯერ განხორციელდა. საბოლოო ჯამში კი მეოთხე ხუთწლედის ბოლოსთვის სახელმწიფო ფასები 41 პროცენტით შემცირდა**



არსენი ზვერევი

ქვეყნის თავდაცვასა და ბევრ სახელმწიფო დაწესებულებას. სხვათა შორის, ცხოვრებამ გვიჩვენა, რომ კრედიტიზაცია წარმატებით განვითარდა და პერსპექტიულ საქმედ გადაიქცა, ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგმა კი ამ თემაზე სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა... ესე იგი, ამ პუნქტში მართალი არ ვიყავი. საერთო ჯამში კი, იმ წლებში რეფორმა არ შედგა. აღსანიშნავია, რომ დიდი ყურადღება ეთმობოდა ფინანსურ ხარჯებს ომის წლებში. ყველა პოლკსა და ნაწილში ბუღალტერია მუშაობდა. მაშინაც კი, როდესაც ტანკი ან სხვა საბრძოლო ტექნიკა ერთი ნაწილიდან მეორეში გადადიოდა, იგი ბუღალტერიაში ტარდებოდა. **„თუ ომის პერიოდში სამხედრო ბუღალტერიას მოვშლით, ომის შემდგომ მის აღდგენას ვერ შევძლებთ და ქაოსში აღმოვჩნდებით“,** — ამბობდა სტალინი. მაგალითად, ომის პირველივე დღეს, ცკ-ის გადაწყვეტილებით, შემნახველი სალაროებიდან ანაბრების გატანის საკითხში რეგულაციები შევიდა, ვინაიდან ანაბრების გადაჭარბებული ამოღება ბრუნვაში არსებული ფულის რაოდენობას გაზრდიდა. ცკ-ის მიერ განხორციელდა 1943 წლის ივნისში სოფლის მეურნეობის გადასახადების საქმეში ცვლილებებიც, რომლებიც ფაშისტთა მიერ განადგურებულ რაიონებში ვითარებას საგრძნობლად ამსუბუქებდა. თუმცა ამ ყველაფერმა არ უნდა გვაფიქრებინოს, რომ მოცემულ მომენტებში კომისარიატი უბრალო დამკვირვებლის როლს ასრულებდა. განსაზღვრული როგორც იყო, დამატებითი სახსრების მოსაპოვებლად ზოგიერთი საშუალების გადახედვას გამუდმებით ვახორციელებდით. ომის პერიოდში სავაჭრო ქსელში მხატვრული ნაწარმოებების, მათ შორის, ძვირფასი ლითონის ნაკეთობებიც ხვდებოდა. საჭირო შეიქნა უბრალო და ძვირფასი ნივთების ერთმანეთისგან გამორჩევა, რომელთა შორის ისეთი ნივთებიც იყო, ისტორიულ ფასეულობას რომ წარმოადგენდა. ყველაზე უბრალო ნივთსაც ცალკე აღრიცხავდნენ და ნიშანს ადებდნენ.

ბიუჯეტი ამ გზით სხვა კომისარიატებთან ერთად არაერთხელ შეგვივსია. იმ პერიოდში სიტყვებს — „საჭიროა ფრონტისთვის“ ჯადოსნური ძალა ჰქონდა (ეს ჯადოსნური ძალა იყო სწორედ სტალინური კოსმოსური ხედვის გამოვლინება. — გრ. ონიანი). მტრის მიერ ბარბაროსულად განადგურებული და დაცარიელებული მეურნეობის აღდგენას უზარმაზარი ძალები დასჭირდა. საჭირო იყო ჰიტლერის ჯარისკაცების მიერ გაძარცვული საკუთრების დაწვრილებითი აღწერა.

მშვიდობიან პერიოდში საანაბრე ოპერაციებს შემნახველი სალაროები აწარმოებდნენ, ომის წლებში კი ამ საქმით სახელმწიფო ბანკი იყო დაკავებული, რაც გარკვეულ ეფექტს იძლეოდა. ამასთანავე, სახელმწიფო ბანკი ფინანსთა სამინისტროს გადასახადების დროულ გადარიცხვებში ეხმარებოდა.

გარკვეულ სირთულეებს განვიცდიდით ფულის ბეჭდვის საკითხშიც. სსრკ-ის კომისარიატთა საბჭოში ხშირად ისმოდა უკმაყოფილება, რომ არსებული ფულის ნიმუში ქვეყნის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური დაყოფის შესაბასი არ იყო, თუმცა საქმე ამაზე შორს არ მიდიოდა. ომის წლებში კი ამ საკითხზე სტალინის თანდასწრებითაც ჩამოვარდა საუბარი. **მოლოტოვმა** განაცხადა, რომ ამ საკითხის განხილვას აზრი არ ჰქონდა, რადგან მხოლოდ ომის შემდეგ იქნებოდა საბოლოოდ ცნობილი, რამდენი მოკავშირე რესპუბლიკა გვეყოლებოდა. ამ დროს ვიღაცამ აღშფოთებით წამოიძახა:

— თქვენი აზრით, ჩვენ მათ დავკარგავთ?

სტალინმა კი ღიმილით აღნიშნა:

— მოდი, ნუ ვიმკითხავებთ, ცხოვრება თვითონ გვიჩვენებს, როგორი ნიმუშიც დაგვჭირდება (სტალინი ძალიან დაკვირვებით და დინჯად, უემოციოდ ჩქარობდა — გრ. ონიანი)

მართლაც, 1948 წელს 16-ლენტიანი მონეტები დავბეჭდეთ. რაც შეეხება ფულის რეფორმას, ომის დასრულების შემდეგ საწარმოო რეფორმების გატარების დრო დადგა. საჭირო იყო შრომითი რეზერვების გადანაწილება, განსაკუთრებით წარმოების დაბალი მაჩვენებლის მქონე სფეროების ხარჯზე. ამასთანავე, მსუბუქ და კვების მრეწველობაში რაც შეიძლებოდა მეტი მუშახელი იგზავნებოდა. ფინანსისტებს თითქმის ყველა განსახორციელებელ გეგმაში ცვლილებები შეჰქონდათ. მე ამ ცვლილებების შესახებ ჩემი მოსაზრება ცკ-ში გეგმის განხილვისას გამოვთქვი. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა წინადადების განხორციელებამ დიდი მოგება მოგვიტანა. ქვეყანამ მართლაც მეტი მოგება ნახა.

**1947 წლის რეფორმის განსახორციელებლად ფინანსური ბაზა სწრაფად შეიქმნა. 1949 წლისთვის ბრუნვაში არსებულმა ფულის რაოდენობამ ომამდელ რაოდენობას 1,65-ჯერ გადააჭარბა, რაც პროდუქციისა და საქონლის ექვივალენტის გათვალისწინებით გამართლებული იყო. გაუმჯობესდა საქონელბრუნვის სტრუქტურაც. მივაღწიეთ საქონელზე ფასების შემცირებას. 1947-დან 1954 წლამდე მსგავსი შემცირება შვიდჯერ განხორციელდა. საბოლოო ჯამში კი, მეოთხე ხუთწლედის ბოლოსთვის სახელმწიფო ფასები 41 პროცენტით შემცირდა.** ფინანსური ბაზის სიმყარემ იმაშიც ჰპოვა გამოხატულება, რომ დამატებით რეზერვებზე დაყრდნობით სახელმწიფომ მეორე და მეხუთე ხუთწლედის გეგმები გაზარდა, რამაც, თავის მხრივ, მეოთხე ხუთწლედში წინსწრებით მუშაობა უზრუნველყო.

**(გაგრძელება იქნება)**




ზვერევის მემუარები

**«ვფიქრობ, კატასტროფა აი ამ ნაწილმა გამოიწვია. კატასტროფა სწორედ ვიბრაციის შედეგია, — დაასკვნა ბოლოს. გირჩევთ, კვლავ გააანალიზოთ მომხდარი შემთხვევა და კიდევ ერთხელ სერიოზულად განიხილოთ ვიბრაციის საკითხი»**

თვალსაწიერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლიბერალური პოლიტიკური თეორიისათვის კვინტესენციურ პოსტულატს წარმოადგენს ინდივიდის პრიმატის აღიარება და უპირატესობის მინიჭება ნებისმიერ სოციალური ჯგუფისა და კოლექტიური ერთობის მიმართ, რომლის დროსაც განსაკუთრებულ ფასეულობით მნიშვნელობას არ წარმოადგენს ერი, კლასი თუ სხვა ტიპის კოლექტიური საზოგადოებრივი ორგანიზმი.**

# ლიბერალიზმი, მართლმადიდებლობა და ქართული დემოკრატია

**1990-იანი წლების დასაწყისში პოსტსაბჭოთა სივრცე ლიბერალური გლობალიზაციის ეგიდით განხორციელებულმა საზოგადოებრივი სტრუქტურების ლიბერალიზაცია-ინდივიდუალიზაციის პროცესმა მოიცვა. იგი თავის თავში გულისხმობდა, როგორც სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური, ასევე, პოლიტიკური სისტემის სრულ ტრანსფორმაციას. პოსტსოციალისტური სახელმწიფოთების სოციალურ-პოლიტიკური მოდერნიზაციის არსის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა პოლიტიკური სისტემების ლიბერალური დემოკრატიზაცია.**



**ქართველის, როგორც ეთნო-კულტურული ერთობის, ეროვნული მთლიანობის ღირებულებით პარამეტრს წარმოადგენს ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა) და ქართული ენა, სადაც მართლმადიდებლობა და ერი სინონიმური დატვირთვის მქონე სიტყვებია. რაც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს ქართველი ერის კულტურულ ერთგვაროვნებასა და კოლექტივისტურ ბუნებას**

აღნიშნულს უდავოდ უნდა მივაკუთვნოთ ასევე საქართველოში, ბოლო 25 წლის განმავლობაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმირება-გარდაქმნის პროცესი, რომლის უმთავრეს ასპექტს წარმოადგენს პოლიტიკური ელიტების მხრიდან დემოკრატიული წყობილების დამყარების მცდელობა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურმა სისტემამ ვერ გამოიმუშავა ის იმუნური საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობდა დემოკრატიისთვის ესოდენ აუცილებელი კომპონენტის, ხალხის მიერ ხელისუფლების, მმართველი კლასის გაკონტროლებისათვის აუცილებელი და ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებას.

ახლო წარსულში საქართველოს ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სახელისუფლო სტრუქტურების უმაღლეს საფეხურზე აღზევებული მმართველი ელიტები ქვეყნის დემოკრატიზაციის შემაფერხებელ ერთ-ერთ ფაქტორად რატომღაც მიიჩნევდნენ კონსტიტუციაში ჩადებული მმართველობითი ფორმის არადემოკრატიულ ბუნებას. ამის გამო ყოველი ახალი ხელისუფალი მისი მხარდამჭერი ინტელექტუალური ელიტის დახმარებით ქვეყნის უმთავრეს კანონში ახორციელებდა ცვლილებებს და შეჰქონდა დამატებები, რომლებიც უშუალოდ ეხებოდა მართვა-გამგეობის ფორმებს. ამიტომ, **დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდის მიუხედავად, საქართველომ რესპუბლიკური მართვა-გამგეობის კუთხით რამდენიმე ფორმა გამოიცვალა — საპრეზიდენტო მმართველობით დაწყებული, ნახევრად საპრეზიდენტოთი გაგრძელებული და საპარალმენტო რესპუბლიკით დამთავრებული. თუმცა, ქართული სახელმწიფო ჯერ კიდევ ძალიან შორსაა დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისგან და დემოკრატიული წეს-წყობილების ფორმირებისგან. ამას მოწმობს თუნდაც ბოლო წლების საქართველოს პოლიტიკური ისტორია.** თუ გადავხედავთ პოსტსოციალისტური საქართველოს პოლიტიკური სისტემის მუშაობის უმთავრეს ასპექტებს, დავინახავთ, რომ მმართველი ელიტები ყოველთვის ორიენტირებულნი იყვნენ ძალაუფლების შენარჩუნებასა და უზურპაციაზე, საკუთარი ამომრჩევლისადმი პასუხისმგებლობის არქონაზე, რაც, თავის მხრივ, სრულდებოდა „რევოლუციური პროცესებით“ ან რევოლუციასთან მიახლოებული სახელისუფლო ელიტის ცვლილებით, გადარჩევის პროცედურების გამოყენებით.

ზემოთ მოკლედ განხილული ლიბერალური დემოკრატიზაციის პროცესის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ორი გარემოება: **1.** სოციოლოგიურ-კულტუროლოგიური, ვინაიდან ქართული ეროვნული შეგნების, სოციო-კულტურული თავისებურებების, ქართველი საზოგადოების ისტორიული ევოლუციის ფენომენის შესწავლის გარეშე, შეუძლებელია არაქართულ წიაღში ჩამოყალიბებული და განვითარებული პოლიტიკური წყობილების მექანიკური ტრანსპლანტაცია, რაც დღეს ეხება ლიბერალურ დემოკრატიას, ანუ პოლიარქიული სისტემის დანერგვის მცდელობას; **2.** საქართველოს პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების მიერ მეოცე საუკუნეში განხორციელებული დემოკრატიზაციის მესამე ტალღის პროცესისადმი უნივერსალური მიდგომა. მოცემული გულისხმობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში კონსოლიდირებულ დემოკრატიაზე გადასვლის მეთოდოლოგიური პროცედურების კოპირებას, ადგილობრივი ისტორიული გამოცდილებისა და კულტურული სპეციფიკის უგულებელყოფით. ეს მაშინ, როდესაც თვით დემოკრატიზაციის კვლევების თვალსაჩინო წარმომადგენელი **დანკვასტ რასტოუ** თვლის, რომ არ არის აუცილებელი, დემოკრატიის დანერგვის პროცედურა იყოს ერთმნიშვნელოვნად იდენტური და მსგავსი დედამიწაზე არსებული ყველა სახელმწიფოსა და რეგიონებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ და გავერკვეთ იმ პრობლემებში, რომლებმაც ხელი შეუშალა ლიბერალური დემოკრატიზაციის პროცესს საქართველოში და დავადგინოთ, სპეციფიკურ კულტურულ-გეოგრაფიულ გარემოში ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნონაციონალური ერთობის ფუნქციონირების პირობებში დემოკრატიული სისტემის რა მოდელი იქნება მისაღები.

## ლიბერალური დემოკრატიის – პოლიარქიის არსი, ფუნქციონირების თავისებურებები

ლიბერალური ფილოსოფიური დოქტრინების აღმოცენება და ისტორიული განვითარება დაეყრდნო დასავლეთევროპული სოციალური სტრუქტურების ევოლუციის ისტორიულ-სოციალურ კონტექსტს, რომლის პერიოდში ხდებოდა ლიბერალური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თეორიების ფესვების ღრმა განტოტვა დასავლური საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ლიბერალურმა იდეებმა საფუძველშივე ბიძგი მისცა დასავლეთევროპულ საზოგადოებებში სოციალიზებული ინდივიდების შეგნების ინდივიდუალიზაციას და მის რაციონალზიაციას. სოციალურ მეცნიერებებში მიჩნეულია, რომ დასავლეთევროპული საზოგადოებების ლიბერალიზაცია იყო ტრადიციულ-ფეოდალური საზოგადოებრივი სტრუქტურების ნგრევის პროდუქტი, ამიტომაც **ლიბერალური პოლიტიკური თეორიისათვის კვინტესენციურ პოსტულატს წარმოადგენს ინდივიდის — პრიმატის აღიარება და უპირატესობის მინიჭება ნებისმიერი სოციალური ჯგუფისა და კოლექტიური ერთობის მიმართ, რომლის დროსაც განსაკუთრებულ ფასეულობით მნიშვნელობას არ წარმოადგენს ერი, კლასი თუ სხვა ტიპის კოლექტიური საზოგადოებრივი ორგანიზმი.**

მოცემულიდან გამომდინარე, საზოგადოების ორგანიზების ლიბერალური იდეა აღიარებს ეგოისტურად განწყობილი ადამიანების მკვეთრ ინდივიდუალიზმს, რითაც წინა პლანზე აყენებს ინდივიდუალურ იდენტობას კოლექტიურის მიმართ. შესაბამისად, ლიბერალური ფილოსოფიის განვითარებამ განსაზღვრულ სოციალურ სივრცეში საფუძველი დაუდო ლიბერალურ იდეოლოგიურ კონსტრუქციაში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ელემენტის გამოყოფას. **როგორც ლიბერალური თეორიული სკოლის წარმომადგენლები მიიჩნევენ, არსებულ ელემენტთა შორის უპირველესსა და უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს ადამიანის უკიდურესი ინდივიდუალობის სოციალური პრიორიტეტის აღიარება და მასთან დაკავშირებული პიროვნების თავისუფლების პრიმატი, მისი ნეგატიური გაგებით, რაც გულისხმობს ინდივიდის თავისუფალ განვითარებას და მის დაცვას ყოველგვარი გარე ზეწოლისაგან, ხოლო თავისუფლების განვრცობის სივრცითი არეალის შეზღუდვა დაკავშირებულია მხოლოდ სხვა ინდივიდის თავისუფლების ხელყოფის საზღვრებზე.**

მოცემული ლიბერალური იდეა პირდაპირ არის დაკავშირებული პიროვნების არჩევანის თავისუფლების რეალიზაციის ხელშეწყობის უზრუნველყოფასთან. ლიბერალი თეორეტიკოსის — **ადამ სმიტისეული** კონცეფციური მიდგომით, პიროვნების თავისუფლებისადმი მსგავსი ტიპის ორიენტაცია სრულ შესაძლებლობას აძლევს ინდივიდს, არჩევანის თავისუფლების რეალიზაციის საფუძველზე მოახდინოს საკუთარი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილება იმ სოციალურ გაერთიანებებსა და ჯგუფებში გაწევრებით, რომლებსაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ და სადაც თავს იგრძნობს უფრო კომფორტულად.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლიბერალური მსოფლმხედველობრივი პრიზმიდან განხორციელებულმა სოციალურმა მოდერნიზაციამ საფუძველი ჩაუყარა სუვერენული ერი-სახელმწიფოს კონცეფტის ჩამოყალიბებასაც. დასავლურ სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში ლიბერალურ იდეოლოგიური პლატფორმის საფუძველზე საზოგადოებების ევოლუციის შედეგად ფორმირებული სუვერენული სახელმწიფოს კონსტრუირებამ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ერის, როგორც სამოქალაქო, და არა ეთნიკური ერთობის, გაგებით ფორმირებისთვის, როდესაც კონკრეტულ ერ-სახელმწიფოში მცხოვრები ყველა ადამიანი, განურჩევლად მისი კონფესიური, ეთნიკური თუ სხვა ტიპის კუთვნილებისა, აღნიშნული სახელმწიფოს ფარგლებში ერის შემადგენელ ერთეულად განიხილება, რამაც, თავის მხრივ, დასაბამი მისცა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასაც. ასე რომ, ლიბერალურ იდეაზე დაფუძნებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა დოქტრინამ პირველად კაცობრიობის ისტორიაში მოახდინა ინდივიდის გამიჯვნა საზოგადოებისა და სახელმწიფოსგან, რითაც სათავე დაუდო ორი ავტონომიური სფეროს — სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების — ჩამოყალიბებას.

პიროვნების არჩევანის თავისუფლებაზე დაფუძნებული ლიბერალური საზოგადოების ისტორიული განვითარების კულტურულ-სოციალურ ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ იგი წარმოადგენს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი, საკუთარი ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული და ეგოისტურად განწყობილი კერძო პირების გაერთიანების საფუძველზე ჩამოყალიბებულ ინდივიდთა მექანიკურ ჯამს. შესაბამისად, ლიბერალური საზოგადოებების ეტაპობრივი ევოლუციის პროცესმა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ყოველგვარი გარე ზეწოლისგან დამოუკიდებლად, ბუნებრივად განაპირობა მათი ფრაგმენტაცია, მრავალ და რაოდენობრივად თანაბარ, საკუთარი ინტერესების დაცვაზე ორიენტირებულ სოციალურ სეგმენტად, რომელთა სტაბილური ფუნქციონირებისათვის ამოსავალ წერტილად იქცა მათ შორის ოპტიმალური წონასწორობის ფორმირება. მოცემული საფუძველი შეიქნა, რომ ზედნაშენის სახით დასავლურ საზოგადოებებს დაშენებოდა ლიბერალური დემოკრატიის პრინციპები, რომლებიც პოლიტიკური სისტემის განვითარების შემდგომ ეტაპზე გარდაიქმნა სოციალური ჯგუფების კონფლიქტურ ინტერესთა ბალანსზე დაფუძნებულ დემოკრატიულ მმართველობად, რომელსაც „ეგოიზმების ბალანსზე“ მომუშავე დემოკრატიასაც უწოდებენ.

როგორც ლიბერალი თეორიტიკოსი **ფილიპ შმიტერი** აღნიშნავს, კონსოლიდირებული ლიბერალური დემოკრატიის სტაბილური ფუნქციონირება დამოკიდებულია სამოქალაქო საზოგადოებაზე, რომელშიც უზრუნველყოფილია ინდივიდის ორმაგი ავტონომიურობა, რაც გულისხმობს ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის გარკვეული დონის კომბინაციაზე მომუშავე საზოგადოებას. ასეთ დროს, მიუხედავად ადამიანთა ინდივიდუალობის მაღალი ხარისხისა, პიროვნება იძულებულია, საკუთარი ინდივიდუალური ინტერესების დაცვის მიზნით გაერთიანდეს მსგავსი ინდივიდუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებთან საკუთარი ინტერესების დაცვისა და რეალიზაციის მიზნით შექმნილ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ასოციაციებში. სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციების მეშვეობით ისინი ახდენენ საკუთარი ინტერესების რეალიზაციას კოლექტიური ქცევის საფუძველზე, სადაც მათი ქცევა წმინდა კონფლიქტოგენურია. თუმცა, სოციალური წონასწორობის უზრუნველყოფის პირობებში, მათი ქცევის კონფლიქტური ბუნების სოციალური შეკავება ხდება კომპრომისის საფუძველზე მათი შესაბამისი და რაოდენობრივად ტოლ-სწორი საზოგადოებრივი ასოციაციებისა და გაერთიანებების მეშვეობით.

აქედან გამომდინარე, მრავალ ნაწილად დაჩეხილ ლიბერალურ საზოგადოებებში, სადაც ინტერესთა არტიკულაციასა და ინდივიდთა სოციალური პრიორიტეტების დაცვას ახდენენ მათი ინტერესე-

**ისეთ ტრადიციულ საზოგადოებაში, რომელსაც ქართული წარმოადგენს და რომელიც გამოირჩევა კოლექტივიზმით, ყალიბდება ერთი საზოგადოებრივი ორგანიზმი, მასში ჩართული ადამიანების საერთო ინტერესებით, რაც თავისთავად წარმოქმნის ერთ ავტორიტეტულ ლიდერს და მის გარშემო კონსოლიდირებულ პოლიტიკურ ელიტას. შესაბამისად, საერთო ინტერესების მქონე ერთი სოციალური ორგანიზაციის პირობებში საზოგადოების, ერის ორიენტაცია ხდება არაკონკურენტულ გარემოში ერთ ქარიზმულ ლიდერსა და მის მიერ მხარდაჭერილ პოლიტიკურ ელიტაზე.**



ბის დამცველი და გამტარებელი საზოგადოებრივი ასოციაციები და ორგანიზაციები, რითაც ლიბერალურ დემოკრატიულ მმართველობით სისტემაში განაპირობებენ პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალაუფლების დეკონცენტრაციას ვერტიკალურიდან ჰორიზონტალური მიმართულებით და მისი გადანაწილება ხდება მრავალ საზოგადოებრივ გაერთიანებებზე. მოცემული კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ძალაუფლების გადანაწილებას სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სეგმენტზე და მათი ინტერესების დამცველ, ერთმანეთის მიმართ ჰორიზონტალურად განლაგებულ ძალის ცენტრებზე. ასე რომ, მმართველობის აღნიშნული სისტემა ქმნის ურთულეს და მრავალმხრივი გადაწყვეტილების მიმღებ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტებისგან შემდგარ მრავალი ძალის ცენტრს. საზოგადოებრივი ორგანიზების ლიბერალური პარადიგმის ფარგლებში კონსტრუირებული პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული მმართველობის ტიპს ამერიკული პოლიტიკური მეცნიერების კლასიკოსებმა **რ. დალმა** და **ჩ. ლინდბლომმა** პოლიარქია უწოდეს. ცნება პოლიარქია 1909 წელს გამოცემული ავტორიტეტული ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით, განიმარტება შემდეგნაირად: „სახელმწიფოს ან ქალაქის მართვა მრავალთა მიერ მონარქიის საპირისპიროდ". თანამედროვე გაგებით მასში იგულისხმება, მრავალი ურთიერთზეგავლენის მქონე ავტონომიურად ფუნქციური სოციალური სეგმენტების ურთიერთბალანსზე დაფუძნებული მმართველობა, რომლის დროსაც თანაბარი ძალაუფლებისა და ძალის მქონე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასოციაციებიდან და ორგანიზაციებიდან საკუთარი საქმიანობის განხორციელების პროცესში არც ერთს არ აქვს გადამწყვეტი უპირატესობა და იძულებულნი არიან, გაითვალისწინონ სხვა სოციალური ჯგუფების საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინტერესები. ასეთ შემთხვევაში ურთიერთკონტროლის მექანიზმი ხორციელდება ავტონომიურად მოქმედი სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების გამომხატველი და დამცველი სოციალური გაერთიანებების მეშვეობით, როგორც ქვემოდან ზემოთ, ასევე, ერთმანეთთან თანაბარი ძალაუფლების მქონე ორგანიზაციათა ლიდერების მეშვეობით. **სოციალური პროცესის მიმდინარეობისას საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით დასახული ამოცანების რეალიზაციისთვის, მიუხედავად მათი ინდივიდუალისტური ბუნებისა, ადამიანები ახდენენ საკუთარ ხელში არსებული ძალაუფლების დელეგირებას ორგანიზაციაში ფორმირებულ უმცირესობაზე, ანუ ლიდერებსა და მათ გარშემო კონსოლიდირებულ ელიტებზე.**

ასე რომ, პოლიტიკური სისტემის პოლიარქიული მოდელის ფუნქციონირებისას, ეგოისტური ფასეულობითი ორიენტაციის მქონე ინდივიდების გაერთიანების საფუძველზე შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ ურთიერთკონტროლის მექანიზმი ხორციელდება, როგორც ქვემოდან ზემოთ მასა-ელიტის სახით, ასევე ჰორიზონტალურად თვით ელიტების მიერ ურთიერთშორის.

სოციალური და პოლიტიკური სისტემის ორგანიზების აღნიშნული მოდელის სტაბილური ფუნქციონირება, მისი ისტორიული გამოცდილებიდან და ეროვნული სპეციფიკიდან გამომდინარე, ხორციელდება პლურალისტური გარემოს პირობებში. როგორც **რ. დალი** შენიშნავს, პოლიარქია და პლურალიზმი ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია, ხოლო დასავლური ლიბერალური დემოკრატიების პირობებში მათი ერთმანეთის გარეშე არსებობა არც ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ემპირიულად არ დასტურდება.

დემოკრატიის პლურალისტური მოდელის შევსება-განახლების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს დემოკრატიის ელიტისტური თეორია, რომელსაც დასავლელი ავტორები დემოკრატიის რეალისტურ კონცეფციასაც უწოდებენ. რეალისტური მიდგომის თეორიტიკოსები **ი. შუმპეტერი, ჯ. სარტორი** და სხვები, დემოკრატიის მმართველობით სისტემას განიხილავენ პოლიტიკური ლიდერებისა და ელიტების მეტოქეობას ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად სახელისუფლო ძალაუფლების აღჭურვისთვის კონკურენტული ბრძოლის პირობებში. **დემოკრატიის ელიტისტური მიდგომის თეორიტიკოსებისთვის მრავალ ნაწილად დაჩეხილ-დანაწევრებულ და მრავალფეროვან ლიბერალურ საზოგადოებაში იქმნება ელიტებისა და ლიდერების მრავალი ორგანიზებული ჯგუფი, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს სახელისუფლო პოზიციების მოპოვებისათვის, ანუ ადგილი აქვს ძალაუფლების გაფანტვას მრავალ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ორგანიზაციასა და მათ ლიდერებზე.**

ლიბერალურ საზოგადოებებში სოციალური და პოლიტიკური პროცესის წარმართვისას არსებული კონკურენტულობის მაღალი ხარისხი განაპირობებს ელიტების პასუხისმგებლობის ზრდას საკუთარი ამომრჩევლებისადმი, რაც აიძულებს თითოეულ ელიტურ ჯგუფს, წმინდა პრაგმატული მოსაზრებებით საკუთარ რიგებში მოახდინონ პროფესიონალი და კომპეტენტური ადამიანების ასიმილირება. აღნიშნული კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციონალიზაციას და მის ფუნქციონირებას ელიტების სტაბილური გადარჩევის რეჟიმში, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, მოქალაქეთა ღირებულებითი ასპექტები, სოციალური პრიორიტეტები, იდეოლოგიური განწყობები მუდმივად „გაყინულ" მდგომარეობაში ვერ იქნება. სოციალური ჯგუფის წევრი ელემენტების მსოფლმხედველობრივი ორიენტირები და პრიორიტეტები ცვალებადია კონკრეტულ პერიოდში მათი ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

**ლიბერალური საზოგადოებების ფორმირების, მასში სოციალიზებული ინდივიდების სტიმულებისა და მოტივაციების, სოციალური პრიორიტეტების ისტორიულ-კულტურული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ლიბერალური დემოკრატიების-პოლიარქიების ჩამოყალიბება უკავშირდება სპეციფიკურ კულტურულ-გეოგრაფიულ გარემოს, კერძოდ, დასავლური სამყაროს საზოგადოებების ისტორიული განვითარების ეგოისტურ და მატერიალისტურ ბუნებას.** ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, სხვა სოციოკულტურულ გარემოში წარმოშობილ თეორიულ კონსტრუქციებსა და იდეურ პოსტულატებზე დაყდნობით, არადასავლურ კულტურულ-გეოგრაფიულ გარემოში ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემების ხელოვნური, მექანიკური და ტოტალური ტრანსპლანტაცია უკუეფექტს იწვევს, რაც შესაძლებელია პოლიტიკური სისტემების ოლიგარქიზაციის პროცესებისთვის იმპულსების მიმცემი აღმოჩნდეს. ამას მოწმობს თუნდაც თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური პრაქტიკა.



**მართლმადიდებლობა ქართველი ერის ისტორიაში წარმოადგენდა იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელსაც დიდი წვლილი შეჰქონდა ერის კონსოლიდაციის, სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და მისი კულტურული იდენტობის ფორმირებაში. იგი განსაზღვრავდა ქართველი ერის, როგორც ეთნო-კულტურული ერთობის, ნაციონალურ ხასიათს და აძლევდა სტიმულს გარემო პირობების აღქმის შესაბამისი წეს-ჩვეულებების შექმნის, მისი რეალიზაციის, ეროვნული თვითშეგნებისა და აზროვნების სტილის ჩამოყალიბებისთვის**

## მართლმადიდებლობა, როგორც ლიბერალური დემოკრატიზაციის შემაფერხებელი ფაქტორი

**მართლმადიდებლობა ქართველი ერის ისტორიაში წარმოადგენდა იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს, რომელსაც დიდი წვლილი შეჰქონდა ერის კონსოლიდაციის, სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და მისი კულტურული იდენტობის ფორმირებაში. იგი განსაზღვრავდა ქართველი ერის, როგორც ეთნო-კულტურული ერთობის, ნაციონალურ ხასიათს და აძლევდა სტიმულს გარემო პირობების აღქმის შესაბამისი წეს-ჩვეულებების შექმნის, მისი რეალიზაციის, ეროვნული თვითშეგნებისა და აზროვნების სტილის ჩამოყალიბებისთვის.** ამასთანავე, მართლმადიდებლობა გახლდათ სოციო-კულტურული თავისებურებების დაცვის ის უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა ქართველი ხალხის მომავალი თაობების ისტორიულ-კულტურულ ერთიანობას და დიდი წვლილი შეჰქონდა ქართველი საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზებაში.

თუ ამერიკელ ისტორიკოსსა და ფილოსოფოსს — **რიჩარდ პაიპს** დავეყრდნობით, მართლმადიდებლობა, სხვა ქრისტიანული მიმდინარეობებისგან განსხვავებით, ყველაზე კონსერვატიულია. იგი, მისი კონსერვატიული ბუნებიდან გამომდინარე, ღრმად ეროვნულია და ამიტომ ორიენტირებულია დეცენტრალიზაცია-რეგიონალიზაციისკენ და არა ინდივიდუალიზაცია-უნივერსალიზმისკენ. იგი დასძენს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის საზღვრები ყოველთვის ეფუძნებოდა ერის, ეთნიკური ჯგუფის საზღვრებს, რითაც მართლმადიდებლური კულტურული ფასეულობების გავლენით შექმნილ ერებში სოციალური ორგანიზების ფორმებს ეფუძნებოდა პოლიტიკური ორგანიზმების ფორმებიც. მოცემულს განაპირობებდა ის გარემოებაც, რომ, კათოლიკური მიდგომისგან განსხვავებით, ღვთისმსახურება ნაციონალურ ენებზე აღესრულებოდა. შესაბამისად, მართლმადიდებელი ეკლესიის ღირებულებით ბაზაზე დაფუძნებული ერის სოციალური სტრუქტურა ჰარმონიაში მოდიოდა პოლიტიკური ორგანიზაციის სტრუქტურასთან.

ზემოთ გადმოცემული კონცეფციის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს X საუკუნის ქართველი მწერლის — **გიორგი მერჩულის** ლიტერატურული პასაჟი: **„ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების".** გიორგი მერჩულის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ნააზრევში **ქართველის, როგორც ეთნო-კულტურული ერთობის, ეროვნული მთლიანობის ღირებულებით პარამეტრს წარმოადგენს ქრისტიანობა (მართლმადიდებლობა) და ქართული ენა, სადაც მართლმადიდებლობა და ერი სინონიმური დატვირთვის მქონე სიტყვები გახდნენ. ეს, თავის მხრივ, ხაზს უსვამს ქართველი ერის კულტურულ ერთგვაროვნებასა და კოლექტივისტურ ბუნებას.**

ერის სოციალური ორგანიზება ხორციელდება ოჯახის პრინციპით, სადაც ერი წარმოადგენს კულტურულად და ენობრივად ჰომოგენურ ადამიანთა გაერთიანებას, რომელშიც ერის წევრები ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ამიტომ მართლმადიდებლობის გავლენით შექმნილი ერები და, მათ შორის, ქართველი ერიც, წარმოადგენს ნაციის ეთნიკურ და არა სამოქალაქო გაგებას. ასეთი ტიპის ერებში სოციალური ორგანიზების კოლექტივისტური ბუნება ჭარბობს, სადაც, ერის სამოქალაქო ფორმებისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი ორგანიზმის დაჩეხვა, დანაწილება ან მისი ფრაგმენტაცია არ ხდება სხვადასხვა მრავალგვარ და მრავალფეროვან სოციალურ ჯგუფებად, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ლიბერალური დემოკრატიის (პოლიარქიის) ფორმირებისთვის. როგორც **რობერტ დალი** აღნიშნავს: **„მოქალაქეთა ჰომოგენურ დასახლებებში, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო ენით, რასით, ისტორიითა და რელიგიით, ეს მრავალფეროვნება შეუძლებელია ყველა პრაქტიკული პარამეტრის მიხედვით".**

დასავლეთის ლიბერალურ დემოკრატიულ ქვეყნებში, რომლებშიც ნაციის სამოქალაქო გაგება ბატონობს, ერთი საზოგადოებრივი სხეულის ფარგლებში ადგილი აქვს სოციალურ-პოლიტიკურ დიფერენციაციას, რომელიც აჩენს სხვადასხვა ინტერესის დაცვაზე ორიენტირებულ სამოქალაქო და პოლიტიკური ორგანიზაციების მრავალგვარ და მრავალფეროვან სოციალურ სეგმენტებს და, შესაბამისად, მრავალი თანაბარი საზოგადოებრივი გავლენისა და ძალის მქონე ავტორიტეტული ლიდერისა და ელიტური ჯგუფის წყებას. **ისეთ ტრადიციულ საზოგადოებაში კი, რომელსაც ქართული წარმოადგენს, და რომელიც გამოირჩევა კოლექტივიზმით, ყალიბდება ერთი საზოგადოებრივი ორგანიზმი, მასში ჩართული ადამიანების საერთო ინტერესებით, რაც თავისთავად წარმოქმნის ერთ ავტორიტეტულ ლიდერს და მის გარშემო კონსოლიდირებულ პოლიტიკურ ელიტას. შესაბამისად, საერთო ინტერესების მქონე ერთი სოციალური ორგანიზაციის პირობებში საზოგადოების, ერის ორიენტაცია ხდება არაკონკურენტულ გარემოში ერთ ქარიზმულ ლიდერსა და მის მიერ მხარდაჭერილ პოლიტიკურ ელიტაზე.**

საზოგადოებრივი ორგანიზების კოლექტივისტურ სოციალურ მოდელზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების პირობებში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონკურენციის არარსებობა ხელს უწყობს სახელისუფლო ვერტიკალის მკვეთრ იერარქიზაციას. ასეთ სახელმწიფოებში პოლიტიკური სტრუქტურის უმაღლეს საფეხურზე აღზევებულ ავტორიტეტულ ლიდერსა და მის გარშემო მობილიზებულ ელიტას ხალხი აღჭურვავს მაქსიმალური ძალაუფლებით, რითაც იღებს ლეგიტიმაციის უმაღლეს ხარისხს, რაც თავისთავად იწვევს ძალაუფლების მაქსიმალურ აკუმულაციას ერთი პიროვნების ხელში. პოლიტიკური ოპონენტების სისუსტე ან, საერთოდ, არარსებობა, ხელს უწყობს არაკონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს ჩამოყალიბებას და სრულიად ბუნებრივად, ნებისმიერ პოლიტიკურ ლიდერს უბიძგებს ძალაუფლების უზურპაციისა და ამომრჩევლისადმი პასუხისმგებლობისგან თავის არიდებისკენ. ასეთ შემთხვევაში მოქმედებს **ლორდი აქტონის** პოლიტიკური ფორმულა: **„ხელისუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ხელისუფლება რყვნის აბსოლუტურად".** მოცემული სოციალური ფაქტორები განაპირობებს კიდეც პოლიტიკური სისტემის პერსონიფიცირებას, მის დეინსტიტუციონალიზაციას და მართვას ოჯახურ-კლანური პრინციპით.

**ირაკლი უბილავა,**
**პოლიტოლოგი**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

ფერმერის სკოლა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტოპინამბური „ა“ და „ბ“ ჯგუფის ვიტამინების საწყობია, დიაბეტით დაავადებულთა მკურნალი, არეგულირებს არტერიულ წნევას, ასუფთავებს ნაწლავებს, ათავისუფლებს ადამიანებს ზედმეტი სიმსუქნისგან.**

# არავითარი მარიხუანა! გავაშენოთ ტოპინამბური!

**რედაქციამ ქუთაისიდან მიიღო ბუნების მოყვარული (ასე უწოდებენ ისინი თავიანთ თავს) ორი ადამიანის წერილი „ფერმერის სკოლის“ რუბრიკაში გამოსაქვეყნებლად. მარიხუანა „პოლიტიკური ფონისთვისაა“ ნახსენები, წერილი კი სოფლის მეურნეობის საინტერესო, მაგრამ საქართველოში არც მაინცდამაინც პოპულარული კულტურის — მიწის ვაშლ ტოპინამბურის მოყვანა-გავრცელებაზეა.**



**საქართველოში ტოპინამბურის მოყვანა ყველგან შეიძლება. უხვმოსავლიანია ის რაიონები, რომლებშიც ტრადიციულად კარტოფილი მოჰყავთ, კერძოდ, სვანეთი, რაჭა, სამცხე-ჯავახეთი. აგარის შაქრის საწარმოში შეიძლება ტოპინამბურისგან დიაბეტიანთათვის შაქრის დამზადება**

ტოპინამბურის კვებითი და სამკურნალო გამოყენება სამხრეთ ამერიკის უძველესი მოსახლეობისთვის კარგად იყო ცნობილი. იქიდან ევროპაში შემოიტანეს და გაამრავლეს. მცენარის სახელწოდება — **ტოპინამბური,** ბრაზილიის აბორიგენი პატარა ტომის — ტოპინამბოს სახელთანაა დაკავშირებული. მთელ რიგ ქვეყნებში ტკბილ კარტოფილსაც უწოდებენ; შვედეთში, რუსეთი, ავსტრიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში მიწის მსხლის სახელითაა ცნობილი; საქართველოში მიწის ვაშლს ეძახიან.

**მეცნიერულ გამოკვლევებში წერენ, რომ ტოპინამბური „ა“ და „ბ“ ჯგუფის ვიტამინების საწყობია, დიაბეტით დაავადებულთა მკურნალი, არეგულირებს არტერიულ წნევას, ასუფთავებს ნაწლავებს, ათავისუფლებს ადამიანებს ზედმეტი სიმსუქნისგან. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენი გამოცდილება რაც შეიძლება მეტ ადამიანს გავაცნოთ.**

საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ ცალკეულმა ენთუზიასტებმა დაიწყეს ტოპინამბურის გამოყენება. მისასალმებელია შპს-ის „პური ჩვენი არსობისა“ ინიციატივა, რომელმაც 2015 წლიდან დაიწყო დიეტურ-დიაბეტური პურის — **„ამარანტის“** ცხობა, რომლის შემადგენლობაში, სხვა კომპონენტებთან ერთად, ტოპინამბურს წამყვანი ადგილი უკავია.

**ტოპინამბური კარტოფილის მსგავს ტუბერებს იძლევა. კარტოფილისავე მსგავსად ბუდნებში ირგვება; ყოველ ბუდნაში ერთი ცალი, წონით 20-30 გრამი; მწკრივში ბუდნებს შორის დაშორება 60-60 სანტიმეტრია, ტუბერის ქვეშ მიწა აუცილებლად გაფხვიერებული უნდა იყოს.**

ტოპინამბურს რბილი და ფხვიერი ნიადაგი სჭირდება. 2-ჯერ მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე კარტოფილი.

დარგვა ადრე გაზაფხულზე, აპრილის დასაწყისამდე, შეიძლება. სრული სიმწიფის მოსავალს ოქტომბრის ბოლო რიცხვებში იძლევა. რადგან ტუბერებს ახასიათებს გამოშრობა და ჭკნობა, მიწიდან იმდენი უნდა ამოვიღოთ, რამდენსაც ერთ ჯერზე მოვიხმართ; ჭარბად ამოღებული ტუბერები მაცივარში უნდა მოვათავსოთ.

**ფხვიერ და ნოყიერ ნიადაგზე ტოპინამბურის ნარგავების სიმაღლე 3 მეტრს აღემატება, ზოგჯერ 4-5 მეტრსაც კი. ერთი ძირი მცენარე ფოთლებისა და ამონაყრის სიუხვით 3-4 ძირი სიმინდის მასას აღემატება და უხვ სასილოსე მასალას იძლევა.**

მცენარეს არ სჭირდება შეწამვლა და მცენარეთა დაცვის რაიმე ღონისძიება.

ქარიან ამინდში არ ზიანდება, გვალვის ამტანია, ორჯერ ითოხნება — მაისსა და ივლისაგვისტოში. რაც უფრო კარგად გავუფხვიერებთ მიწას, მით უფრო მეტ და დიდი ზომის ტუბერებს მოვიწევთ. საჰექტარო მოსავალი 25 ტონას აღწევს.

ნიადაგს თუ სასუქად დამწვარი ნაკელით გავამდიდრებთ, მაშინ ერთი ბუდნიდან შეიძლება 3 კილოგრამამდე ტუბერი მივიღოთ. ჩვენს პრაქტიკაში იყო ორი შემთხვევა, როცა ერთი ბუდნიდან 5 კილოგრამამდე ტუბერი ამოვიღეთ. ივლისის შუა რიცხვებში ერთი მეტრი სიმაღლის ქვემოთ მცენარეს შემოაცალეთ ტოტები და საჭმელად კურდღლებს, ფრინველებსა და პირუტყვს დაუყარეთ.

**საქართველოში ტოპინამბურის მოყვანა ყველგან შეიძლება. უხვმოსავლიანია ის რაიონები, რომლებშიც ტრადიციულად კარტოფილი მოჰყავთ, კერძოდ, სვანეთი, რაჭა, სამცხე-ჯავახეთი. აგარის შაქრის საწარმოში შეიძლება ტოპინამბურისგან დიაბეტიანთათვის შაქრის დამზადება.**

შეიძლება ფართოდ გავავრცელოთ ყანების, ბაღ-ვენახების გაყოლებით, რითაც ესთეთიკურად მიმზიდველ გარემოს შევქმნით, მოვსპობთ ამბროზიასა და სხვა სარეველებს, რომლებიც დღეს ჩვენს სავარგულებში ლამის ბატონობენ.

ტოპინამბური, როგორც გამწვანების საშუალება და ერთდროულად საკვებ-სამკურნალო ტუბერების მომცემი, შეიძლება გავაშენოთ ქალაქების სკვერებში, ქუჩების გასწვრივ. სპეციალისტები ადასტურებენ, რომ იგი უხვად გამოყოფს ჟანგბადს და ასუფთავებს გარემოს.

ჩვენ, ამ სტრიქონების ავტორები, მზად ვართ, გავწიოთ სასარგებლო კონსულტაციები. ამჯერად კი მოგაწვდით რამდენიმე ინფორმაციას ამ მცენარის გამოყენების თაობაზე:



* 50 კგ ტოპინამბურიდან მიიღება 5-6 ლიტრი სპირტი ან 8-9 ლიტრი არაყი;

* ინსულინის 15-16 პროცენტით შემცველობის გამო, ის დიაბეტიანთა სამკურნალოა; უმჯობესია, მიიღონ ნედლად, არ გათალონ, თორემ ვიტამინების დიდ ნაწილს დაკარგავენ;

* შემწვარი და მოხარშული ტუბერებისგან, კარტოფილის მსგავსად, შეიძლება სხვადასხვა კერძის დამზადება, გემრიელი ღვეზელების გამოცხობა;

* კარტოფილის ნაცვლად ვიყენებთ ნებისმიერ წვნიანში — ბორშჩში, ბულიონში;

* ასევე: მოხარშეთ მრგვლად, მოაყარეთ შავი წიწაკა და მიირთვით — კუჭ-ნაწლავის წამალია;

* გაჭერით ტუბერი და წაუსვით ჭრილობას, გაკაწრულ ადგილს, სწრაფად განკურნავს;

* ტოპინამბურის წვენი ალამაზებს სახის კანს, ჭიმავს, ამცირებს ნაოჭებს. ხელს უწყობს მხედველობის გაუმჯობესებას, შეიცავს სისხლის წარმომქმნელ მარილებს, აუმჯობესებს მამაკაცთა სქესობრივუნარიანობას, ეფექტიანად კურნავს კოლიტს, გასტრიტს;

* წვრილად დაჭრილი ტუბერი დაყარეთ ემალირებულ ტაფაზე, ბოლომდე გამოაშრეთ ნელ ცეცხლზე, აიღეთ ერთი ჩაის კოვზი, ჩაყარეთ მდუღარე წყლიან ჭიქაში — შესანიშნავ ყავას შესვამთ;

* ძალზე გემრიელი და სამკურნალოა დამწნილებული ტოპინამბური, ამისათვის აიღეთ 4 კილოგრამი ტუბერი, შეარჩიეთ პატარები, ნახევარი კილოგრამი ჭარხალი და სტაფილო: 5-6 კონა ნიახური, 2 კონა ოხრახუში, 2 კონა ცერეცო, 50 გრამი ნიორი, 10 ცალი ბულგარული და 2 ცალი მწარე წიწაკა, 9-10 ფოთოლი დაფნა, მარილი — ძალიან ცოტა — 1-2 ჩაის კოვზი. გასუფთავებული ეს მასა ჩაყარეთ ემალირებულ ქვაბში, რომელშიც იქნება ადუღებული წყალი. ცეცხლი გამორთეთ 2 წუთის შემდეგ. გადაიტანეტ ქილებში და მოხუფეთ. 10-12 დღის შემდეგ დამჟავებული მასა მზად იქნება. გაფრთხილებთ, ძმარი არ გამოიყენოთ. დამჟავების ფუნქციას ნიახური ასრულებს. მჟავეს ჭურჭელში ხელი არ შეახოთ, საცრიანი კოვზით ამოიღეთ, ხოლო წვენი ყოველდღიურად შესვით ღვინის ჭიქით — მუხლებს ამაგრებს, მოთენთილობას მოგიხსნით.



ცნობილია, რომ მარნეულში კიტრის შესანიშნავ მწნილს ამზადებენ; ანალოგიური ტექნოლოგიით შეიძლება მინის ქილებში მოვამზადოთ ტოპინამბურის მჟავე, ოღონს უნდა შეირჩეს მცირე ზომის ტუბერები.

* ერთი კილოგრამი ტოპინამბური გაატარეთ ხორცის საკეპში, მიღებულ ფაფას დაუმატეთ ორი სუფრის კოვზი თაფლი და კარგად აზილეთ; მიიღებთ მრავალმხრივ სასარგებლო სამკურნალო საშუალებას; მიირთვით ორი სუფრის კოვზი 2-3 დღის გამოშვებით.

ტოპინამბური სექტემბეროქტომბერში ყვავილობს, როცა ბუნებაში ყვავილების დიდი სიმცირეა, ამიტომ მის ყვავილებს ფუტკარი ეტანება. მეფუტკრეებს ვურჩევთ, მოამრავლონ ტოპინამბურის ნარგავები.

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;**
**ბადრი ხუციშვილი,**
**პედაგოგი-მათემატიკოსი**



## გურჯაანში ღვინის უნივერსიტეტი აშენდება

**ღვინის უნივერსიტეტის ერთ-ერთ ადგილად ყოფილი სკოლა-ინტერნატის ტერიტორია განიხილება, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.**

პროექტის მიხედვით, აშენდება სამი შენობა: ღვინის ლაბორატორია, ღვინის მცირე წარმოება და სტუდენტური საერთო საცხოვრებელი. პროექტი კავკასიის უნივერსიტეტს ეკუთვნის. არსებული ინფორმაციით, ღვინის უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამა წლიურად 2250 ლარი ეღირება, ხოლო პროფესიული — 1125 ლარი.

„გურჯაანი მეღვინეობა-მევენახეობის მუნიციპალიტეტია და ამიტომ ყველაზე სწორია, სასწავლებელიც აქ აშენდეს. ამ ლოგიკით დავარწმუნე კავკასიის უნივერსიტეტი, რომ შესაფერისი ადგილი გურჯაანია. ეს იქნება საერთაშორისო უნივერსიტეტი, რაც ნიშნავს იმას, რომ აქ ისწავლიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტები. ჩატარდება არაერთი კვლევა მეღვინეობა-მევენახეობის მიმართულებით, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის სტატსუსს სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანს. როგორც ხელმძღვანელობა მეუბნება, 2020 წლისთვის უკვე მზად იქნებიან სტუდენტების მისაღებად“, — აღნიშნა მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით სონღულაშვილმა.

მოგიწოდებთ და მოვითხოვ ყველა დაღუპული მებრძოლის მშობლებისა და პირადად ჩემი სახელით, პარლამენტმა სასწრაფოდ დაიწყოს მუშაობა შესაბამისი დოკუმენტის მიღებაზე, რომლის საფუძველზეც მოხდება საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი ჯარისკაცების სამშობლოში დაბრუნება. არავის აქვს უფლება სხვისი შვილების სიცოცხლის ხარჯზე, სხვის თვალში კარგ ადამიანად წარმოჩენისა! როგორც თქვენ გიყვართ თქვენი შვილები, ისე და შეიძლება ზოგიერთზე მეტადაც უყვარს სხვებს თავისი შვილები.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ირაკლი კობახიძეს



**იმედია, წინამდებარე წერილს წაიკითხავთ გულისყურით და რეაქციასაც შესაბამისს გამოიჩენთ!**

არ ვიცი, თქვენთვის ცხოვრება როგორ ფერებში მიმდინარეობს, ალბათ, ნათელში, მაგრამ, ჩვენთვის ის ძალიან მუქ ფერებში რომაა წარმოდგენილი, უდავოა. საერთოდ, ადამიანის გარდაცვალება რომ დიდი დანაკლისია, ესეც უდავოა, მით უმეტეს ახლობლის, მაგრამ შვილის გარდაცვალება-დაღუპვა უსაშინელესი მოვლენაა ადამიანის ცხოვრებაში. პოემა „თამარიანში" არის ერთი მონაკვეთი, როდესაც მშობელი მიმართავს შობილს: „ვაით გშობე, უით გზარდე"! აი, ასეთი ვაით ნაშობი და უით გაზრდილი შვილი რომ დაეღუპება მშობელს, ეს ისეთი ტკივილია, რომლის სიტყვით გადმოცემა ადამიანის ენას არ ძალუძს.

ნაცების ზეობის პერიოდში, თუმცა არც ახლა გრძნობენ თავს დაჩაგრულად თქვენს ხელში, ვიღაც ვიგინდარა-გარეწარმა წამოაყრანტალა: ავღანეთში ჩვენი შვილები საქართველოს დამოუკიდებლობას იცავენო. როგორ მოგწონთ ეს ხალხის დაცინვა? აბა, წარმოიდგინეთ იმ ოჯახების მორალური და ფიზიკური მდგომარეობა, რომლებმაც საღსალამათი შვილები გაუშვეს სამხედროში, ქვეყნის დასაცავად და „ცინკი"-ს კუბოთი ჩამოუსვენეს, და თანაც რაღაც მათხოვრული გროშები მიუყარეს. **მინდა, ვკითხო თქვენს მთავრობას: ნაცებივით რომ ყელყელაობთ სხვისი შვილების ჯანმრთელობით, თავი მოგაქვთ და ამბობთ, — აშშ-ის მერე, სამშვიდობო მისიაში მონაწილეთა რაოდენობით მეორე ადგილზე ვართო, სინდისი არ გქენჯნით? არა მგონია!**

შვილის სიყვარულის დაფასება როგორ უნდა, ერთ ჟურნალში ამოვიკითხე: ავღანეთში საბჭოთა ჯარების ყოფნისას, ერთ-ერთი ნაწილისთვის

**ბატონო თავმჯდომარევ! მინდა, ვკითხო თქვენს მთავრობას: ნაცებივით რომ ყელყელაობთ სხვისი შვილების ჯანმრთელობით, თავი მოგაქვთ და ამბობთ, — აშშ-ის მერე, სამშვიდობო მისიაში მონაწილეთა რაოდენობით მეორე ადგილზე ვართო, სინდისი არ გქენჯნით?**

რომელიღაც აულიდან ეზიდებოდნენ რძეს. ერთ დღეს, როდესაც ჯარისკაცს მოტოროლერით მიჰქონდა რძე, გზაზე წინ გადაუდგა უშველებელი კობრა. გველი არ აპირებდა გზიდან გადასვლას. ჯარისკაცმა ეს მოიფიქრა: მონახა ჭურჭელი, დაასხა რძე და გვერდით გადადგა. კობრამ იმწამსვე დატოვა იქაურობა. ამის შემდეგ ჯარისკაცი იმ ადგილზე ყოველთვის ტოვებდა რძეს. ერთ მშვენიერ დღესაც ჯარისკაცმა გაიმეორა ყოველივე, მაგრამ, როცა დააპირა წასვლა, მის წინ ისევ აღიმართა კობრა და არ მისცა ადგილიდან დაძვრის საშუალება. 2 საათის შემდეგ კი ბუჩქებში გაუჩინარდა. ნაწილში მისულ ჯარისკაცს დახვდა საშინელი სურათი — მთელი ნაწილი მიწასთან იყო გასწორებული. აი ასე გადაარჩინა სიკვდილს კობრამ საბჭოთა ჯარისკაცი გაწეული სიკეთისთვის. ეს ისტორია ბევრი ჭკუათმყოფელისთვის უნდა იყოს ჭკუის სასწავლებელი!

აქედან გამომდინარე, მოგიწოდებთ და მოვითხოვ ყველა დაღუპული მებრძოლის მშობლებისა და პირადად ჩემი სახელით, პარლამენტმა სასწრაფოდ დაიწყოს მუშაობა შესაბამისი დოკუმენტის მიღებაზე, რომლის საფუძველზეც მოხდება საზღვარგარეთ მყოფი ჩვენი ჯარისკაცების სამშობლოში დაბრუნება. არავის აქვს უფლება სხვისი შვილების სიცოცხლის ხარჯზე, სხვის თვალში კარგ ადამიანად წარმოჩენის! როგორც თქვენ გიყვართ თქვენი შვილები, ისე და, შეიძლება ზოგიერთზე მეტადაც, უყვარს სხვებს თავისი შვილები.

მინდა, გაცნობოთ, რომ წინამდებარე წერილს, გარდა იმისა, რომ ჩავაბარებთ თქვენთან — კანცელარიაში, ასევე დავუგზავნით თბილისში გამომავალი ყველა გაზეთის რედაქციას გამოსაქვეყნებლად, რათა ხალხი ინფორმირებული იყოს ჩვენი მოთხოვნის თაობაზე.

**ანზორ დანელია,**
**ორი დაღუპული მებრძოლის მამა, ფონდ „სანთელის" თავმჯდომარე**

# რა გვჭირს?! რა გვემართება?!



**ამას რომ ვწერ, თავში უამრავი აზრი მიტრიალებს. სათქმელი რით დავიწყო, ისიც არ ვიცი, ან რით დავამთავრო. ბევრი რამ მაწუხებს. ეს წუხილი ყოველდღიურად მატულობს და ყელში მაწვება.**

რა გვჭირს?! რა გვემართება?! ვინ ვიყავით და ვინ ვართ ახლა?! — ეს კითხვები მიტრიალებს თავში. თითქოს „ვიღაც" გვმართავს, უხილავი „ვიღაც" ჩვენ სულებში აფათურებს ხელს და ამ ყველაფერს ისე აკეთებს, რომ საფიქრალსაც არ გვიტოვებს. თითქოს ღრმა ძილიდან ეს-ეს არის გამოვედით და ჩვენი გონზე მოუსვლელად წახდენა, ამ წახდენის საშუალებები ჩვენივე არჩევანით გვაქვს გადაწყვეტილი და ჩვენივე გემოვნებით არის ნაკარნახევი (ამ შემთხვევაში გასახსენებელია მიუწვდომელი ევროპა და მისი „სიამენი" ლიბერალური მანტრის ქვეშ. რომელი ჩვენგანის არჩევანია ჩვენი შვილების გაურკვეველი მომავალი — ეს ჩვენ განვსაზღვროთ). ამ „ვიღაცას" თითქოს მიზანი აქვს ჩვენი გადაგვარების, ჩვენი გაქრობის, ქართველის სახსენებელის ძირ-ფესვიანად ამოძირკვის და ეს კარგად გამოსდის. ჩვენივე ხელით აკეთებს ამას და ჩვენივე ტვინით მართავს ამ ყოველივეს. ჩაგვსახლებია სულში და გონებაში. ვინ არი ეს „ვიღაც"? — ეს არის დამაფიქრებელი. სად და რომელ სუსტ წერტილს მიაგნო ჩვენში? სრულიად დაგვაბეჩავა და საკუთარ თავში ჩაგვკეტა, ჩვენივე უძლურებისა და სისუსტის მონებად გვაქცია. ძალიან ჭკვიანია ეს „ვიღაც", ძალიან ჭკვიანი. უბრალოდ, **ვკითხოთ საკუთარ თავს: ეს ვიყავით? ასე ვცხოვრობდით? ამ ღირებულებებზე გავიზარდეთ?..** იქნებ აქრობენ ამ ყოველივეს ჩვენში, იქნებ რაც გვიყვარს და რაც ჩვენი ცხოვრების მიზნად და წესად გაგვიხდია საუკუნეების განმავლობაში, ამ ყველაფერს „ვიღაცის" თვალში ფასი არ აქვს ან ამ „ვიღაცას" ხელს უშლის ჩვენი ცხოვრების წესი, ჩვენი კულტურა და ზნეობა?! მგონი, ადამიანებადაც არ გვთვლის! **შევხედოთ და ნათლად დავინახავთ, როგორი გაშმაგებით ებრძვიან ჩვენს დედაეკლესიას — ამ უკანასკნელ ნავსაყუდელსა და უკანასკნელ ბურჯს ქართველობისას. გავეშებული ბრძოლა მიდის ამ სიწმინდისა და იქ მოღვაწე ყველა წესიერი ადამიანის წინააღმდეგ.** სამწუხაროდ, **ამას ისევ ქართველის ხელით აკეთებენ.** ეს „ვიღაც", ალბათ, დაგვცინის კიდეც: აი თქვენი საამაყო ქართველობა გროშებზე როგორ იყიდებაო; თქვენი სახელგანთქმული ვაჟკაცობა, როგორ ადვილად იცვლება ოქროსა და ვერცხლშიო...

არ მეგონა, ამდენი მტერი და მოღალატე თუ იქნებოდა ჩვენში, ჩვენ გვერდით ამდენი გველი თუ გაიზრდებოდა. ჩვენივე ძმა და სისხლი ხელს გვკრავს და უფსკრულში გვიპირებს გადაჩეხვას და ამას ისე აკეთებს, გეგონება, ჩვენივე კეთილდღეობისთვის და ჩვენივე შვილების ნათელი მომავლისთვის დღე და ღამ ფიქრში ატარებს. გამოფხიზლების დრო არ მოვიდა? რას ვუტოვებთ შვილებს? ნარკოტიკების თესლებს, პედერასტების სამკლავურებსა და ალმებს თუ ვაზის ყლორტებსა და ჩვენი სისხლითა და ოფლით გაჟღენთილ დროშებს (მადლობა ღმერთს ეს ყველას არ გვეხება)?! მგონი, დაფიქრება არ გვაწყენს. შებრძოლება სჭირდება ამას, რადგან ეს გზა დაღუპვისა და გაქრობისკენ მიგვაქანებს. სიყვარული და პატივისცემა გვაკლია ერთმანეთის, გაუტანლობა გამოგვდის კარგად. სიყვარულით ბევრს შევძლებთ. ეს ყველამ კარგად იცით. **ავტორიტეტები გავაქრეთ და აღარავის ვუსმენთ — აღარც პატრიარქს და აღარც ერზე მზრუნველ ადამიანებს. ისეთ გაჭირვებაში და ყოველდღიურ საზრუნავში ჩაგვფლეს, რომ ღირებულებებზე აღარ გვაფიქრებენ.** დროს აღარ გვიტოვებენ სიკეთესა და მარადიულზე საფიქრალად, ცალკე ტელევიზიებითა და სანახაობებით, ცალკე ამდენი ვალებითა და ლუკმაპურის შოვნის პრობლემით. საქართველო ბანკის ვალებში ჩაახრჩეს. იმ პრინციპს, რომ „დაყავი და იბატონე" ან ფული „ასესხე და დაიმონე" ზედმიწევნით ასრულებს ეს „ვიღაც" თუ „ვიღაცები". ამ ყველაფერს ისევ ქართველის ხელით აკეთებენ. თითქოს უკვე ბევრი აღარ დარჩა ჩვენს სრულ დაღუპვამდე და გადაგვარებამდე.

სათქმელი კიდევ უამრავია.

მე ერთი თქვენგანი ვარ, ჩემო მეგობრებო, იმავე მწუხარებით. ცოდვილი. პირველ რიგში, საკუთარ თავს მოვუწოდებ: იმედი და მოთმინება გვჭირდება. ღმერთი არ დაუშვებს ჩვენ გადაგვარებას, მაგრამ ხელისა და ტვინის განძრევა გვჭირდება. ჩვენს გასაკეთებელს სხვას ვერ მოვთხოვთ. ადრე თუ გვიან, მოგვიწევს ამ ყველაფერზე პასუხისგება ღმერთთან და ჩვენს წინაპრებთან...

**ირაკლი სპანდერაშვილი**

**გაშმაგებით ებრძვიან ჩვენს დედაეკლესიას — ამ უკანასკნელ ნავსაყუდელსა და უკანასკნელ ბურჯს ქართველობისას. გავეშებული ბრძოლა მიდის ამ სიწმინდისა და იქ მოღვაწე ყველა წესიერი ადამიანის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ამას ისევ ქართველის ხელით აკეთებენ**

**ავტორიტეტები გავაქრეთ და აღარავის ვუსმენთ — აღარც პატრიარქს და აღარც ერზე მზრუნველ ადამიანებს. ისეთ გაჭირვებაში და ყოველდღიურ საზრუნავში ჩაგვფლეს, რომ ღირებულებებზე აღარ გვაფიქრებენ**

უახლესი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დარგის განვითარებამ სერიოზულ მასშტაბებს 1960-80 წლებში მიაღწია, როცა უახლესი ტექნიკით აღიჭურვა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი, რომელიც წელიწადში 8 მილიონ მეტრ შალის ქსოვილს უშვებდა. თბილისში ამუშავდა გლდანის ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ცხინვალში — ტრიკოტაჟის ფაბრიკა, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ცხაკაიის (სენაკის) ხალიჩების კომბინატს, ზუგდიდში აშენდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფაიფურის ქარხანა, საჩხერეში — სართავი ფაბრიკა და ა.შ.**

**დღეს, როცა ჩვენი მოსახლეობა მსოფლიო ბრენდების თბილისურ მაღაზიებში შედის, როგორც მუზეუმებში, დასათვალიერებლად და თვალისთვის წყლის დასალევინებლად, საყიდლად კი მეორადი, ანუ სხვისი ნახმარი ევროპული საქონლის ყიდვას სჯერდება, საქართველოს მსუბუქ მრეწველობაზე, როგორც ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგზე, ლაპარაკი ზედმეტია. არადა, იყო დრო, როცა საქართველო მოკავშირე რესპუბლიკებს შორის საერთო პროდუქტის გამოშვებით პირველ სამეულში შედიოდა, როგორც მაშინ იტყოდნენ, ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე იდგა.**

# დაკარგული შესაძლებლობები და შესაძლო პერსპექტივა


გიორგი გამცემლიძე

პოეტი სიტყვის ფეიქარიაო, — წერდნენ პოეზიის სახელგანთქმული ოსტატები, ელოლიავებოდნენ ამ დარგს, როგორც რამ ნაზსა და სათუთს. ქსოვილების დამზადების კულტურა იმთავითვე მოგვდევდა — ოჯახებში მამაპაპური წესით პენტავდნენ მატყლს, ჩეჩავდნენ, ართავდნენ, ქსოვილს ამზადებდნენ. ეს კუსტარული წარმოების ისტორიაა, რომელიც ეფუძნებოდა მეაბრეშუმეობისა და მეცხოველეობის ჩვენს მხარეში საკმაოდ განვითარებულ ბაზას.

— მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში გაჩნდა აბრეშუმისა და ბამბის სახელოსნოები, **კუშნირის** მაუდის საქსოვი და **ალქსერბეკ მაჰმუდის** ბამბის ფაბრიკები, **— გვიყვება 1971-1985 წლებში საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მინისტრი გიორგი გამცემლიძე, რომელიც ინტერვიუს ჩამორთმევაზე დაგვთანხმდა. ბატონი გიორგი ჯერ მინისტრის მოადგილედ, შემდეგ მინისტრად თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორობიდან მოვიდა.**

— ჩემ დროს, — **იხსენებს გაზეთის სტუმარი,** — საქართველოში წარმოებული მთელი სამრეწველო პროდუქციის მეხუთედი მსუბუქი მრეწველობის წილად მოდიოდა, რაც, ერთი მხრივ, განსაზღვრავდა რესპუბლიკის საწარმოო პოტენციალს და არსებითად განაპირობებდა მისი განვითარების ტემპს. მეორე მხრივ, მსუბუქი მრეწველობის გამართულ მუშაობაზე დიდწილად იყო დამოკიდებული რესპუბლიკის მოსახლეობის უზრუნველყოფა ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ქსოვილებისა და ტრიკოტაჟის ნაწარმით. დარგის განვითარება გასული საუკუნის ოციანი წლებიდან დაიწყო, როცა ქუთაისში ამუშავდა მაუდის მწარმოებელი ფაბრიკა. 1932 წელს მწყობრში ჩადგა თბილისის მაუდის ფაბრიკა და ამავე წელს დაამზადა მილიონი მეტრი შალის ქსოვილი. 1961 წელს თბილისის ნაძალადევის რაიონში ამუშავდა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი, რომელიც 2,5 ჰექტარზე იყო განლაგებული და ტრიკოტაჟის ნაწარმის გამოშვებაზე იყო ორიენტირებული. მართალია, საწარმომ დასაწყისში წაიფორხილა, მაგრამ ორგტექნიკური ღონისძიებების განხორციელებით დაძლია ჩამორჩენა და მოწინავეთა რიგში ჩადგა.

**დარგის განვითარებამ სერიოზულ მასშტაბებს 1960-80 წლებში მიაღწია, როცა უახლესი ტექნიკით აღიჭურვა თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი, რომელიც წელიწადში 8 მილიონ მეტრ შალის ქსოვილს უშვებდა. თბილისში ამუშავდა გლდანის ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ცხინვალში — ტრიკოტაჟის ფაბრიკა, სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ცხაკაიის (სენაკის) ხალიჩების კომბინატს, ზუგდიდში აშენდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფაიფურის ქარხანა, საჩხერეში — სართავი ფაბრიკა (რომელშიც 1000-მდე მუშა დასაქმდა) და ა.შ.**

1980 წლის მონაცემებით, მსუბუქი მრეწველობა აწარმოებდა ბამბის ქსოვილს — 60,0 მლნ გრძივ მეტრს; შალის ქსოვილს — 5,17 მლნ გრძივ მეტრს; აბრეშუმის ქსოვილს — 49,2 მლნ გრძივ მეტრს; ტრიკოტაჟის თეთრეულს — 27,7 მლნ ცალს; ზედა ტრიკოტაჟს — 15,9 მლნ ცალს და ა.შ. ნუ გადავღლით თქვენს მკითხველებს ციფრებით. მხოლოდ ერთს დავუმატებ: რესპუბლიკის ეკონომიკაში მსუბუქი მრეწველობის წილი 20-22 პროცენტს შეადგენდა. იმ წლებში საკავშირო მსუბუქი მრეწველობის ზრდის ტემპს 30 პროცენტით ვუსწრებდით. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ წარმოების მოცულობის ზრდის ასეთი მაღალი ტემპი ნეგატიურად აისახებოდა ხარისხზე, განსაკუთრებით — ფეხსაცმლისა და სამკერვალო საწარმოებში.

**— ბატონო გიორგი, მიღწევების შესახებ პატაკი რომ არ გამოგვივიდეს, ერთ ამბავს შეგახსენებთ. ოთხმოციანი წლების დასაწყისში საქართველოს ტელევიზიის ციკლში — „გულახდილი დიალოგები“ მონაწილეობისთვის გვეწვიეთ. საუბარში წამოიჭრა საკითხი ნაწარმის ხარისხის შესახებ, რომელსაც მოსახლეობა კრიტიკულად აფასებდა. მაშინ, პირდაპირ ეთერში შეგეკითხეთ, რომელი საწარმოს შეკერილი კოსტუმი გაცვიათ-მეთქი. მიპასუხეთ, — ფინურიო (იმ დროს ძალიან პოპულარული იყო).**

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს, მაგრამ მეც გაგახსენებთ: როცა მეორედ მოვედი ტელევიზიაში, თქვენ მოგეწონათ ჩემი ჩაცმულობა და გითხარით, რომ ეს კოსტიუმი თბილისის ფაბრიკაში იყო შეკერილი.

**— ეს საუბარიც პირდაპირ ეთერში გადაიცა.**

— დიახ, და სწორედ ნაკლოვანებებზე მინდა გავაგრძელო ეს მომიხილვა. მაგალითად, ყოვლად გაუმართლებელი იყო, როცა 5-მილიონიანი მოსახლეობის რესპუბლიკა 15 მილიონ წყვილ ფეხსაცმელს და 23 მილიონ ერთეულ სამკერვალო ნაწარმს ამზადებდა. ასე იყო დაგეგმილი. გეგმა კი კანონად ითვლებოდა. ასეთი მანკიერი დაგეგმვა გამოწვეული იყო ჩვენი რესპუბლიკის დოტაციურობით, რომლის დაფარვა პროდუქციის რაოდენობის გაზრდით შეიძლებოდა. თუმცა ეს გამამართლებელი არგუმენტი, ცხადია, არ არის. და თუ ამ საკითხს შევეხე, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენმა მკითხველმა არ იფიქროს, თითქოს საბჭოთა წარსულის გაიდეალებას ვცდილობ.

ჩვენ მაშინაც კრიტიკულად ვიყავით განწყობილი ასეთი შეუსაბამობის მიმართ და ვცდილობდით, სამოღვაწეო არეალში საკუთარი ინიციატივით დაგვეძლია მსგავსი ნეგატივიზმი. სამინისტროს საწარმოებში განსაკურებულ ყურადღებას ვაქცევდით ნაწარმის ასორტიმენტის განახლებასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. დიდი სამუშაოები განხორციელდა დარგში ტექნოლოგიური გადაიარაღების მხრივ, მოძველებული დაზგა-დანადგარები შეიცვალა თანამედროვე აღჭურვილობით. საფეიქრო საწარმოებში მექანიკური დაზგები უმაქო, პნევმატური, ავტომატური საქსოვი დაზგებით შეიცვალა; დამონტაჟდა ახალი ტიპის უთითისტარო სართავი მანქანები, რამაც განაპირობა მსუბუქი მრეწველობის ძირითად სახეობებში პროდუქციის ზრდის მაღალი ტემპი და ხარისხი. მაგალითად, ბამბის ქსოვილები 1940 წელთან შედარებით 1980 წელს 150 პროცენტით, შალის ქსოვილი 20,3 პროცენტით, ტრიკოტაჟის 10 პროცენტით გაიზარდა, ფეხსაცმლის რაოდენობა კი — 10 პროცენტით.

**1989 წლიდან მასშტაბური ხასიათი მიიღო უცხოეთიდან მსუბუქი მრეწველობის უხარისხო საქონლის შემოტანამ, რომელიც ჩვენს ნაწარმზე იაფი ღირდა. იმ პირობებში, როცა მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, ჩვენი ნაწარმი ქვეყნის ბაზრიდან განიდევნა, მეორადი მოხმარების საქონელმა კი, საერთოდ, ბოლო მოუღო**


აბრეშუმის პარკის მწარმოებლები

**სამოცდაათიანი წლების ბოლოს საქართველოში 2,2 მილიონი სული ცხვარი იყო. მზადდებოდა 5,2 ათასი ტონა მატყლი. მუშაობდა მატყლის გადამამუშავებელი ორი საწარმო თბილისსა და შულავერში, დღეს ისინი უმოქმედოდაა. მატყლს არავინ აბარებს: სოფლად ცხვრის მოშენებით აღარ ინტერესდებიან**

**და ისევ სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც დღევანდელ პირობებში წარმოუდგენელია: 1940 წელთან შედარებით მთლიანი პროდუქციის ზრდამ 1980 წელს 1069 პროცენტი შეადგინა, საფეიქრო დარგში — 1050 პროცენტი, სამკერვალო მრეწველობაში — 232 პროცენტი, ტყავ-ფეხსაცმლის წარმოებაში — 372 პროცენტი.**

**1960-1970-იან წლებში საწარმოებში ხარისხის მართვის სისტემის დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. ქართულმა პროდუქციამ დიდი მოწონება დაიმსახურა იზმირის, ბერლინისა და პარიზის საერთაშორისო გამოფენებზე.**

**ეს ყველაფერი იყო, მაგრამ დღეს აღარ არის: 1990 წლიდან დაიწყო მსუბუქი მრეწველობის საწარმოების დახურვა და ამჟამად ყოფილი მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს არც ერთი მნიშვნელოვანი ფაბრიკა-კომბინატი არ მუშაობს. ეს განაპირობა გარდამავალი პერიოდის უდროობამ და იმანაც, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგ შეწყდა მოკავშირე რესპუბლიკებიდან (დღეს სუვერენული სახელმწიფოებიდან) ნედლეულის მიღება და ჩვენგან მათთვის მზა ნაწარმის მიწოდება. დსთ-დან გამოსვლის შემდეგ კი საერთოდ დავკარგევთ ამ თანამეგობრობის ბაზრები.**

დარგი მზად არ აღმოჩნდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად, ხოლო ეკონომიკის სამინისტრო ავადმოსაგონარი 9 წლის განმავლობაში ერთხელაც არ დაინტერესებულა მისი ბედით.

სხვათა შორის, ჩვენზე უარყოფითად იმოქმედა ერთმა, თითქოს უმნიშვნელო გარემოებამაც: 1989 წლიდან მასშტაბური ხასიათი მიიღო უცხოეთიდან მსუბუქი მრეწველობის უხარისხო საქონლის შემოტანამ, რომელიც ჩვენ ნაწარმზე იაფი ღირდა. იმ პირობებში, როცა მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი, ჩვენი ნაწარმი ქვეყნის ბაზრიდან განიდევნა, მეორადი მომხმარების საქონელმა კი, საერთოდ, ბოლო მოუღო.

არ გავაგრძელებ საუბარს იმაზე, რომ **ჩვენი ფაბრიკებიდან უნიკალური დაზგა-დანადგარები თურქეთში ჯართად გაიყიდა, საწარმოთა კორპუსებიც კი განადგურდა და (ყველაზე მტკივნეული) ათიათასობით კვალიფიციური მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი უმუშევარი დარჩა.**

გაგახსენებთ, რომ ჩვენი მუშებისთვის ვაშენებდით საცხოვრებელ სახლებს, ბაგა-ბაღებს, სკოლებს, საყოფაცხოვრებო ობიექტებს. სამინისტრო წილობრივად მონაწილეობდა ქალაქებისა და დაბების კეთილმოწყობაში.

**— ბატონო გიორგი, ამით „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“. მომავაზე ვიზრუნოთ. თქვენ, როგორც დარგის აღიარებულ ორგანიზატორსა და სახელმწიფო მოღვაწეს, როგორ გე-** ▶

**კნაისლს აწუხებს ევროკავშირის ბედი, იმიტომ, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები „უბრალოდ, არ ესწრებიან საბჭოს სხდომებს“. ის მიიჩნევს, რომ საქმისადმი ასეთი მიდგომა საშუალებას არ აძლევს ევროკავშირს, მიიღოს საერთო ევროპული გადაწყვეტილებები, რომლებიც ასახავდა „ევროპელთა უმრავლესობის თვალსაზრისს“.**

კრიზისი ევროკავშირში
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


სამკერვალო საამქროში

## ჩვენი ფაბრიკებიდან უნიკალური დაზგა-დანადგარები თურქეთში ჯართად გაიყიდა, საწარმოთა კორპუსებიც კი განადგურდა და (ყველაზე მტკივნეული) ათიათასობით კვალიფიციური მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი უმუშევარი დარჩა

**◀ სახებთ მსუბუქი მრეწველობის აღდგენა-განვითარების პერსპექტივა, რას ურჩევთ საქართველოს მთავრობას?**

— გიპასუხებთ, მაგრამ ჯერ გეტყვით, რომ პერსპექტივასთან დაკავშირებულ საკითხებზე აქამდეც არაერთხელ მისაუბრია, დამიწერია კიდეც, მაგრამ სასურველ შედეგებს ჯერჯერობით ვერ ვხედავ, ამიტომ ნუ დამძრახავთ, ზოგიერთ ჩემს მოსაზრებას თუ გავიმეორებ.

**მსუბუქი მრეწველობის საწარმოებს განსაკუთრებით მძიმე ტვირთად დააწვა 1997 წელს შემუშავებული საგადასახადო კოდექსი, ხოლო ხელისუფლების სათავეში ნაციონალების მოსვლის შემდეგ ეს დარგი პირწმინდად განადგურდა: თბილისის გლდანის ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი, თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანი“, საჩხერის ბამბის სართავი კომბინატი და სხვები დღეს, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.**

თქვენს მკითხველს უთუოდ მოეხსენება, რომ საფეიქრო დარგისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნედლეული არის მატყლი. **სამოცდაათიანი წლების ბოლოს საქართველოში 2,2 მილიონი სული ცხვარი იყო. მზადდებოდა 5,2 ათასი ტონა მატყლი, მუშაობდა მატყლის გადამამუშავებელი ორი საწარმო თბილისსა და შულავერში, დღეს ისინი უმოქმედოდაა. მატყლს არავინ აბარებს: სოფლად ცხვრის მოშენებით აღარ ინტერესდებიან. ბოლო 10 წლის განმავლობაში ცხვარი გაედინება ირანსა და არაბეთის ქვეყნებში.**

საქართველოში აღარ არსებობს ტყავის გადამმუშავებელი თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი არც ერთი საწარმო. არადა, მსოფლიოში ნატურალურ ტყავზე მოთხოვნა ძალიან დიდია.

ამასთანავე, კარგი იქნება, თუ შულავერის მატყლის სარეცხ საწარმოში დაიწყებენ ქეჩის დამზადებას, რომელზეც დღეს დიდი მოთხოვნაა.

მისასალმებელია, რომ „ქართული ოცნების“ მიერ შემუშავებული სოფლის განვითარების პროგრამაში ადგილი აქვს დათმობილი აბრეშუმის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის ბაზის შექმნას. აბრეშუმის პარკის წარმოების ზრდა დღის წესრიგში დააყენებს აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკების აღდგენის საკითხს. უწინ საქართველოში 5 ასეთი ფაბრიკა მუშაობდა და საბჭოთა კავშირში მე-4 ადგილზე ვიყავით.

დღის წესრიგში დგება დასავლეთ საქართველოში (სამტრედიაში) და აღმოსავლეთ საქართველოში (თელავში) აბრეშუმის პარკის ძაფსახვევი-საგრეხი ფაბრიკების აღდგენის საკითხი. პირველ ეტაპზე უნდა ამოქმედდეს ერთი ტყავნედლეულის ქარხანა, სავარაუდოდ, თბილისში.

**ადგილობრივი წარმოების აბრეშუმის ნატურალური ძაფის, ასევე, კამვოლური ნართის მიღების პირობებში, ჩემი აზრით, ეტაპობრივად უნდა განვიხილოთ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატისა და ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების აღდგენის მიზანშეწონილობა, რათა ადგილობრივი ნედლეულით დავამზადოთ ნატურალური შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, რომლებზეც დღეს დიდი მოთხოვნაა.**

შემდეგ: ვინაიდან ქვეყანაში ბამბეულისა და ქიმიური ბოჭკოს ნართს არ ვაწარმოებთ, საწყის ეტაპზე გართულდება ტრიკოტაჟის საწარმოების ამოქმედება, შემოტანილი ნედლეული კი გაზრდის პროდუქციის თვითღირებულებას, რაც გააძვირებს საცალო ფასებს და, საბოლოო ჯამში, შეაფერხებს ნაწარმის რეალიზაციას. ამ გასათვალისწინებელი ფაქტორის მიუხედავად, ჩემი აზრით, **განსახილველია თბილისში ერთი ტრიკოტაჟის ფაბრიკის ამუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქალისა და მამაკაცის ზედა ტრიკოტაჟის გამოშვებაზე.**

მოცემულ ეტაპზე გადამწყვეტია საპარტნიორო ფონდის როლი, რომელმაც, ვფიქრობ, საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურებთან ერთად უნდა იზრუნოს დარგის საწარმოთა ამოქმედებისთვის.

ურიგო არ იქნება, თუ ჩვენს დარგს დაუბრუნებენ მოდების სახლს და მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობას.

მსუბუქ მრეწველობაზე სააკაშვილის ხელისუფლების „ზრუნვის“ საუკეთესო მაგალითია ამ ინსტიტუტის ფაქტობრივი ლიკვიდაცია, რაც პირადად **კახა ბენდუქიძის** სახელს უკავშირდება. დარგის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაშლას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი განათლების ყოფილი მინისტრის — **კახა ლომაიას** 2010 წლის დეკემბრის ბრძანებამ, რომლითაც შესაბამის ინსტიტუტებს გაუუქმდა იურიდიული სტატუსი.

სავსებით სწორია რეფორმატორთა კავშირის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტების წინადადება სოფლის მეურნეობისა და აგრარული მრეწველობისთვის, ასევე, მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისთვის გარკვეული საგადასახადო შეღავათების შემოღების თაობაზე. სხვაგვარად ვერ განხორციელდება ის მასშტაბური გარდაქმნები, რომლებიც მთავრობამ დასახა.

კარგი იქნება, თუ დარგის კვალიფიციური მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით ეკონომიკის სამინისტრო განიხილავს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა ბაზაზე პროფესიული განათლების ორი სასწავლებლის გახსნის საკითხს (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში). ჩემი აზრით, ამ სამინისტროს ხელმძღვანელობამ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთან ერთად უნდა შეისწავლოს მსუბუქი მრეწველობის დარგის საინჟინრო კადრებით უზრუნველყოფის პრობლემა.

დასასრულ, საწყის ეტაპზე ეკონომიკის სამინისტროში, ალბათ, უნდა შეიქმნას კვალიფიციური სპეციალისტების ჯგუფი, რომელიც კურატორობას გაუწევს დარგის მასშტაბური აღდგენის პროცესს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ასეთია საქართველოში მსუბუქი მრეწველობის აღდგენის პროგრამა, რომელსაც ბატონი გიორგი გამცემლიძე პირველად არ წარმოგვიდგენს. აქამდე მისი წინადადებები შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების ყურადღების მიღმა რჩებოდა.**

**ვნახოთ, ამჯერად რამე თუ შეიცვლება.**

ა.ს.

## გაერთიანებული ევროკავშირი აღარ არსებობს — «მინისტრები, უბრალოდ, აღარ ესწრებიან თათბირებს»

**„ევროპის კავშირი აღარ მუშაობს, როგორც ერთი ორგანიზაცია, და არ გამოხატავს ბევრი ევროპელის ინტერესებს,“ — განაცხადა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარინ კნაისლმა 14 ოქტომბერს ვენაში გამართულ მრგვალ მაგიდაზე.**



**კნაისლს** აწუხებს ევროკავშირის ბედი, იმიტომ, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები „უბრალოდ, არ ესწრებიან საბჭოს სხდომებს“. ის მიიჩნევს, რომ საქმისადმი ასეთი მიდგომა საშუალებას არ აძლევს ევროკავშირს, მიიღოს საერთო ევროპული გადაწყვეტილებები, რომლებიც ასახავდა „ევროპელთა უმრავლესობის თვალსაზრისს“.

ავსტრიის საგარეო უწყების მეთაურის პოზიციას მხარი დაუჭირა ხორვატიის საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა **ვესნა პუსიჩმა**, რომელმაც განაცხადა, რომ სამიოდე წლის წინათ ყველაფერი სხვაგვარად იყო, ახლა კი **„ევროკავშირში ერთიანობა აღარ არის“**. შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის საბჭოში შედიან ევროპის 28 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები. საბჭო ევროკავშირის ორიდან ერთ-ერთი საკანონმდებლო ორგანოა. 2018 წლის 1 ივლისიდან ავსტრია ნახევარი წლით თავმჯდომარეობს ევროკავშირის საბჭოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ავსტრია ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელიც არ დაჰყვა დიდი ბრიტანეთის გავლენას და ქვეყნიდან არ გააძევა რუსი დიპლომატები ე.წ. სკრიპალების მოწამვლის საქმის გამო.

## «ბნელი ღამე» ახლოსაც ვერ მივა «არმატასთან»

**გერმანულმა ჟურნალმა Focus-მა რამდენიმე დღის წინათ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბრიტანელებმა შექმნეს ტანკი Black night-ი („ბნელი ღამე“), რომელიც თითქოს პასუხია რუსული T-14 „არმატას“ მიმართ, მაგრამ, სპეციალისტთა აზრით, ახალი ბრიტანული ტანკი, უბრალოდ, Challenger 2-ის („ჩელენჯერ 2“) ახალი ვერსიაა.**





„ბნელი ღამე“ პირველად წარმოადგინეს 2018 წელს მელბრუკში გამართულ თავდაცვითი ტექნიკის გამოფენაზე. შემქნელი კომპანია BAE Sistems-ი ახალ ტანკს წარმოადგენს, როგორც „ჩელენჯერ 2“-ის მოდერნიზებულ ვერსიას.

**„ბნელი ღამის“ კონსტრუქტორებმა საბრძოლო პოტენციალს მოუმატეს ღამის ხედვის ახალი სისტემის დამონტაჟებით, აგრეთვე, ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებისგან დაცვის ახალი კომპლექსით. ტანკის პრინციპული აგებულება კი ადრინდელი დარჩა, რომელიც ითვალისწინებს საბრძოლო ეკიპაჟის ყოფნას საბრძოლო მასალებსა და საწვავთან ერთად.**

T-14 „არმატაში“ ეკიპაჟი თავსდება ცალკე დაჯავშნილ კაფსულში, ტანკი იმართება დისტანციურად. „არმატაზე“ დამონტაჟებულია დაცვის სისტემა, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. T-14 „არმატა“ ომის შემდეგი პერიოდის მესამე თაობის ერთადერთი ტანკია მსოფლიოში. რაც შეეხება „ჩელენჯერ 2“-ის ახალ ვერსიას, ეს ტანკები ბრიტანეთის არმიის ძირითადი საბრძოლო მანქანები მხოლოდ 2035 წლისთვის იქნება.

მოამზადა
**ნიკოლოზ აბაშიძე**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

38 წლის გრანტ რობიშო ქირურგი-ორთოპედია, მისი საყვარელი ქერისა ლორა რაილი 31 წლისაა. ბრალდებულთა ტელეფონებში გამოძიებამ იპოვა გაუპატიურების ასეულობით ვიდეოჩანაწერი. კადრებზე აღბეჭდილი დაზარალებულები აშკარად მთვრალები და წინააღმდეგობის გაწევის უუნარონი არიან. პოლიციელებმა ექვემიტანილთა სახლში იპოვეს ისეთი ნარკოტიკები, როგორებიცაა GHB (გამოიყენება სექსუალური აღგზნებისთვის) და კოკაინი.

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ეკლესია საცხოვრებელ სახლად გადააკეთეს და 850 ათას დოლარად ყიდიან



**ვიქტორიანული ეკლესია 1843 წელს ააგეს. 1980 წლამდე აქ ღვთისმსახურება ეწყობოდა.**

ეს ულამაზესი არქიტექტურული ნაგებობა შოტლანდიის ქალაქ კუპერში მდებარეობს. Metro იუწყება, რომ მფლობელს შეეძლება არა მხოლოდ დატკბეს შენობის სილამაზით, არამედ იცხოვროს, როგორც საკუთარ სახლში.

ღმერთთან ახლოს იქნება და მიწიერ ცხოვრებასაც არ დათმობს.

გამოცემა წერს, რომ 1980 წლიდან შენობის ექსტერიერმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მაგრამ, დიზაინერის ჩარევის მიუხედავად, 175 წლის ეკლესიამ განმასხვავებელი ორიგინალობა და ნიშნები შეინარჩუნა.

შენობის გამოყენება შეიძლება, როგორც ბიზნესისთვის, ასევე, პირადი სარგებლობისთვის. ქვის სვეტები, თაღები და ლამაზი ფანჯრები გულგრილს არავის დატოვებს.

შენობას აქვს ერთი მთავარი საძინებელი ოთახი, ორი ოთახი მანსარდაზე და სარდაფი. პირველ სართულზე განლაგებულია სამზარეულო, დარბაზი, საერთო ოთახი და ბუხრიანი კაბინეტი.











## «კოკა-კოლა» და IBM იმ კორპორაციებს შორისაა, რომლებიც ჩრდილოეთ ირლანდიაში ერთნაირ სქესიანთა ქორწინების ნებართვას მოითხოვენ

**ჩრდილოეთ ირლანდიის დაახლოებით ოცდაათმა კომპანიამ ხელი მოაწერა წერილს, რომლითაც ბრიტანეთის ამ პროვინციაში ერთნაირ სქესიანთა ქორწინების ნებართვას მოითხოვენ, — იუწყება „სიბირსკაია კატოლიჩესკაია გაზეტა“.**

წერილში, რომლის ინიციატორია „Amnesty International OK“, ნათქვამია, „მეუღლეთა“ გაგების გათანამედროვება აუცილებელია „ეფექტიანი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ჩამოსაყალიბებლად, ჩრდილოეთ ირლანდიის წარმატებული მომავლისთვის ასევე აუცილებელია მრავალფეროვანი, ღია და ყოვლისმომცველი საზოგადოების არსებობა. თანასწორობა ქმნის შემოქმედებით და სრულყოფილ გარემოს, რომელშიც ჩვენს ლგბტ-თანამშრომლებს შეეძლებათ საკუთარ შესაძლებლობათა რეალიზება და რომელშიც მათ ურთიერთობებს პატივისცემით მოეკიდებიან“.

ბრიტანეთმა და ირლანდიის რესპუბლიკამ აღიარა ერთნაირსქესიანთა „ქორწინება“, ჩრდილოეთ ირლანდია კი რჩება ერთადერთ პროვინციად, რომელიც ამ უზნეობას არ აკანონებს. შარშან ბელფასტის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიას არ აქვს არავითარი საერთაშორისო ვალდებულება ქორწინების ტრადიციული გაგების შესაცვლელად.

## ამერიკელმა გოგონამ ბიჭობა ამჯობინა და დედინაცვალი წააქეზა, მამა გამხდარიყო

**ეს ამბავი მკითხველს Daily Mail-მა მოუთხრო.**

**სპენსერ ჰენსონი** ქალაქ კანზასში დაიბადა. ქრისტიანულ-კონსერვატიულ ოჯახში იზრდებოდა... ახლა უკვე აღიარებს, რომ ბავშვობიდანვე გრძნობდა, ბიჭი იყო. 19 წლისამ საბოლოოდ განსაზღვრა თავისი არატრადიციული ორიენტაცია და 2008 წელს ცოლი შეირთო. მეუღლეს (ცოლს) უკვე ჰყავდა ორი შვილი წინა ქორწინებიდან, სპენსერმა კიდევ ორი შვა... დონორის სპერმის გამოყენებით. პირველი ორსულობისას იგი გენდერული დისტროფიით იტანჯებოდა, ეშინოდა, მშობლებისთვის გაენდო კაცად ყოფნის მისწრაფება. ამის თქმა გაბედა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისმა გერმა 9 წლის გოგონამ განაცხადა, რომ ბიჭად გახდომა სურდა და დაიწყო ჰორმონული თერაპია.



ამ თერაპიას მიჰყო ხელი სპენსერმაც — ტესტესტერონის მიღება დაიწყო, მოიკვეთა მკერდი, ამოიჭრა საშვილოსნო. თავის ბლოგში — „მამა რომ გავხდი“, მადლობას უხდის გერს — ბაზს: „მისი გადაწყვეტილება რომ არა, თავს მოვიკლავდი, რადგან მეზიზღებოდა საკუთარი სხეული და ვიყავი დეპრესიაში“. ამასობაში გერმა ბიჭობაზე გული აიცრუა და გოგონად ტრანსფრომაციას შეუდგა. სპენსერი ირწმუნება, რომ ოჯახში ბავშვებს „გენდერული ცრუ რწმენის გარეშე ზრდიდნენ, ამიტომაც იყო, რომ მათმა (ბავშვებმა) უპრობლემოდ მამად აღიქვეს იგი: მამას მეძახიანო, უხარია.

მტრისას ასეთი სიხარული.

## ავხორცი პედოფილი

**მას შემდეგ, რაც 82 წლის პედოფილს განაჩენი გამოუტანეს, დამნაშავემ განაცხადა, რომ ათივე ბავშვს თვითონ სურდა გაუპატიურება და აქტის დროს სიამტკბილობდნენ. ახალი ზელანდიის სამხრეთ ოკლენდის მცხოვრები პიტერ ბრაიან ეშფორდი 12 წელს და 8 თვეს ციხეში გაატარებს... თუ მანამდე ცოდვილ სულს ღმერთს არ მიაბარებს.**

ეს სულძაღლი 1960-იანი წლებიდან აუპატიურებდა 8-დან 12-წლის ბავშვებს. მისი პირველი მსხვერპლი მხოლოდ 8 წლისა იყო. როცა პატარამ მომხდარის შესახებ მშობლებს განუცხადა, უფროსებმა არ დაუჯერეს, ამიტომაც მოძალადის წინააღმდეგ არავითარი სადამსჯელო ღონისძიება არ განუხორციელებიათ.



მეორე მსხვერპლი 13 წლისა იყო. 1980-იან წლებში 3 წლის განმავლობაში პედოფილი მასზე ძალადობდა. დანარჩენი 5 გოგონა პიტერმა რიგში ჩააყენა და თითოეულზე რიგრიგობით იძალადა. იგი ბავშვებს აშინებდა — თუ ამბავს გაიტანთ, სასტიკად დაგსჯითო. ამ ინფორმაციის გამავრცელებელი წერს, რომ ავხორცი პედოფილი 80 წლისაც აგრძელებდა გოგონებზე ნადირობას.

1936 წელს „ტიფლისის უნიკა“ შევიდა ევროპის წამყვანი მარკების კატალოგში. ამის შემდეგ მარკამ მრავალი კოლექცია გამოიარა. მოგვიანებით „ტიფლისის უნიკას“ ორი ეგზემპლარი გადავიდა ცნობილი ფილატელისტის ზბიგნევ მიკულსკის კოლექციაში, რომელიც შვეიცარიაში ცხოვრობდა და რუსული მარკების დიდი მცოდნე იყო. 1997 მიკულსკიმ ეს მარკები გამოფინა მსოფლიო გამოფენაზე „მოსკოვი-97“. სწორედ აქ იხილა პირველად რუსულმა ფილატელისტურმა საზოგადოებამ ტიფლისის მარკები. 2000 წელს ზბიგნევ მიკულსკიმ თავისი „ტიფლისის უნიკას“ ორი ეგზემპლარი აუქციონზე გაიტანა და გაყიდა, საწყის ფასად დასახელდა ნახევარი მილიონი დოლარი.

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 10 უნიკალური და ყველაზე ძვირად ღირებული მარკა

მარკების კოლექციონირება ბევრისთვის საყვარელი ჰობია. მარკების შეგროვებით გატაცებულები რეგულარულად ხვდებიან ერთმანეთს, მსჯელობენ. ბოლო აღმოჩენაზე, ცვლიან მარკებს და ყველა ხერხით ცდილობენ თავიანთი კოლექციის შევსებას. ეს გატაცება, ერთი შეხედვით, უბრალო და უსარგებლო შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ ასე არ არის, მარკები შეიძლება დიდ კაპიტალად იქცეს — იშვიათ ეგზემპლარზე ფასი ხომ ყოველწლიურად იმატებს?! მარკების შემგროვებლებს, კოლექციონერებს ფილატელისტებს ეძახიან. ძველი რელიკვიის მაღალ ფასს ხშირად განაპირობებს მისი დაბეჭდვისას დაშვებული ხარვეზები. წარმოგიდგენთ მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებულ მარკებს.

## წმინდა გრაალი. ფასი 2,97 მლნ დოლარი



წმინდა გრაალი (Z-Grill) — ეს არის 1 ცენტის ნომინალის საფოსტო მარკა, რომელზეც გამოსახულია აშშ-ის პირველი გენერალური ფოსტმაისტერი, ამ ქვეყნის ერთ-ერთი დამფუძნებელი **ბენჯამინ ფრანკლინი.**

მარკა დამზადებულია 1868 წელს. მსოფლიოში არსებობს ამ მარკის ორი ეგზემპლარი. ერთი ინახება ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკაში, მეორე კი ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ კოლექციონერ **ბილ გროსს**, რომელმაც ამ მარკაში გაცვალა „გადაბრუნებული ჯენის“ კვარტბლოკი (ფილატელიაში ოთხი განუყოფელი, გადაბმული საფოსტო მარკა, ორ-ორი ეგზემპლარი ორ რიგში — ნ.კ.)

## სიცილიური ფერის ცდომილება. ფასი 2,72 მლნ



სახელწოდებიდან გასაგებია, რომ მარკაში დარღვეულია ფერთა გამა. თავდაპირველად ის ყვითელი ფერის იყო, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო გაჩნდა ლურჯიც, რომელიც გამოუშვეს 1859 წელს. დღეს ცნობილია მხოლოდ 2 ასეთი ეგზემპლარი.

## ყვითელი სამსკილინგიანი. ფასი 2,3 მლნ



კიდევ ერთი მარკა, რომელშიც არეულია ფერები. ორიგინალური შვედური მწვანე მარკის ნაცვლად, რომელიც 7 ეგზემპლარი არსებობს, დაბეჭდილია ყვითელი.

***სკილინგი** – ეს არის შილინგის სკანდინავიური სახელწოდება და დანიის ისტორიული ფულადი ერთეული.

## ბადენის ფერის ცდომილება. ფასი 2 მლნ



კიდევ ერთი რარიტეტი, რომელიც იშვიათად გვხვდება მსგავს სარეიტინგო სივრცეში, მაგრამ ძვირად ღირებულია. ის დიდ საჰერცოგო ბადენში პირველად გამოშვებული მარკაა და 1851 წლით თარიღდება.

## ცისფერი მავრიკია. ფასი 1,15 მლნ



კუნძულ მავრიკიაზე გამოშვებული უიშვიათესი მარკაა. შეიქმნა 1847 წელს. ცნობილია 2-ცენტიანი ნომინალის მხოლოდ 6 ეგზემპლარი.

1993 წელს შეიძინა მავრიკიის ბანკების კონსორციუმმა 1,15 მლნ დოლარად. დღეს, 25 წლის შემდეგ, მისი ფასი გაცილებით მეტია.

## მთელი ქვეყანა წითელია. ფასი 1,1 მლნ



ეს შედარებით „ახალგაზრდა“ ჩინური მარკაა, 1968 წლის. სერიულად არ დაუბეჭდავთ, მაგრამ 2012 წელს აუქციონ „ჩაინა გარდიანზე“ 7,3 მლნ იუანად (1,1 დოლარი) გაიყიდა.

## ვარდისფერი მავრიკია. ფასი 1.07 მლნ



მისი ფაქტობრივი ფერი ნარინჯისფერია. გამორჩეული კი არის იმით, რომ კუნძულ მავრიკიაზე დაბეჭდილი პირველი მარკაა. ხარვეზი: დატოვებულია წარწერა **Post office,** ნაცვლად **Post Paid**-ისა. და ეს, მტვიფრავის შეცდომა კი არა, ოფიციალურად დამტკიცებული წარწერაა. ამ მარკის სულ 14 ეგზემპლარი არსებობს.

## გადაბრუნებული ჯენი. ფასი 977 ათასი



თვითმფრინავის გამოსახულებიანი ამ ფილატელისტური რარიტეტის ბეჭდვისას დაშვებული იქნა შეცდომა. საფრენი აპარატი „კერტის-ჯენი“ ბორბლებით მაღლა, გადაბრუნებული დაბეჭდეს, რისთვისაც მბეჭდავები დაისაჯნენ, თუმცა, სწორედ ამ შეცდომის გამოა მარკის სერიის ფასი ასე მაღალი. მარკის თავდაპირველი ფასი 24 ცენტი იყო, მაგრამ შექმნიდან 100 წლის შემდეგ თითქმის მილიონ დოლარს მიაღწია.

## ბრიტანეთის გვიანა — 936 ათასი



ეს 1 ცენტის ნომინალის მარკა 1856 წელს შეიქმნა და წარმოადგენს ბრიტანეთის გვიანის 8-კუთხიან საფოსტო მარკას, რომელსაც ხელს აწერს ფოსტმაისტერი ე. უაიტი.

# ტიფლისის უნიკა



**ტიფლისის მარკა, კოჯრის მარკა** (რუს. Тифлисская уника) უიშვიათესი საფოსტო მარკაა, რომელიც დაიბეჭდა 1857 წლის 20 ივნისს რუსეთის იმპერიაში შემავალ ტიფლისის გუბერნიაში. მარკა მიმოქცევაში იყო მცირე დროის განმავლობაში და გამოიყენებოდა საქალაქო ფოსტაში, ტიფლისისა და კოჯრის მასშტაბით საფოსტო მომსახურების საფასურის ნიშნად.

ერთი ვერსიით, მარკა გამოიყენებოდა 1857 წლის 20 ივნისიდან თბილისის მასშტაბით და 15 ივლისიდან კოჯორში გასაგზავნი ფოსტისთვის. გამოყენება შეწყვიტეს 1858 წლის 1 მარტს; ხოლო მეორე ვერსიით, მარკას იყენებდნენ 1865-1866 წლებში. სწორედ ტფილისის უნიკით იწყება საქართველოსთან დაკავშირებული საფოსტო მარკების ისტორია. ტიფლისის უნიკის მხოლოდ სამი ეგზემპლარია შემორჩენილი, სამივე სუფთა, ანუ გამოუყენებელი. ამ მარკებმა რამდენიმე კოლექციონერი გამოიცვალა. ბოლოს აუქციონზე გატანილი იყო 2000 წელს, საწყისი ფასით 500 000 დოლარი. „ტიფლისის უნიკა“ მსოფლიოს ყველა ფილატელისტისთვის ცნობილი მარკაა და მოხსენიებულია ყველა ფილატელისტურ კატალოგში, როგორც იშვიათი და ძვირად ღირებული საფოსტო მარკა.



# ტიფლისის უნიკას აღწერილობა

* **ნომინალი** — 6-კაპიკიანი. ქალაქ თბილისის მასშტაბით საფოსტო გზავნილის ფასი 5 კაპიკს შეადგენდა, მარკის დაბეჭდვის ღირებულება კი 1 კაპიკი იყო.

* **ფორმა** —კვადრატული, სადა კიდეებით, დაუკბილავი.

* **ბეჭდვა** — მოყვითალო-თეთრ ქაღალდზე უფერო რელიეფური ნაჭდევი. ერთ ფურცელზე განთავსებული იყო 5 მარკა.

* **ნახატი** — მარკაზე მკაფიოდ და ნათლად გამოხატულია ტიფლისის გერბი, გერბის თავზე გამოსახულია იმპერიის სიმბოლო — ორთავიანი არწივი დაშვებული ფრთებით. ძველი თბილისის გერბი ორი ნაწილისგან შედგებოდა: ზედა ნაწილში გამოსახული იყო არარატი ნოეს კიდობნით, მდინარე მტკვარი და საქართველოს მფარველი, ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი; ქვედა ნაწილში კი — მერკურის კვერთხი.

* **წარწერები** — ორთხივე მხარეს მარკის შიდა გვერდებზე იკითხება შემდეგი რუსულენოვანი წარწერები: „ТИФЛИС“, „ГОРОДС“, „ПОЧТА“, „6 КОП“ („ტიფლისი“, „საქალაქო“, „ფოსტა“, „6 კაპ“)

***ზურგი** — მარკის უკანა მხარე დაფარულია წებოს სქელი ყვითელი ფენით. 1936 წელს „ტიფლისის უნიკა“ შევიდა ევროპის წამყვანი მარკების კატალოგში. ამის შემდეგ მარკამ მრავალი კოლექცია გამოიარა. მოგვიანებით „ტიფლისის უნიკას“ ორი ეგზემპლარი გადავიდა ცნობილი ფილატელისტის **ზბიგნევ მიკულსკის** კოლექციაში, რომელიც შვეიცარიაში ცხოვრობდა და რუსული მარკების დიდი მცოდნე იყო. 1997 მიკულსკიმ ეს მარკები გამოფინა მსოფლიო გამოფენაზე „მოსკოვი-97“. სწორედ აქ იხილა პირველად რუსულმა ფილატელისტურმა საზოგადოებამ ტიფლისის მარკები. 2000 წელს ზბიგნევ მიკულსკიმ თავისი „ტიფლისის უნიკას“ ორი ეგზემპლარი აუქციონზე გაიტანა და გაყიდა, საწყის ფასად დასახელდა ნახევარი მილიონი დოლარი. მარკების ახალი მფლობელის სახელი ანონიმური დარჩა. მესამე ეგზემპლარი დანარჩენ ორთან შედარებით შელახულ მდგომარეობაშია და ინახება ლუქსემბურგში მცხოვრები ცნობილი ფილატელისტი **ბერლინჟერის** კოლექციაში.

დედაქალაქის ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სოლოლაკის ქუჩებს „კავკასიურ პარიზს“ უწოდებენ. ამის მიზეზი განსაკუთრებულად წყნარი ატმოსფერო, ენათა მრავალფეროვნება და XIX-XX საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კოსმოპოლიტური არქიტექტურაა. იმ დროის თბილისის სახლები სიმდიდრითა და ხარისხით ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდა ევროპულ მოდერნს. სახლების მფლობელები მათ მსოფლიოს საუკეთესო არქიტექტორებს უკვეთავდნენ.**

# სოლოლაკი

**სოლოლაკი (იგივე სალალაკი) თბილისის ერთ-ერთი უძველესი უბანია. ის ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა მხარეს ამავე სახელწოდების მთის კალთაზე მდებარეობს და უჭირავს სოლოლაკის ქედის დასავლეთის და მთაწმინდის ქედის სამხრეთის კალთებს შორის მდებარე ტერიტორია. „სუ“ თურქულ ენაზე წყალს ნიშნავს. არაბების ბატონობის ხანაში აქ გაშენებული „ციხის ბაღის“ მოსარწყავად სარწყავი არხი აღუდგენიათ, ამიტომ მთის კალთას სულულაჰი უწოდეს, ხოლო მოგვიანებით ასე დაერქვა უბანსაც, რომელიც ამ ფერდობზე გაჩნდა, ტოპონიმი „სოლოლაკი“ კი XIX საუკუნეში დამკვიდრდა.**


აქ მთავრდება სოლოლაკი და იწყება კალა

ამ ადგილის ადრინდელი სახელი იყო **ავანაანთხევი.** აქ იყო ქართველ წარჩინებულთა ბაღები. სოლოლაკის განაშენიანება დაიწყო XIX საუკუნის I ნახევარში. 1847-1851 წლებში გადაიხურა სოლოლაკის ხევის ერთი მონაკვეთი (ახლანდელი ლეონიძის ქუჩა და თავისუფლების მოედნის რეგიონი). აქვე აიგო ქარვასლა, რომელიშიც იყო თბილისის პირველი საოპერო თეატრი და რომელიც 1847 წელს დაიწვა.

მრავალრიცხოვანი მტრების შემოსევამ და აოხრებამ თბილისსა და მის შემოგარენს წარუშლელი კვალი დაამჩნია, როგორც ტოპონიმიკაში, ისე ყოფით საქმიანობაში.

ახალი დასახლებული უბნები სხვადასხვა მიზეზით ჩნდებოდა. მეტად საინტერესო ისტორია აქვს სოლოლაკის უბანს. აქ ადრე ყოფილა დედოფლის, მეფის, მამასახლისის, თბილელის ბაღები.

1803 წელს დარეჯან დედოფალს (ერეკლე II-ის მეუღლეს) თავისი ასულისთვის — თეკლა ბატონიშვილისთვის მზითვებში მიუცია გარეთაუბანში მდებარე „დედოფლის“ ბაღის ნაწილი. სოლოლაკში ბაღები მეტწილად მეფის ოჯახს ეკუთვნოდა და ნასყიდობის ობიექტად ისინი არც არასდროს ქცეულა. სოლოლაკში ეს ბაღები XIX საუკუნის 20-იან წლებშიც არსებობდა. აი,რას წერს თეკლე ბატონიშვილი რუსი ხელისუფლებისადმი ერთ-ერთ განცხადებაში:

„1823წ. არზა მიცემული თეკლე ბატონიშვილისა...

თქვენო აღმატებულებავ, მოწყალევ ხელმწიფევ!

...მეორესაცა თხოვასა ამას ვჰყოფ აღმატებულებისადმი თქვენისა: **გარეთუბანს არს ბაღი ჩემი, რომელიცა მაქვს მოცემული განსვენებული დედისა ჩემისა დარიასაგან და დამტკიცებული უმაღლესითა უქაზითა დროსა მთავარ მმართებლად ყოფილი კნიაზ ციციანოვისასა.** ბაღსა ამასა აქვს განწესებული სოლოლაკიდამ წყალი ღრმატითა განსვენებულთა მშობელთა ჩემთაგან. მაგრამ ცხრა წელი არს რა ფრიად მცირეღა ეძლევა და სხვა მიიღებულ არს ბაღთა მათთვის, რომელნიცა არა ყოფილან დროთა შინა მეფეთათა და აწ შენდებიან, ხოლო მცირედიცა იგი წყალი, რომელიცა დაშთობილ არს ბაღისათვის ჩემისა ჟამსა მას საჭიროსა. ოდესცა უნდა მოხმარებულ იქმნას სასარგებლოდ მისსა, მიაქვსთ სხვა და სხვათა შენობათათვის“.

1880 წელს გაივსო სოლოლაკის ხევი (ავანაანთხევი) შენობებით, მოედანი ერთიან, ქვით მოკირწყლულ სივრცედ იქცა.

1885 წელს მოედნის ჩრდილოეთ მხარეს გაშენდა ე.წ. ნოვი სად, (ახლანდელი პუშკინის სკვერი მისი ნაწილია), სადაც 1892 წელს პუშკინის ძეგლი დაიდგა.

დროთა განმავლობაში სოლოლაკში იჩეხებოდა ტყე, ადგილებს ისაკუთრებდნენ მაღალი ფენის წარმომადგენლები, ძირითადად ბურჟუაზია, და აშენებდნენ სახლებს.

სოლოლაკის ხევი თაბორის მთისა (თრიალეთის ქედის ერთ-ერთი განშტოებაა) და ნარიყალას გამყოფია. დიდი ქართველი გეოგრაფი **ვახუშტი ბაგრატიონიც** ამტკიცებს 1735 წელს შედგენილი თბილისის გეგმა-რუკით და წერილობითაც, რომ **„...კალას და ტფილისს ჰყოფს სალალაკის წყალი, რომელიც გამოდის წავკისისა და კოჟრის მთებსა“, „...სალალაკის ხევის კარს უწოდებდნენ განჯის კარს“.**

„სალალაკის წყალმა“ დაკარგა სახელი და იწოდებოდა „წავკისის წყალად“, დასახლებამ კი მიიღო სახელწოდება „სოლოლაკი“.

სოლოლაკის განაშენიანება დაიწყო XIX საუკუნის მეორე მეოთხედში, ინტენსიური ათვისება კი — მისი გადახურვის შემდეგ, XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან. ახლანდელი გიორგი ლეონიძის ქუჩას კი სოლოლაკის ქუჩა ერქვა. თითოეულ ბაღს ჰქონდა საგანგებოდ გაჭრილი წყლის რეზერვუარი-საგუბარი და აუზი. წყლის მოხმარება მკაცრი რიგის მიხედვით იყო დაწესებული. ძველი მეპატრონე, გაყიდვის შემთხვევაში, მყიდველს აფრთხილებს: „...ეს ჩემი ბაღი თავისის ნიშნებითა და თავისის სამძღურითა და თავისის წყლითა, როგორც ყულვაც ამას წინათ გქონდათ წყალი ყველას თავისის რიგითა და თავისის ანგარიშითა, ისე **უნდა ყველამ თავისი რიგით წყალი წაიღოს,** ორი დღე ბარაბასია, ოთხი დღე ბეჟანისა, სამი ჩვენ ორთავე ძმის არის, ეს წყლები რომ არის, ყველამ თავისი წილი უნდა წაიღოს“... ქალაქის მოურავს ბაღებიდან წილიც ეკუთვნოდა.


ტატიშჩევის სახლი ასათიანის №18-ში

სოლოლაკს სტატეგიური მნიშვნელობა ჰქონდა იმ შემთხვევში, თუ მტერი მას ხელში ჩაიგდებდა, ამით მტერს გზა ეხსნებოდა ქალაქისკენ. თეიმურაზ ბაგრატიონი მოგვითხრობს: „ტბილისის ციხით სეიდაბადის გარდა მოსავალთა გზათა ზედა ესროდა სპარსთა, რათა ვერა უძლონ შემოსვლა ტფილისს...“

თბილისის მთავარი მოედნის განაშენიანება XIX საუკუნეში დაიწყო. ეს ადგილი, რომელსაც სოლოლაკის მთიდან ჩამოსული ხევი ჭრიდა, ძველი ქალაქის (კალას) გალავნის გარეთ მდებარეობდა და გარეთუბანი ერქვა. დაარსებიდან დღემდე მოედანი ბევრჯერ გადაკეთდა, შენარჩუნებულია მისი ტრაპეციული ფორმა და ძირითადი ზომები.

სოლოლაკის ქუჩებს „კავკასიურ პარიზს“ უწოდებენ. ამის მიზეზი განსაკუთრებულად წყნარი ატმოსფერო, ენათა მრავალფეროვნება და XIX-XX საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კოსმოპოლიტური არქიტექტურაა. იმ დროის თბილისის სახლები სიმდიდრითა და ხარისხით ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდა ევროპულ მოდერნს. სახლების მფლობელები მათ მსოფლიოს საუკეთესო არქიტექტორებს უკვეთავდნენ. XIX საუკუნის ბოლოს სოლოლაკი ყველაზე პრესტიჟული უბანი იყო, რომელიც ძირითადად ფეშენებელური ვილებითა და „მოდერნის“ სტილის სახლებით იყო დამშვენებული. თანამედროვე სოლოლაკი ცალკეულ შენობათა რესტავრაციის შედეგად ისევე გამოიყურება, როგორც ძველ დროს.

1824 წელს რუსული კლასიციზმის სტილში აშენებული პირველი შენობა **ამიერკავკასიის სამხედრო შტაბია**, რომელიც თავისუფლების მოედნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეშია. 1825 წელს შვეიცარელი არქიტექტორის, ჯუზეპე ბერნადაცის, პროექტით კლასიცისტურ სტილში აშენდა **იაკობ ზუბალაშვილის სახლი**, რომელიც შემდეგ სასულიერო სემინარიად გადაკეთდა, ხოლო 1953 წლიდან საქართველოს ხელოვნების მუზეუმს ეკუთვნის.

ეს ორი შენობა დღემდე თითქმის უცვლელად არის შემორჩენილი....

ლერმონტოვის ქუჩის დასაწყისში XIX საუკუნეში იყო გენერალ-მაიორ **ფიოდორ ახვერდოვის** სახლი. კავკასიის კორპუსის არტილერიის მეთაურის წოდების მიღებისთანავე, 1816 წელს, იგი პეტერბურგიდან კავკასიაში გადმოვიდა საცხოვრებლად და თბილისში, ლერმონტოვის ქუჩაზე დასახლდა. სამწუხაროდ, ეს ულამაზესი სახლი არ შენარჩუნდა. სახლის დიასახლისმა, პრასკოვია ნიკოლაევნა არსენიევამ, რომელიც ლერმონტოვს დეიდად ეკუთვნოდა, შექმნა სალონი, რომელიც თბილისი კულტურულ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა. ეს სახლი იმ პერიოდში იქცა ქალაქის ლიტერატურული ცხოვრების ცენტრად და ნაღები საზოგადოების შეკრების ადგილად. 1837 წელს ახვერდოვების სახლში ცხოვრობდა მიხეილ ლერმონტოვი, სახლის ეზოში არსებულ ფლიგელს თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი იკავებდა. ჭავჭავაძეების სტუმართმოყვარე სახლი კი ქალაქში ცნობილი იყო — ჭავჭავაძეების სახლი აღიარებული რუსი და ქართველი ინტელიგენციის დამაკავშირებელ რგოლად. ჭავჭავაძეებისა და ახვერდოვების ოჯახები მეგობრობდნენ, ბავშვები ერთად იზრდებოდნენ. სწორედ ახვერდოვების ოჯახში გაიცნეს ერთმანეთი ნინო ჭავჭავაძემ და ალექსანდრე გრიბოედოვმა. აქ სთხოვა მან ნინოს ცოლობა.

XIX საუკუნეში ასათიანის ქუჩაზე მდებარეობდა **ბებუთოვების სასახლე.** სწორედ ამიტომ ერქვა ამ ქუჩას ბებუთოვის ქუჩა. 43-ე სკოლა ადრე მანთაშევის სავაჭრო სასწავლებელი იყო, რომელიც 1910-1911 წლებში აშენდა (მშენებლობა დააფინანსა ცნობილმა ნავთობ-მეწარმემ ალექსანდრე მანთაშევმა).

ქიქოძის ქუჩაზე არსებული ულამაზესი **სახლი ქვის აივნების არკადით** ტერ-მიქელოვმა ააგო. ცნობილმა არქიტექტორმა „იტალიური ვილა“ აღმართა „ხიზილალის მეფეების“ ძმებ — მაილოვებისთვის. ფასადზე ჯერაც ჩანს პირველი მფლობელის ინიციალი „მ“.

ლერმონტოვისა და ქიქოძის ქუჩების კუთხეში ყოფილი მანთაშევის სახლია. გადმოცემით, მანთაშევმა იგი თავისი ქალიშვილისათვის ააშენა. აივნების მოაჯირებზე ჯერაც არის შენარჩუნებული ქალის სილუეტი.

ქიქოძის 4-ში დგას სოლიდური, ყვითელი ფერის შენობა. ამჟამად ეს 50-ე სკოლაა. 1918-1921 წლებში აქ იყო საფრანგეთის საელჩო. პირველი ფრანგი კონსული საქართველოში კი იყო ცნობილი ფრანგი მოგზაური და მეწარმე ჟაკ-ფრანსუა გამბა.

ჭონქაძის 12-ში **ბოზარჯანცის**, თამბაქოს მწარმოებლის, დიდებული სახლი დგას. ეს შენობა მოდერნის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მაგალითია. ფოიე მოპირკეთებულია კაფელით. შენობის არქიტექტურა ერთ სტილშია გადაწყვეტილი, რაც მას განსაკუთრებულად მიმზიდველს ხდის. სახლი შემოსაზღვრულია თაღით, რომელიც ღიარუხი ფერის მსხვილი ქვისაგანაა აწყობილი. ძმებ ბოზარჯანცების სამ-სართულიანმა სახლმა 1915 წელს მიიღო სპეციალური არქიტექტურული პრემია — საუკეთესო ფასადი. სწორედ ამ სახლშია გადაღებული მრავალი მხატვრული ფილმის სცენები, მათ შორის — „დათა თუთაშხიაც“. სოლოლაკის ისტორიული სახლების ჩამონათვალი აქ არ მთავრდება, სწორედ ამიტომ იზიდავს ეს უბანი ბევრ ტურისტს, რომლებიც სიამოვნებით დახეტიალობენ ამ უძველესი უბნის რესტავრირებულ თუ დანგრეულ ქალაქურ ეზოებში ფოტოაპარატებით ხელში.


ყოფილი ზუბალაშვილების სახლი დღეს


ლადო ასათიანის №58

ალექსანდრა ჯაფარიძეს 100-მდე ასვლა აქვს შესრულებული კავკასიონის მწვერვალებზე. საეტაპო და მნიშვნელოვანი იყო პირველი ასვლები, მყინვარწვერზე (1923), თეთნულდზე (1930), უშბაზე (1934), დიხთაუზე (1950). ალექსანდრა ჯაფარიძემ 5034 მ სიმაღლის მყინვარწვერი (ყაზბეგი) 1923 წელს დალაშქრა მთასვლელთა ჯგუფთან ერთად, რომელსაც ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ნიკოლაძე. ალექსანდრამ 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1921-1944 წლებში მუშაობდა თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში. 1947 წელს კი მყინვარწვერის კალთებზე ავიდა და შეისწავლა ბეთლემის ლეგენდარული გამოქვაბული.

სპორტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ქართველ სპორტსმენ ქალთა შორის, რომლებმაც სახელი გაუთქვეს საქართველოს, გამორჩეული ადგილი უკავია ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელს, პირველ ქართველ მთასვლელ ქალს — ალექსანდრა ჯაფარიძეს.

# მწვერვალთმპყრობელი

## ალექსანდრა ჯაფარიძე — პირველი ქართველი ალპინისტი ქალი, რომელმაც ბეთლემის გამოქვაბულის საიდუმლო ამოხსნა

**ალექსანდრა ჯაფარიძე** დაიბადა 1895 წლის 11 თებერვალს სოფელ ხრეითში (სოფელი ჭიათურის მუნიციპალიტეტში). მის მშობლებს — **ბიჭისა** და **ლიდას** — 7 შვილი ჰყავდათ, ალექსანდრა მეოთხე იყო. მისი უმცროსი ძმები — **სიმონი** (1897-1929) და **ალექსანდრე (ალიოშა)** (1899-1945), აგრეთვე, ცნობილი ალპინისტები იყვნენ.

**სიმონ ჯაფარიძე** — გეოლოგი, ლოპოტის მარმარილოს აღმომჩენი და ცნობილი ალპინისტი — პირველი მსხვერპლი იყო კავკასიონზე. 1929 წელს გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მოწყობილ ექსპედიციაში თეთნულდზე ასვლისას მან განსაცდელში ჩავარდნილი **პიმენ დვალის** გადასარჩენად ყველაფერი იღონა, მაგრამ ამაოდ და მასთან ერთად გადაიჩეხა თეთნულდის ყინულოვან ნაპრალებში.

**ალექსანდრე (ალიოშა) ჯაფარიძე** — ქართული ალპინიზმის აღიარებული ლიდერი, პამირისა და კავკასიონის მთათა სისტემების მკვლევარი, ტექნიკურად რთულ მწვერვალებზე ასვლების ფუძემდებელი — 1945 წელს უშბა-შხელდის ტრავერსის გავლისას მოულოდნელად შემოჭრილი ციკლონის შედეგად და მოსულმა ზვავმა იმსხვერპლა თავისი ჯგუფის წევრებთან ერთად. მხოლოდ 12 წლის შემდეგ, 1957 წელს, შემთხვევით წააწყდნენ ალიოშა ჯაფარიძის ნეშტს ქართველ მკვლევართა ჯგუფის წევრები **ავთანდილ ძიძიგურის** ხელმძღვანელობით. როგორც გამოჩენილი ქართველი მწერალი და მთასვლელი **ლევან გოთუა** წერდა: **„უშბამ პირველად დააბრუნა თავისი მსხვერპლი“.** ალიოშა ჯაფარიძე თბილისში ჩამოასვენეს და ვერის (იმჟამინდელ კიროვის) პარკში დაკრძალეს მისივე სახელობის საქართველოს ალპური კლუბის მახლობლად.

ალექსანდრა ჯაფარიძეს კი 100-მდე ასვლა აქვს შესრულებული კავკასიონის მწვერვალებზე. საეტაპო და მნიშვნელოვანი იყო პირველი ასვლები მყინვარწვერზე (1923), თეთნულდზე (1930), უშბაზე (1934), დიხთაუზე (1950). ალექსანდრა ჯაფარიძემ 5034 მ სიმაღლის მყინვარწვერი (ყაზბეგი) 1923 წელს დალაშქრა მთასვლელთა ჯგუფთან ერთად, რომელსაც ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი **გიორგი ნიკოლაძე.** ალექსანდრამ 1929 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, 1921-1944 წლებში მუშაობდა თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში, 1948 წელს კი მყინვარწვერის კალთებზე ავიდა და შეისწავლა ბეთლემის ლეგენდარული გამოქვაბული.





ალექსანდრა ჯაფარიძე



მყინვარწვერი

**ბეთლემის გამოქვაბული** — ეს არის განსაკუთრებული ადგილი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გამოგონილად ითვლებოდა. ეს გამოქვაბული, რომელშიც ადამიანები ბინადრობდნენ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ზღვის დონიდან 4100 მეტრზე მდებარეობს ბეთლემის ქედზე (გერგეტისა და აბანოს მყინვარების აუზთა გაყოფზე), გამოკვეთილია მოწითალო ანდეზიტის კლდეში.

ბეთლემი მოხსენიებულია **ვახუშტი ბატონიშვილის** ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. 1947 წლის ნოემბერში ალპინისტმა **ლევან სუჯაშვილმა** პირველმა შეამჩნია ციცაბო ფერდობზე ბეთლემის გამოქვაბულიდან ჩამოშვებული ჯაჭვი და რკინის კარი. ეს სწორედ ის ჯაჭვი იყო, რომელზეც „განდეგილშია“ საუბარი. აი როგორ აღწერს ბეთლემის გამოქვაბულს ილია ჭავჭავაძე პოემაში „განდეგილი“:



სიმონ ჯაფარიძე



ალიოშა ჯაფარიძე

**„სადაც დიდებულს**
**მთასა მყინვარსა,**
**ორბნი, არწივნი**
**ვერ შეჰხებიან,**
**სად წვიმა-თოვლნი,**
**ყინულად ქმნილნი,**
**მზისგან აროდეს**
**არა დნებიან,**
**სად უდაბურსა მას**
**მყუდროებას**
**კაცთ ჟრიამული**
**ვერ შესწვდენია,**
**სად მეუფება**
**ჭექა-ქუხილსა,**
**ყინულს და ქართა**
**მხოლოდ შთენია,**
**უწინდელს დროში**
**ღვთისა მოსავთა**
**გამოუქვაბავთ მუნ**
**მონასტერი**
**და იმ ყინულში შეთხრილს**
**ღვთის ტაძარს**
**ბეთლემს უწოდებს**
**დღესაცა ერი.**
**ფრიალოსაებრ**
**ჩამოთლილი აქვს**
**იმ წმინდათ სადგურს**
**ყინულის ზღუდე,**
**და ზედ კარია**
**გამოკვეთილი,**
**ვით კლდის ნაპრალზე**
**არწივის ბუდე.**
**ზღუდის ძირამდე**
**რკინის რამ ჯაჭვი**
**ზედა ჰკიდია თურმე**
**იმ კარსა,**
**და თუ არ ჯაჭვით,**
**სხვაფრივ ვერა გზით**
**ვერ ძალუძს ასვლა**
**ვერარა კაცსა“.**

1948 წლის იანვარში ქართველი მთასვლელების ჯგუფმა, ალექსანდრა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, გამოიკვლია ბეთლემის გამოქვაბული, რომლის კარიდანაც გადმოკიდებული იყო 5,5 მ სიგრძის რკინის ჯაჭვი. ამჟამად ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება რკინის ფირფიტებით შეჭედილი რკინის კარი, სპილენძის შანდალი, საეკლესიო ინვენტარი, მონეტები. გამოქვაბულში, აგრეთვე, ნაპოვნია ისრის წვერები, ზანზალაკები, კოვზი, ანკესები... — 20 საგანი, რომლებიც დათარიღებულია XIII, XV, XVI და XVIII საუკუნეებით. ბეთლემის კედელზე ამოკვეთილი წარწერები X-XI საუკუნეებით თარიღდება.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



ბეთლემის გამოქვაბულის კარი



ჯაჭვი



ბეთლემის გამოქვაბული

**ცნობისთვის: ალექსანდრა ჯაფარიძე — პირველი ქართველი მთამსვლელი ქალი, ქართული და საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი (1923), საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი (1936), სპორტის დამსახურებული ოსტატი (1945), მთამსვლელობის უფროსი ინსტრუქტორი (1931), საკავშირო კატეგორიის მსაჯი (1960), საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე (1962), დევდორაკის ალპინისტური ბანაკის სასწავლო ნაწილის უფროსი (1938-1939), თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის პედაგოგი და გამგე (1944-1961). მან 1948 წელს მყინვარწვერის კალთებზე აღმოაჩინა და შეისწავლა ბეთლემის ლეგენდარული გამოქვაბული. ქართულ ენაზე თარგმნა ცნობილი ფრანგი მთამსვლელის — მორის ერცოგის გახმაურებული წიგნი „ანაპურნა“ (1974). დაჯილდოებული იყო ორდენებით, მრავალი მედლითა და სიგელით. მისი სახელი მიენიჭა მის მიერ 1913 წელს მშობლიურ სოფელ ხრეითში დაარსებულ სკოლას (1994) და მწვერვალს კავკასიონზე ჭიუხების მასივში (1975). სოფელ ხრეითში, მამაპაპეულ სახლში გახსნილია მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემორიალური სახლ-მუზეუმი (1983). დაკრძალულია (1974) ვერის ბაღში თავისი ძმების გვერდით.**

# პატრიარქი სასკოლო პროგრამაში გოგებაშვილის «დედა ენის» შეტანას აუცილებლობად მიიჩნევს

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის წევრებსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა.**



შეხვედრაზე იმსჯელეს მომავალი თაობის სულიერი და ინტელექტუალური აღზრდის შესახებ. მისმა უწმინდესობამ პედაგოგებს მრავალწლიანი შრომისათვის მადლობა გადაუხადა და გაიზიარა მათი პოზიცია სასკოლო პროგრამაში იაკობ გოგებაშვილის ,,დედა ენის“ შეტანის აუცილებლობის შესახებ.

ღონისძიების დასასრულს პედაგოგთა კავშირის ხელმძღვანელმა, ბატონმა **გარი ჩაფიძემ** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედლითა და პრემიით დააჯილდოვა.

გოგებაშვილის „დედა ენის“ სკოლებში დაბრუნების მომხრეა საქართველოს პრეზიდენტობის დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილიც. „აუცილებელია, რომ ჩავატაროთ განათლების რეფორმა, მივხედოთ ახალგაზრდებს და ამ ქვეყნის მომავალ კულტურას და განათლებას. პირველ რიგში, გოგებაშვილის დედაენა უნდა დავაბრუნოთ სკოლებში. ამით უნდა დავიწყოთ იმიტომ, რომ ეს არის ჩვენი ყველანაირი კულტურის საწყისი“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

# ოდესის ეპარქიის მღვდელმსახურება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ერთგულება დაადასტურეს



**ოდესის ეპარქიის სასულიერო პირები მხარს უჭერენ უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ამჟამინდელი სტატუსის შენარჩუნებას, — ნათქვამია ეპარქიის საიტზე განთავსებულ ცნობაში.**

ოდესის მამათა მონასტერში რამდენიმე დღის წინათ გაიმართა სასულიერო პირების კრება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოდესისა და იზმაილის მიტროპოლიტი **აგაფანგელი.** კრების მონაწილეებს შესთავაზეს, ფარული კენჭისყრით ეპასუხათ კითხვაზე — **მხარს უჭერს თუ არა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სტატუსის შენარჩუნებას და მისი წინამძღოლის — ონოფრეს პოზიციას?**

ამ კითხვაზე ოდესის ეპარქიის 413 მღვდელმსახურთაგან დადებითად უპასუხა 406-მა, 3-მა კლირიკმა — უარყოფითად, 4-მა კი თავი შეიკავა.

ოქტომბრის შუა რიცხვებში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა განაცხადა, რომ იწყებს უკრაინაში არაკანონიკური ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების პროცესს. კერძოდ, მან გაიწვია 1686 წლის აქტი მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში კიევის ეპარქიის გადაცემის შესახებ, აგრეთვე, გააუქმა მოსკოვის საპატრიარქოს მიერ თვითგამოცხადებული „კიევის პატრიარქის“ — ფილარეტისა და არაკანონიკური უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ლიდერ მაკარისთვის გამოცხადებული ანათემა.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში ამ ქმედებებს განხეთქილების შემოტანის მცდელობა უწოდეს და კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან ევქარისტული კავშირი გაწყვიტეს.

# სეგრეგაცია ევროკავშირულად: პოლონეთსა და გერმანიაში ერთი და იმავე პროდუქტების შემოწმებისას სხვადასხვა ხარისხი გამოვლინდა

**პოლონეთის ანტიმონოპოლიურმა უწყებამ პოლონეთისა და გერმანიის მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილი კვების პროდუქტების ხარისხში განსხვავება გამოავლინა.**



**«პოლონეთის მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილი კვების პროდუქტები გაცილებით დაბალხარისხიანია, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში»**

„სავაჭრო ინსპექციასთან ერთად, შემოწმდა კვების პროდუქტები, რომლებიც იყიდება პოლონეთის, გერმანიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მაღაზიებში. გაირკვა, რომ პოლონეთის მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილი მაგალითად, გერმანიაში ან საფრანგეთში წარმოებული კვების პროდუქტები გაცილებით დაბალხარისხიანია, ვიდრე იგივე პროდუქტები დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში“, — განაცხადა პოლონეთის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამმართველოს წარმომადგენელმა. კერძოდ, შემოწმდა 64 სახის პროდუქტი: საკონდიტრო ნაწარმი, სასმელები, ბავშვებისთვის განკუთვნილი პროდუქტები, აგრეთვე, სოუსები, რძის პროდუქტები და თევზეული. 58 შემთხვევაში **პოლონეთში გასაყიდად გამოტანილ პროდუქტებში აღმოჩენილი იქნა სხვადასხვა მინარევი და დანამატი, რომლებიც არ ყოფილა გერმანელთათვის განკუთვნილ პროდუქტებში.**

# იტალიის ვიცეპრემიერი: ევროპაში ფინანსური სპეკულანტების ერა სრულდება



**„2019 წლის მაისში დანიშნული ევროპარლამენტის არჩევნები ევროპაში ფინანსური სპეკულანტების ერას დაასრულებს“, — განაცხადა იტალიის ვიცეპრემიერმა მატეო სალვინიმ.**

იტალიის ვიცეპრემიერის თქმით, მომავალი არჩევნების შემდეგ დაიწყება ეპოქალური ცვლილებები ევროპაში. შესაძლოა, შეიქმნას ახალი კავშირი „დემოკრატიის პრინციპებზე, და არა ფინანსური სპეკულანტების ინტერესების გათვალისწინებით, როგორც აქამდე იყო“.

სალვინიმ აღნიშნა, რომ ევროპელი მაღალჩინოსნების ამჟამინდელი კრიტიკა მისი პარტია „ჩრდილოეთ ლიგის“, აგრეთვე, მოძრაობა „5 ვარსკვლავის“ მიმართ განპირობებულია იმით, რომ ამ პოლიტიკური ძალების შანტაჟი შეუძლებელია, ისინი არავის წინაშე არ არიან ვალდებულნი და პასუხს აგებენ მხოლოდ ხალხის წინაშე.

3 ოქტომბერს ევროკომისარმა ფინანსების საკითხებში — **პიერ მოსკოვიჩიმ** იტალიის მთავრობის წევრებს ევროსკეპტიკოსები და ქსენოფობები უწოდა და იტალია ბიუჯეტის საკითხებისა და მიგრანტების განთავსების ვალდებულებების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა.

უფრო ადრე იტალიის პრემიერმინისტრმა ჯუზეპე კონტემ განაცხადა, რომ იტალიამ შეიძლება უარი თქვას ევროკავშირის მრავალწლიან საფინანსო პროგრამაზე, თუკი გათვალისწინებული არ იქნება იტალიის პოზიცია მიგრანტების თაობაზე.

# განვითარებად ქვეყნებში რუბლი საუკეთესო ვალუტა იქნება

**ნავთობის გაძვირება საშუალებას მისცემს რუბლს, თავიდან აირიდოს დანაკარგები, რომლებსაც განიცდიან სხვა განვითარებადი ბაზრების ვალუტები, — იუწყება JP Morgan Chase&Co.**



JP Morgan-ის სტრატეგები ელიან, რომ რუსული ვალუტა უახლოეს თვეებში გაუსწრებს ისეთი განვითარებადი ქვეყნების ვალუტებს, როგორიც არის თურქული ლირა და სამხრეთაფრიკული რენდი. ამერიკულ ბანკს მიაჩნია, რომ რუსული რუბლი სტაბილურობას შეინარჩუნებს მარტამდე, ლირა და რენდი კი თავიდან ვერ აიცილებენ, შესაბამისად, 30%-იან და 8%-იან დანაკარგებს.

რუბლმა 2,5 წლისწინანდელ მინიმუმთან შედარებით 8%-ით მოიმატა. ეს მოხდა სექტემბერში ნავთობის გაძვირების ფონზე. მანამდე, აგვისტოში კი, რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა შეაჩერა სხვა ვალუტების შესყიდვა.

JP Morgan-ის გათვლებით, 2019 წლის მარტში რუბლი 65,55 იქნება დოლარის მიმართ, ლირისა და რენდის კურსი კი დაეცემა.

გვერდი მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894